მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 8 ივნისი, 2020 წ. 1-2 (31-32)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, სამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობის აღდგენის გზით საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმისა და სამართლებრივი ტენდენციების სტრატეგიულ მიმართულებებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ლეგიტიმური კონსტიტუციით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ვექტორით სვლა, ამ ნიშნით ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც დადგება კანონიერი ხელისუფლების მხარეზე და საქმით დაამტკიცებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ლეგიტიმური მთავრობის მიმართ, გათავისუფლდება წარსულში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობისაგან!



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

PRESIDENT OF THE REPUBLIC OF GEORGIA

ბრძანებულება

საქმიანი წრეების ნებისმიერი წარმომადგენელი, ბიზნესმენი თუ საქმისანი, რომელიც ღალატობს კანონიერი ხელისუფლების ინტერესებს და საქმით დაამტკიცებს თავის ერთგულებას, განთავისუფლდეს წარსულში ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებზე პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს პრეზიდენტი

1992 წ.
15 ივნისი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოსა
და
საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების მიმართვა
საქართველოს მამულიშვილებს

ვინაიდან, ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას, რამეთუ, დღეს, ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატაკებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად, საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე - თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა;ვინაიდან, ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, პოლიტიკოსების მხრიდან მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა მოშლა-გაუქმების წინაშე დააყენა;

ვინაიდან, საქართველო და მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთის მხრივ, პოლიტიკური ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორეს მხრივ, ფსევდოდემოკრატიის, მოჩვენებითი კეთილდღეობის სამყაროში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება გადაჰყავს ან რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში და ქართული საზოგადოებისათვის კი ორივე ვითარება დამღუპველია; ვინაიდან, ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების'' გამთლიანების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს;

ვინაიდან, თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან და ქვეყნის საკუთარი განმგებლობის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო გარედან ჩარევის გარეშე თავადვე უნდა განსაზღვრავდეს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას;

ვინაიდან, დადგა გადარჩენა-აღორძინების უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა–გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა...

მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ - სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, სამართლებრივი, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკითა და მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე, დღევანდელი ყველა პრობლემების აუცილებელი, ოპტიმალური გადაწყვეტა.

ყოველივე ამის განსახორციელებლად კი საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი. ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო.

ვინაიდან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა და იგი გრძელდება მანამ, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, გეოპოლიტიკური და შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო; ვინაიდან, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის სამართლებრივი აღდგენის საკითხები, ანუ საკითხი ეროვნული კონსტიტუციის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ;

ვინაიდან, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, პირველ რიგში და საფუძველში, გულისხმობს მის აღდგენას - როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას;

ვინაიდან, ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სახელმწიფოებრივობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე და ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას;

ვინაიდან, ანტიქართულ-ანტიმართლმადიდებლურად მართულ ქვეყანაში, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მხოლოდ რამოდენიმე გზა იკვეთება:

ერთი - ქვეყნის ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივი, არალეგიტიმური, მორიგ სახელმწიფო გადატრიალებებსა და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილი სისხლიანი გზაა, რომლის არჩევითა და ქართველთა სისხლის ხელახალი დაღვრით, ცოდვების დამძიმება დაუშვებელია;

მეორე, შემოთავაზებული, მოჩვენებით, ვითომ სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ეგრეთწოდებული „დემოკრატიული არჩევნებში" მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები, რაც ასევე შეუძლებელ-გამორიცხულია ...

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობასა და საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ აღორძინებას გააჩნია და არსებობს ქვეყნისთვის კატასტროფის აცილებისა და ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზა - სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად და იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დააყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კვლავ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების ძალებსღა აწყობს.

ამ მიზნების მისაღწევად, არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ერთადერთი, უალტერნატივო, აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელახალი აღმავლობა, მისი რეალობის გათვალისწინებით სრულად, საყოველთაოდ და კონსტიტუციურად ამოქმედება.

ისტორიულად, შიდა, თუ გარე მტრების დაპყრობა-შემოსევებისა, თუ სახელმწიფო გადატრიალებების გზით, ინტერვენცია-ოკუპაცია-ანექსიისა, თუ სახელმწიფო ხელისუფლების მიტაცების ყველა ეტაპს, საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ცნობიერებისა და სარწმუნოების დევნა. ამას ქართველი ხალხი ყოველთვის სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით პასუხობდა და იმარჯვებდა.

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება- დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ

მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენას, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!

რამდენადაც პრეცენდენტულია და დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლება თავისი ეროვნული ინსტიტუციებით და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში, სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა დღესაც გრძელდება და იმედია უახლოეს მომავალში, ხალხის ნებით რეალურად შესაძლებელია მისი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი ამოქმედება და საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენა ქვეყანაში, შემდგომ კი, სამართლებრივი და კანონიერი ხელისუფლების მიერ ნამდვილი, პერიოდული და უწყვეტი არჩევნების დანიშვნა-ჩატარება.

ამასთანავე, აუცილებელია ეროვნული ცნობიერების, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის აღორძინება, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენის ძირეული საფუძველი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა და ბრძოლა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ დღესაც გრძელდება! იგი გრძელდება მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“, „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“, ამ ორგანიზაციათა მიერ დაფუძნებული საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსა" და რაც მთავარია, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიით გაჟღენთილ, მის ურიცხვ თანამებრძოლთა მიერ.

2020 წელი - ახალი, მაგრამ მორიგი ცრუ და არალეგიტიმური არჩევნების წელია. კვლავ, ვითომ მრავალპარტიული, მაგრამ ორპოლუსიანი. მყიფე გაერთიანებები იქმნება, რომლებიც არჩევნების წინ, ქაოტურ სივრცეში, კვლავ აირევა, მოხდება მორიგი ფარული მორიგებები და არალეგიტიმური ჩანაცვლება-გარიგების მატარებელი განაგრძობს არასახელმწიფოებრივი, გაურკვეველი, მარიონეტული მიმართულებით სვლას.

მათ, ვინც მომავალშიც დაადგება სიცრუისა და ღალატის, ბარაბას გზას, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულით გაჟღენთილი ქართველი ერი ღირსეულ პასუხს გასცემს. ყოველი სხვა პერიოდული ფუჭი დაპირებები ფაქტობრივი ხელისუფლებისა, თუ ოპოზიციისა, მიზნად ისახავს მხოლოდ ურთიერთჩანაცვლების გზით ხელისუფლებაში მოსვლა-დარჩენას და დაპირებათა ვერშესრულების შემდგომ კვლავ პერიოდულ-კარუსელურ რიგში დგებიან და პასუხს არ აგებენ ხალხისა და თუნდაც თავიანთი ამომრჩევლების წინაშე მათივე ცრუ, აუხდენელ დაპირებებზე.

ამასთანავე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: ის, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, თუ სამოქალაქო ორგანიზაციის წევრი, ასევე საქმიანი წრეების ნებისმიერი წარმომადგენლები, ბიზნესმენები, თუ ინდივიდუალური პირები, რომლებიც დადგებიან კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლების მხარეს და საქმით დაამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას, გათავისუფლდებიან წარსულში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებზე პასუხისმგებლობისაგან!

ანუ, მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, აუცილებლად მიეცემა ტრიბუნა, 31 მარტის – დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ტრიბუნა და შანსი, იმ ერთგულ მამულიშვილებთან ერთად, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეა პირველადია და შეუცვლელი, გვერდიგვერდ დგომითა და ბრძოლით მიაღწიონ სანუკვარი თავისუფლების იდეის რეალიზაციას!

დამოუკიდებელმა და თავისუფალმა საქართველომ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

აუცილებელია, მოვუხმოთ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, გააერთიანოს ყველა ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, ფინანსური და სხვა რესურსები, არჩეულ იქნეს მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლის ფორმები და მექანიზმები, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო. დამოუკიდებელ საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება მზადაა დაანახოს და სრულად გააცნოს

საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოებრივობასთან თანაფარდობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ნიშნით, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობისა და ღირსების პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. მთავარი ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართული სახელმწიფოსათვის და ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

ჩვენი სამშობლო კიდევ ერთხელ დადგა, დიდი არჩევანის წინაშე. დღეს კვლავ წყდება თითოეული ჩვენთაგანისა და მთელი ქვეყნის ბედი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ მივცეთ მხილებულ, დისკრედიტებულ, მარიონეტულ, დამნაშავე რეჟიმს ახალი, არასამართლებრივი და უკანონო ფალსიფიცირებული არჩევნების გზით ძალაუფლების გახანგრძლივების საშუალება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით კვლავ უკანონოდ მიიჩნევს ხუნტის სამართალმემკვიდრე ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობას, ყველას მოუწოდებს ერთობლივი ბოიკოტი გამოუცხადონ 2020 წლის არჩევნებს, რამეთუ მიაჩნია, რომ დღესაც ამდაგვარი ,,დემოკრატიული არჩევნების" ფასადის შელამაზებითა და ცრუ ოცნების გზით პოლიტიკური პუტჩი კვლავ გრძელდება საქართველოში და ერთადერთი გზაა სახელმწიფოს სამართლებრივ, ლეგიტიმურ რელსებზე დაბრუნება და უზენაესი კანონიერების აღდგენა საქართველოში.

ლოზუნგი ,,დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ" კვლავ ძალაშია. თუ კანონიერების სამართლებრივი აღდგენის პრინციპებით, კანონიერ მთავრობასთან და ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელ ორგანიზაციებთან – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებასთან" და ,,სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებასთან" ერთად სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაებმევა ნებისმიერი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ძალა, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით მათ. თუმცა, ამავდროულად, ყველა თავადვე ირჩევს თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის გზას.

ვაცნობიერებთ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ და საფრთხისშემცველ ვითარებას,

ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გრძნობით მივმართავთ სრულიად საქართველოს: ჩვენ ვგმობთ ძალადობაზე, შიშზე, არასამართლიანობაზე და ტყუილზე დაფუძნებული, დღემდე არსებული, ყველა უკანონო ხელისუფლების „მოღვაწეობას“ და მოგიწოდებთ, ყველამ უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ ვითომ

დემოკრატიულად და ვითომ არჩევნების გზით მათი ძალაუფლების გახანგრძლივებას, როგორც დამნაშავე, უზნეო მმართველობის რეჟიმის მემკვიდრეთა და არსებულ საყრდენს.

საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსტიტუციური გაგრძელება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს. და, აი, უკვე მერამდენედ, როცა ქართველი ერი დგება ახალი, კვლავაც უკანონო, არასახელმწიფოებრივი და არასახალხო ფიქტიური არჩევნების ნაირსახეობის წინაშე ...

კვლავაც ომახიანად, ხმამაღლა, ისმის ჭეშმარიტად მამულიშვილური სიტყვა:

აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, დანო და ძმანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ:

„ქართველო ერო, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ მივიდა გზაგასაყართან. შენს წინაშე არის ორი გზა, აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა უსამართლობისა, ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულიყოს უკუნისამდე. ჩვენ, ძმანო და დანო, ვდგევართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით, საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება." კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

იქნებ, ეხლა მაინც გამოფხიზლდე და გაიღვიძო ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას! ამინ!

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წევრები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები და წარმომადგენლები, კვლავაც ვადასატურებთ ჩვენს ერთგულებასა და მხარდაჭერას საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ!

მოვუწოდებთ, უცხოეთში და საქართველოში მცხოვრებ ჩვენს მამულიშვილებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვა ერების ღირსეულ შვილებს, სახელმწიფოებრივობის ლეგიტიმურობის აღდგენის გზით, მტკიცედ დაადგნენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების ერთადერთ სამართლებრივ გზას საქართველოში.

ეს გზა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია, მიზანი კი,

საქართველოს ყველა მამულიშვილისთვის სამშობლოს გადარჩენა, ეროვნული თანხმობის მიღწევა და ქვეყნის განვითარების სწორი ვექტორის არჩევაა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე საქართველოში სამართალმემკვიდრეობის, კანონიერების, სამართლებრივი და კანონიერი ყველა სახის არჩევნების დანიშვნითა და ჩატარების გზით ეროვნული ხელისუფლების აღდგენის საქმეში.

მერე რა, რომ აქამდე ბრძოლაში გამარჯვება უკუღმართებს რჩებათ, ისინი ხომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და ხშირად იარაღსაც ჰკიდებენ ხელს, რომლებსაც რიგიანები გაურბიან.

სიმართლისათვის და უფლისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლი და თავად ამდაგვარ ბრძოლაში გატარებული სიცოცხლეც ღირსეულია ჩვენთვის!

დაე, ადამიანმა ამხილოს, უფალმა კი განსაჯოს ყოველივე, რამეთუ, ყველა გზა უფალთან მიდის განსაკითხველად სიმართლისა და სიცრუისა!

თუ ქართველი ხალხის გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და სამშობლოს სიყვარული. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობასა და საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ აღორძინებას თავის პოლიტიკურ ბრძოლის არსენალში გააჩნია ცოდნაც და გამოცდილებაც კონკრეტული სამართლებრივი, კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს გადაარჩინოს მამული განადგურებას.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება მამულიშვილთა ნებითა და დასტურით მომავალი, მხოლოდ სამართლებრივი, ლეგიტიმური და საყოველთაო არჩევნებით,

ეროვნული ხელისუფლების არჩევამდე, მზადაა კვლავ ჩაუდგეს სათავეში თავის მიერვე გამარჯვებით დაწყებულ, სამართლებრივად, ლეგიტიმურად და კანონიერად მიღებული კონსტიტუციურად გამართლებულ-გამყარებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე გარდამავალ-გარდამსახველი ეტაპის გამარჯვებით დასრულებისათვის.

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა - საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური გზით ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საკოორდინაციო საბჭო
საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

საქართველო, ქ. თბილისი 03. 03. 2020

ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა

მამულიშვილნო! დანო და ძმანო!

მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილო ქართველო ერო!

უკვე რამდენი წელია დამცირებული დადის ქართველი კაცი და სიმწრისაგან აღარ იცის რა გზას დაადგეს. მინავლდა და სადაცაა მივიწყებას მიეცემა ჩვენი დიდი წინაპრების, წამებულების მიერ ნალოლიავები ღვთით ბოძებული გრძნობა ჭეშმარიტი ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერებისა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს დანიშნულება, ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. თვითდამკვიდრების ურთულეს გზაზე კი, ყოველი ერი ესწრაფვის თავისი სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ველის გაფართოვებას. სწორედ ამაში ვლინდება ერის სიძლიერე და სიცოცხლის უნარიანობა. სახელმწიფოს დემოკრატიულობა ძევს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს შიგნითა ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა კი, თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას, რამეთუ, დღეს, ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატაკებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად, საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე – თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების'' გამრთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად, რათა აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო. ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.სახელმწიფოთა უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც მსოფლიოს ერთა კულტურათა და კოლექტიური უსაფრთხოების, მასთან ერთად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი უფლების რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს, რამეთუ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მდგომარეობის დაუცველობა, ძალზე დიდ დაბრკოლებას იძლევა თვითოეული ერის ღირსების განვითარებაზე.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს წესრიგთან. ამავდროულად, ასევე უნდა ვეყრდნობოდეთ 1918 წლის 26 მაისის

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს და ვაცნობიერებდეთ პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის.

დღეს გეოპოლიტიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამუშავდა სხვა სქემები. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკით, მსოფლიო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები.

ოღონდ ყოველივე ამის განსახორციელებლად საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალ-მემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

აქედან გამომდინარე, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა იმ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომელსაც ხელისუფლება უზურპირებული და ოკუპირებული აქვს. ამასთან, საჭიროა დაპირისპირება ანტიეროვნულ პოლიტიკასა და იდეოლოგიასთან, რომელსაც ქვეყანაში ნერგავენ ხელისუფლების სხვა სატელიტი ფსევდო-დემოკრატიული ორგანიზაციები.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა. მიუხედავად ლეგიტიმიზების არაერთი მცდელობისა ვითომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით – უკანონო რეჟიმმა ვერ შესძლო საბოლოო დამკვიდრება საქართველოში. საქართველოს კანონიერი მთავრობა, ეროვნული ძალები, ქართველი ხალხი არ შეეგუა მის არსებობას, არ აღიარა იგი და მის წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლაში ჩაება.

არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის საკითხები, ანუ ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს მის აღდგენას როგორც ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას (თუმცა საქართველოს მტრებს სწორედ ასე აწყობთ). დავსძენთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას.

ლეგიტიმურობა და კანონიერება ჩვენი თვალსაზრისით და ჩვენი სიმართლით ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

ამდენად, მთელი ამ ჩვენი მსჯელობების მიზანია დავასაბუთოთ და განვმარტოთ, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძვნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

გამოსავალი აღნიშნული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები, უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის.

1991–1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა. საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. დიდი მიზნების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჯვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა. ვეყრდნობით რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს, ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის, მიგვაჩნია და ვადასტურებთ:

ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

1990–2019 წლების საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გარკვეული სამართლებრივი ფუნქციები გააჩნდათ და გააჩნიათ, მათ შორის, წარმომადგენლობითიც – ერთი, თუ სხვადასხვა ქვეყნის შიგნით გადაადგილებული კანონიერი ხელისუფლების დღეისათვისაც არსებული მმართველი ორგანოების (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი სპგ

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და მისი დამფუძვნებელი და ძირითადი მმართველი პოლიტიკური ორგანო მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“) ფუნქციობას თანამედროვეობა არ იცნობს. ამიტომაცაა, რომ სწორედ ეს არის პრეცედენტული. პრეცედენტულობა კი თავისთავად არაკანონიერებას როდი ნიშნავს, პირიქით, სწორედ ისაა სამართლებრივი და ჭეშმარიტად ლეგიტიმური.

ხალხის კანონიერი ინტერესების დასაცავად და სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად საჭირო და აუცილებელია ლეგიტიმური და კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოები არსებობა, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, უნდა დაიცვან მათი შელახული უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი ორგანოები კი უნდა იყვნენ სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციის სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელი და არჩევითობის შემთხვევაში არჩევითი. ისინი უნდა გახდნენ ქმედუნარიანი, მოქმედი, ახალი ძალებითა და საზოგადოებისაგან უფლებამოსილების მატარებელი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული. სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად თანდათანობით უნდა აღსდგეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციებიც.

ყოველივეს კი ხელს უნდა უწყობდეს ლეგიტიმური, სამართალმემკვიდრე, ხელისუფლების კანონიერი, კონსტიტუციური და სამართლებრივი წარმომადგენლობა – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საერთაშორისო სამართალი და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია კონკრეტულ განმარტებას აძლევს ლეგიტიმურ ხელისუფლებას: ლეგიტიმურია ხელისუფლება, თუ მას აქვს ხალხის ნდობის სამართლებრივი და კანონიერი მანდატი, ანუ თუ იგი გამოხატავს თავისი ერის კანონიერ ნებას.

ყველა დროში ასე აღიქმებოდა იგი.

ლეგიტიმური ხელისუფლება, კონკრეტულად კი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ „გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა, თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის „გასაღები" – უკანონოდ განდევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.
შემდგომში კი ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა (კანონიერმა ხელისუფლებამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები და მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი და კანონიერი) არამედ, ამ დროს, ასევე, უმნიშვნელოვანესია შემუშავებული ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს სახელმწიფოს გადასარჩენად, რითაც, საბოლოოდ მოხდება სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წყვეტის აღდგენა.

ამ მხრივ კი, აუცილებელია კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული ხელისუფლება. ეს კი ჩვენი სამშობლოს ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი

გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს. წარმოდგენილი ახლებური კონცეპტუალური მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი გამოვლენაა, საჭიროებისამებრ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სქემის ფორმირებაც: რა შეიძლება ავირჩიოთ ძირითად კრიტერიუმად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესის შინაგანი ეტაპების კლასიფიკაციის სისტემად ამ სფეროში, სადაც ძირითად ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნული იდეა – საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამ იდეის მატარებელი ადამიანები თუ სოციალური ჯგუფები უნდა წარმოადგენდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, ცხადია, ყოველთვის იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალად, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას. სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპობრივი დიფერენციაცია. ეროვნული მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკაა სწორედ ამ უაღრესად ღირებული და პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი და მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმების პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერული ბერკეტი.

შესაძლოა, ისტორიის ამ ფაზაზეც, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი უკანონო რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში კვლავ დღის წესრიგში მწვავედ დადგეს ფაქტობრივად თავისებური ორხელისუფლებიანობის სიტუაციის წარმოშობა. სახელისუფლო, თუ ოპოზიციური სტრუქტურებისა და ფრთების პოლიტიკური პოტენციიის გამოფიტვისა და მათი მზარდი დეზორიენტაციის პარალელურად, სულ უფრო გაიზრდება სამართლებრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტი და პოლიტიკური რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ პარადიგმამ „ჩვენ და ისინი" მიიღო ტოტალური ხასიათი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეძლო იმ ძალების ბლოკირება და ფაქტობრივი იზოლაცია, რომლებიც ამუხრუჭებდნენ ეროვნული იდეის რეალიზაციის პროცესს. ორხელისუფლებიანობის რეჟიმის დამკვიდრებას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს იმპერიულ ცენტრში მიმდინარე პროცესებიც. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ინტეგრირებულმა ძალებმა იმპერიულ ცენტრთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ბრძოლის თავისებური, ფრთხილი სინთეზური

ტაქტიკაც შეიძლება აირჩიოს ასევე ტაქტიკური ბრძოლის ორიენტირად. ამ ტაქტიკაში ერთმანეთს უნდა შეერწყას, როგორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ თავისივე განვლილი პერიოდის უკანონობა უნდა დაფიქსირდეს თავიანთივე გადაწყვეტილებით. შემდგომ კი ერთობლივი შეთანხმებით, უშუალოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა
დაინიშნოს და ჩატარდეს საყოველთაო, ლეგიტიმური, მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები. ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს
საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას.

ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა განმარტოს ულტრარადიკალების მცდარი და უიდეო ტაქტიკური ჩავარდნები, რეალურად ეროვნული ოპოზიციური სტრუქტურების კოორდინაციის გზით უნდა უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნული იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის განხორციელებისათვის, ამ ახალ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

ამდენად, აუცილებელია დაიწყოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგიტიმიზაციის, სამართლებრივი განსახელმწიფოებრივობის ახალი ეტაპი, რადგანაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კონსტიტუციურად თავად წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეროვნულ ხელისუფლებას, ქვეყნის პოლიტიკური სივრცის იურისდიქციის სუბიექტს. რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რატომ უნდა უწოდონ არსებული სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში და საარჩევნო კანონმდებლობის ბაზაზე განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებას გადატრიალება, ან ე. წ. ,,რევოლუცია"?! ამ მოვლენისათვის შეიძლება მშვიდობიანი, სამართლებრივი, კანონიერი სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების აღდგენა გვეწოდებინა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მოხდებოდა მმართველ რეჟიმზე არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის აქციის ზეწოლის სახით და დაუმორჩილებლობის კოორდინატორი სტრუქტურა შეიძენდა საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივებს. სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა – სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

თვით აღორძინების არსი, უპირველეს ყოვლისა, არის ეროვნული ისტორიის ღრმა სულიერი გააზრება, ისტორიული ეროვნული თვითშემეცნების აღდგენა, იმპერიათა ექსპანსიამდე არსებული ტრადიციებისაკენ მიბრუნება. აღორძინება ხომ თავადვე მოიაზრება, როგორც მთელი ერის მობილიზაცია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საბრძოლველად, როგორც მთელი მამულის კონცენტრაცია ეროვნული იდეის ბაზაზე.

კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა

ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა. საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ,,ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებსაც მზერა უჭრით გაცილებით უფრო შორს, ვიდრე საზოგადოებას ზოგადად და ამ საზოგადოების ყველაზე განათლებული ნაწილსაც კი. ასეთი ადამიანები ხედავენ საშიშროებას მაშინაც კი, როდესაც საზოგადოების დიდი უმრავლესობა აღტაცებული და ეგზალტირებულია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთი სტრატეგიის ფარგლებში ტაქტიკურ ლოიალობას, სრულ ინტოლერანტობას უკანონობისა და არალეგიტიმურთან მიმართებაში, მტრის გეგმის გაანალიზებასა და სწორი სამოქმედო ნაბიჯის გადადგმას. კრიტიკულმა მიდგომამ საკითხებისადმი არ უნდა გამოიწვიოს ურთიერთდაპირისპირება, რადგან ეს მხოლოდ ინტელექტის, ანუ ჭკუის ნაკლებობის მაჩვენებელი იქნება, რაც დამარცხების ტოლფასია. მხოლოდ ეროვნული, ქართული იდეა შესძლებს, გააერთიანოს ქართველი ხალხი და აღმოფხვრას დანარჩენი საზოგადოებრივი, სოციალური და ა.შ. პრობლემები. მხოლოდ ამ აზრით გაერთიანებული ადამიანები შესძლებენ ქვეყნის გამოხსნას, მხოლოდ მაშინ აღიკვეთება ცრუ თავისუფლების ინსტიტუტის ტერორი საქართველოში, თუ ქართველი ხალხის გაერთიანებას საფუძვლად დაედება სულისკვეთება, განწყობა, რწმენა და სამშობლოს სიყვარული. პერმანენტული მშვიდობიანი აქციებითა და კონკრეტული კანონიერი მოთხოვნებით შესძლებს ქართველი ერი, გაწმინდოს საქართველო და გადაარჩინოს მამული განადგურებას. დღევანდელობაში გაბატონებული ზიზღი, უნდობლობა, ურთიერთგამეტება, მასობრივი დეპრესიახელოვნურადაა მოხვეული ჩვენს თავს და დამღუპველია, როგორც თითოეული ქართველისათვის, ასევე ქვეყნისათვის მთლიანობაში. ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, მიეცემა ტრიბუნა, თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

ერთობლივი დადგენილება
№ 1

რამდენადაც, ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას;

რამდენადაც, ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას;

რამდენადაც, დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა;

რამდენადაც, საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან;

რამდენადაც, კვლავ ვეყრდნობით რა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს და ვაცნობიერებდეთ პასუხისმგებლობას ქართული ერის წინაშე და:

ვინაიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე მთავარ მიმავალ ვექტორზე დაყრდნობით - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ გზაზე ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკითა და საერთაშორისო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ოპტიმალურად გადავწყვიტოთ დღევანდელი პრობლემები;

ვინაიდან, საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, ლეგიტიმურობის, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი;

ვინაიდან, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა იმ დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ ხელისუფლების უზურპირებასა და ოკუპირებას;

ვინაიდან, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა და იგი გრძელდება, მანამ, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით, შესაბამისად უწყვეტია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას როლი, მის მიერ დატოვებული კვალი ამ დროში გრძელდება მომავალშიც;

ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის არსებულმა თავმჯდომარემ და სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, თავის დროზე პრემიერ მინისტრად დანიშნულმა პიროვნებამ უგულველყო თავისი პირადი მოვალეობა ქვეყნის

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არალეგიტიმურად შეაჩერა სახელმწიფოს მთავრობის მუშაობა, მიიღო ამბიციური, ყოვლად უკანონო სუბიექტური გადაწყვეტილება და მხოლოდ თავისი თავი გამოაცხადა მუდმივ დანიშნულად, შეუცვლელად და ეცადა პიროვნულად უზურპირებულად გამოეცხადებინა თავისი თავი საქართველოს რესპუბლიკის ერთმმართველად, ემოქმედა მის მიერვე გამოგონილი ე. წ. რელიგიური მოძრაობის ლიდერად და მოძღვრად, არსებულ ვითარებაში, თავისი არაქმედითუნარიანობით შექმნა ფსიქოზური და დაძაბული გარემო, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის „გადასარჩენად" თავის თავზე მოირგო და უარყო ლეგიტიმური კონსტიტუცია, ქვეყნის სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიყვანა ჩიხში, პროცესი კი სტაგნაციამდე დაიყვანა. არადა, ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება რისთვისაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმური მმართველობის აღდგენისა და სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორებისა და სამართლებრივად გამართული ვექტორით სვლა, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების ლეგიტიმური და კონსტიტუციური ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა-აღორძინება.

ეროვნული, ანუ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა პირველ რიგში და საფუძველში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების, ინსტრუმენტების აღდგენა-აღორძინებას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისა და მითუმეტეს განზრახ სტაგნაცია-დაშლის მიმართულებით სვლას.

კვლავ ხაზს ვუსვამთ, რომ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ზოგადად ქართველი ერის მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას და არა ერთი პიროვნების მიერ ხელისუფლების უზურპაციას. მითუმეტეს, როცა მის მიერ ხდებოდა ყოველგვარი ეროვნულობის ანულირება. არადა, უდაოა, ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სრულად ეროვნულობაზეა აგებული და არა შემონერგილ რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

ამდენად, სამართლებრივად ცალსახაა, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები – პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ, ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ--სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ ემსახურება.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. მიგვაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, ლოზუნგი, არამედ – სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და რეალურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თანხმობის მიღწევა და გზა სამარლიანობისა დამოუკიდებლობიდან ...სუფლებისაკენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენადაც ხალხის კანონიერი ინტერესების დასაცავად, სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად საჭირო და აუცილებელია ლეგიტიმური და კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სახელისუფლო პირთა ლეგიტიმური პრინციპების დაცვა და ამრიგად არსებობა, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, უნდა დაიცვან მათი შელახული უფლებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი ორგანოები კი უნდა იყვნენ სამართლებრივი და კანონიერი კონსტიტუციის სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელნი. ისინი უნდა გახდნენ ქმედითუნარიანი, მოქმედი, ახალი ძალებითა და საზოგადოებისაგან უფლებამოსილების მატარებელი ადამიანებისაგან დაკომპლექტებული. მხოლოდ ამრიგად, სამართლებრივად, კანონიერად და კონსტიტუციურად თანდათანობით უნდა აღსდგეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ყველა დონის ხელმძღვანელ პირთა ფუნქციებიც, რამდენადაც, ყოველივეს ხელს უნდა უწყობდეს ლეგიტიმური, სამართალმემკვიდრე, ხელისუფლების კანონიერი, კონსტიტუციური და სამართლებრივი ერთ მუშტად შეკრული ეროვნულ თანამოაზრე-თანამებრძოლთა წარმომადგენლობა.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური საკანონმდებლო ბაზის თანახმად ზემოთხსენებულ ახსნა-განმარტებებს შეიძლება დაემატოს შემდეგი სახის საკონსტიტუციო მტკიცებულებები:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციები, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, სხვა ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს უკანონოდ შეწყვეტილი გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები. საქართველოში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს (კონსტ. მუხლი 2). ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ;

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით თანაბრად მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სახელმწიფო საქმეთა მართვაში. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და თავისი წესდების შესაბამისად (კონსტ. მუხლი 6-7). პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს. მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მათი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა (კონსტ. მუხლი 55). უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს (კონსტ. მუხლი 57);

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე) მიერ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სრულად გადადგება (კონსტ. მუხლი 124). საქართველოს მინისტრთა კაბინეტი თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას). საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თუ მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადებას მხარი უნდა დაუჭიროს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორმა მესამედმა მაინც;

საქართველოს რესპუბლიკის ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას (კონსტ. მუხლი 87);

საქართველოს სახელმწიფოს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ოცდათხუთმეტიდან სამოცდახუთ წლამდე ასაკისა (კონსტ. მუხლი 121).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" საგანგებო ერთობლივ სხდომაზე (26. 05. 2020), რომელსაც ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სრული შემადგენლობა (ცხრა წევრი), გარდა პრემიერ მინისტრი ბესარიონ გუგუშვილისა (რომელმაც არც დიალოგზე ისურვა გამოსვლა, დააყენა ულტიმატუმი, რომ საქართველოს რესპულიკის მთავრობის პოლიტიკური ვექტორია არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულება, არამედ მხოლოდ გაურკვეველი რელიგიური სწავლება და მმართველ პოლიტიკურ ძალასთან – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებასთან“ მოსალაპარაკებლად და თავისი ინტერესების განსახორციელებლად დიალოგისათვის გამოგზავნა კავშირიდან გარიცხული პიროვნება, რომელმაც თავისთავად გარიცხვამდე მთავრობისა და კავშირის ერობლივ სხდომაზე თავადვე განაცხადა უარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ ვიცეპრემიერობაზე), ერთხმად დაადგინა:

საქართველოს რესპუბლიკის თანამდებობის პირის (პრემიერ მინისტრი) თავისი უშუალო ვალდებულებებისადმი გულგრილი, არასახელმწიფოებრივი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა მიმართ ქედმაღლური, ცინიკური და მიუღებელი ფსიქიკური დამოკიდებულებების გამო, ასევე, ყოველივე ზემოთთქმული განმარტებებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი ჩაითვალოს არაქმედითუნარიანად და სრულად გათავისუფლდეს პრემიერ მინისტრისა და აქედან გამომდინარე, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობებიდან და მოეხსნას ყოველგვარი უფლება-მოსილება-ვალდებულებები.

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყველა წევრი და ძალაშია დადგენილების მიღებისთანავე.

თბილისი
26. 05. 2020

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

ერთობლივი დადგენილება
№ 2

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თავისი უფლება-მოსილების ფარგლებიდან გამომდინარე სრულად იზიარებს და ერთხმად ამტკიცებს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" 13 - 28 აპრილის გადაწყვეტილებებს, სადაც ნათქვამია:

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წესდებისა და პროგრამის არაერთგზის უხეში დარღვევისათვის, კავშირს შიგნით ფრაქციის („რელიგიური სექტის") ჩამოყალიბებისათვის (რაც ასევე წესდების უხეში დარღვევაა), თავიანთი უშუალო ფუნქციის არშესრულებისათვის, კავშირის პროგრამის საწინააღმდეგო - არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ვექტორით სვლისათვის, რეგისტრაციის გაუვლელობისათვის და კავშირისათვის ძირგამომთხრელი საქმიანობებისათვის: იოსებ ღუდუშაური, ვლადიმერ შარვაძე, ნარგული (ნათელა) ფირცხალაიშვილი, მარინა ხონელიძე, თამარ ზურაშვილი, ხათუნა ხიზამბარელი პრეზიდიუმის ერთხმად გადაწყვეტილების საფუძველზე გაყვანილ (გარიცხული) იქნან კავშირიდან! ნინო წვერაძე (წვერავა) და მაია დონაძე პირადი განცხადების საფუძველზე გაყვანილ იქნან კავშირიდან. ამას გარდა, იოსებ ღუდუშაურსა და ნარგული (ნათელა) ფირცხალაიშვილს ჩამოერთვათ კავშირის საპატიო წევრის წოდება, გაუქმდეს მათი საპატიო სიგელები და ყველა გაყვანილ წევრებს გაუუქმდეს მათი ყველა სახის მანდატები!

ასევე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიერ იოსებ ღუდუშაური და ვლადიმერ შარვაძე გამოწვეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობიდან როგორც წევრებიც".

ამრიგად, ა/წ 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილებით იოსებ ღუდუშაური და ვლადიმერ შარვაძე ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობიდან გაყვანილად და ჩამოერთვათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრობის სტატუსები!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

ერთობლივი დადგენილება
№ 3

რამდენადაც, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლით განსაზღვრულ იქნა, დასაბუთდა და განიმარტა, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები - პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორადია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი;

რამდენადაც, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო;

რამდენადაც, არსებულ ვითარებაში, ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრივობის გადასარჩენად ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით სავსებით აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლის ხელახალი აღმავლობა, მისი ორგანიზაციების აღდგენა-აღორძინება, ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის საკითხები, ანუ ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამო-კიდებულების შესახებ;

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს. წარმოდგენილი ახლებური კონცეპტუალური მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი გამოვლენაა, საჭიროებისამებრ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სქემის ფორმირებაც: რა შეიძლება ავირჩიოთ ძირითად კრიტერიუმად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესის შინაგანი ეტაპების კლასიფიკაციის სისტემად ამ სფეროში, სადაც ძირითად ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნული იდეა - საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამ იდეის მატარებელი ადამიანები თუ სოციალური ჯგუფები უნდა წარმოადგენდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, ცხადია, ყოველთვის იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს

კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალად, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას. სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპობრივი დიფერენციაცია. ეროვნული მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკაა სწორედ ამ უაღრესად ღირებული და პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი და მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმების პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერული ბერკეტი.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ერთიანი ფრონტით საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია და ერთიანი ღონისძიებების განსაზღვრა, ახალი ეროვნულ ძალთა მოძიება, ერთიანობის სათანადო საფუძველის მომზადება, მათი კონსოლიდაციისათვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საქმიანობის წარმართვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება–ხელშეწყობა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი სამოქმედო გეგმით მუშაობისა და ახალი ბრძოლის დაწყება.

სწორედ ამისათვის, აუცილებელია შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტი, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საკონტროლო–საზედამხედველობით ფუნქციებს, რომელთა მოღვაწეობა განმტკიცებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების თანახმად:

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა) ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა (მოადგილეების) ჩათვლით სულ 5–7 წევრის ოდენობით (კონსტ. მუხლი 119);

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეული პირნი თავიანთი მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი:

1) საკუთარი ინიციატივით, ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა) დავალებით წარუდგენს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება მათ მიერ განსახილველი აქტების პროექტები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას;
2) თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საქართველოს რესპუბლიკის კანონებს ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და განკარგულებები და ა. შ.;
3) საკუთარი ინიციატივითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა) წინადადებებით იძლევა

დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საქართველოს რესპუბლიკის კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები;

4) იძლევა დასკვნებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობების პირთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას (კონსტ. მუხლი 120).

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე, „მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭო, რომლის ამოცანაა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება (კონსტ. მუხლი 121).

ამრიგად, ა/წ 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილებით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტი, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საკონტროლო–საზედამხედველობითი და ეროვნულ–სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციებს, რომელთა მოღვაწეობა განმტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ცენტრალური მართვის კომიტეტი შეიქმნას ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა (მოადგილეების) ჩათვლით სულ 5–7 წევრის ოდენობით

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

ერთობლივი დადგენილება
№ 4

რადგანაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსიფლმხედველობისა და იდეოლოგიის მატარებელი ძალა, არ არის მხოლოდ ადამიანთა გულანთებული, პატრიოტული ერთობა და ის გაერთიანებულია საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური მმართველი ძალის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" გარშემო, იქმნება აუცილებლობა, რომ ამ იდეის მატარებელ ლეგიტიმურ სახელისუფლებო ძალას გარდამავალი პერიოდის დროში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მოღვაწეობით, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების სრულ აღდგენამდე მიეცეს სრული პოლიტიკური იარაღის ტარების უფლება და იმოქმედოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი პირისა და მმართველი ორგანოს დირექტივებითა და დადგენილებებით. ეს პროცესი ვალდებულს ხდის თავის მხრივ ყველა ამ პოლიტიკური იარაღის მატარებელ პიროვნებას, გამოიყენოს იგი ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის სამსახურში და ამ იდეის მატარებელი კანონიერი მთავრობის ქვეყნის ფაქტიურ მმართველობაში დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლიდან გამომდინარე და ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ დადგა აუცილებლობა ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფორმა მიეცეს ყოველივეს და ეროვნული იდეით შეკავშირებული ქართველი მამულიშვილები მოექცნენ პოლიტიკურ ჩარჩოებში, შეისწავლონ მისი მართვისა და გამოყენების ფორმები და ერთგულად ემსახურონ ქართულ ეროვნულ საქმეს. ასეთი პოლიტიკური ფორმა დღესდღეისობით მოცემული რეალობიდან გამომდინარე არის ლეგიტიმური მთავრობის უსაფრთხოების საბჭო (ზედა პალატა) და პრეზიდიუმი (ქვედა პალატა).

პირველი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იერარქიული და ე. წ. ორ პალატიანი - უსაფრთხოების საბჭო და პრეზიდიუმი - იმიტომ, რომ იდეის გარშემო გაერთიანებული პიროვნებათა რიცხვი არც თუ ისე დიდია, არცთუ მთლად ერთგვაროვანი, სამაგიეროდ იკვეთება მათი ერთგულების მაღალი მაჩვენებლი და მათი იერარქიულ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა აუცილებელია, რაც პოლიტიკურად პასუხისმგებლობის უნარიანს გახდის მათ;

მეორე მიზეზი - პრეზიდიუმი თავისი იურიდიულ-საკანონმდებლო არსით არის უფრო მრავალფუნქციული, გადაწყვეტილებისუნარიანი და მისი დამორჩილება სახელმწიფოს უმაღლეს პირზე და მთავრობის უმაღლეს ორგანოზე - უსაფრთხოების საბჭოზე (ზედა პალატაზე) ხდის მას ბრძოლისუნარიანს და ანიჭებს უფლებას მიიღოს ქვეყნისათვის საჭირო გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, რომელიც კანონიერების აღდგენის შემდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს სისრულეში მთელი ქვეყნის მასშტაბით;

მესამე მიზეზი – არის იმ მოღალატე ძალების მიმართ მიმართული პოლიტიკური იარაღი, რომლებმაც თავის დროზე უღალატეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ქართულ ეროვნულ იდეას!

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის უშიშროების საბჭო და პრეზიდიუმი უნდა იყოს ურყევი, გადაწყვეტილებისუნარიანი და ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის მატარებელი. ეს ერთგვარად უნდა სცდებოდეს კიდეც მხოლოდ მთავრობის პრეზიდიუმის არსს და მისი წევრობა უნდა იგივდებოდეს სამუდამოდ თავის გადადებას ღვთისა და ერის სამსახურში.

ამავდროულად, ამ და სხვა მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებულია შეუწყვიტოს უფლება-მოსილება მინისტრთა კაბინეტის (მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე) ყველა წევრს გარდა საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი შემადგენლობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად ჩამოყალიბდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" წესდების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოში" ახალი წარმომადგენლობის არჩევამდე, უწყვეტს უფლება-მოსილებას ადრე წარდგენილ და თუნდაც ფორმალურად მომქმედ მთავრობის ყველა წევრს, გარდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დღეისათვის არსებულ წევრებისა.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ლეგიტიმური მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღოეძინების“ ერთობლივი დადგენილებითა და მასთან ფარდობაში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებულებით:

1. გაუქმდეს დღემდე არსებული მინისტრთა კაბინეტის, უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრების უფლება-მოვალეობები, დიდი ხნით მთავრობაში გამოუცხადებლობისა და მათი არაქმედითუნარიანობიდან გამომდინარე გაყვანილ იქნან ისინი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობიდან გარდა დღეისათვის დარჩენილი წევრებისა და მომავალში, ლეგიტიმური მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წარდგენით სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებულითვე სახელობით შეიქმნას მთავრობის ახალი წარმომადგენლობა-შემადგენლობა;

2. თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი, შერჩეული და ბრძანებით დადგენილი წარმომადგენლების მიერ შედგენილი მთავრობა ადასტურებს, ამტკიცებს მთავრობის ახალ შემადგენლობას და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ მთავრობის წევრთა თანამემდობრივ-რანგობრივ-იერარქიულ ფორმულაციას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძვნებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ამ დღისათვის არსებულ საკანონმდებლო ბაზას და ამ ბაზაზე დაყრდნობილ სტრატეგიული დანიშნულების სამოქმედო გეგმას.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის, მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ახალ სტრუქტურულ რგოლს – საქართველოს რესპუბლიკის რანგობრივ და მობილურ უსაფრთხოების საბჭოს (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზედა პალატას)

დარჩენილ სხვა წევრებთან ერთად მთავრობის მთლიანი შემადგენლობა გადაიყვანება ასევე მობილურ საპრეზიდიუმო-ფუნქციონალური დანიშნულების ძირითად ტაქტიკური სამუშაო-სამოქმედო საკანონმდებლო-აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელ სტრუქტურულ სათაო რგოლად (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ქვედა (აღმასრულებელ პალატაში). ორივე პალატას, მთავრობის სრულ დაკომპლექტებამდე, ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე) წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით - დადგენილებით სახელმწიფოებრივი სტატუსისათვის მიენიჭოთ შესაბამისი სამხედრო წოდებები (პიროვნულად დამტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომაზე);

5. სრულად ამოქმედებისათვის შესაბამისად მომზადდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისი კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის აღსრულების შესახებ;

6. საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის შემუშავდეს და მომზადდეს შემდეგი აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა და ღონისძიებები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვროს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის სამართლებრივ-იურიდიული-პოლიტიკური, ასევე სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისა და სახელისუფლებო მმართველობითი სტატუსისა და ფორმების სამომავლო, თანდათანობითი, დროში გადაცემითი აუცილებელი მეთოდიკა და მექანიზმები;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავდეს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის სამომავლოდ აუცილებელი, ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, განახლებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ-იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი და საბოლოოდ უშიშროების საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცებითა და ხელმოწერით;

7. სანამ არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი და მათ მიერ შეკოწიწებული უკანონო სამთავრობო ხელისუფლებები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურული წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელმა და ძირითადმა

პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და მათმა წარმომადგენლობებმა კვლავ უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ.

8. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით. სასურველია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, საჭიროებისამებრ, არამარტო საზღვარგარეთ მოღვაწეობისათვის, შეჰქმნას თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ,,ახალი ლევილის" ტიპის სამთავრობო, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე–სამყოფელი (სამყოფელნი), საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესით;

9. საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო ფონდის შექმნა–შემუშავება, თანხების სხვადასხვა წყაროების მოძიებისა და დიფერენცირების გზით მათი განსაზღვრა და ერთიანი სახელმწიფო–საფინანსო სისტემის შექმნა;

10. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი ბეჭდის შექმნა და წევრთა პირადობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათების დამზადება;

11. მპგ ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" 1993 წლის მონაცემებით არსებული ორგანიზაციების აღდგენისათვის და ახალი ორგანიზაციების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

12. ახალი იდეის – კმპგ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი კავკასიის“ შექმნისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

13. საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ახალი ეროვნულ ძალთა მოძიება, ერთიანობის სათანადო საფუძველის მომზადება, მათი კონსოლიდაციისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება–ხელშეწყობა და მთავრობის მიერ დადგენილი სამოქმედო გეგმით მუშაობისა და ახალი ბრძოლის დაწყება;

14. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო არეალის გაფართოებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება, საინფორმაციო ველის გაფართოება, მიმართვების, მემორანდუმებისა და დეკლარაციების მომზადება–გაგზავნის ღონისძიებების განსაზღვრა და საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვროს და მომზადდეს კანონ–პროექტი დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკაში მართლმადიდებლურ–ქრისტიანული, როგორც სახელმწიფო რელიგიის არსებობის აუცილებლობისა და გამოცხადების წესის შესახებ.

საქართველომ უნდა დაადგინოს 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი: ქვეყანაში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და ამ გზით მისი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების უზრუნველყოფისა

დენიზა სუმბაძე

სრულიად საქართველოს თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დენიზა სუმბაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზედ ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი გაერთიანების:“თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის““ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

მიმართვა

ბატონ კახა იმნაძეს

- საქართველოს ელჩს გაეროში

უ ღ რ მ ე ს ა დ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ო კ ა ხ ა ი მ ნ ა ძ ე!

მოგესალმებით და დიდად მოხარული მივესალმებით თქვენს არსებობას, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში!

უნდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ 1990 წელს, ჟურნალ „სახელმწიფო და სამართალში“(რედაქტორი, იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ბ-ნი თედო ნინიძე) მოგვიხდა საყვედურის წერილის გამოქვეყნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, იმის გამო, რომ ქართველი ერი, როგორც ერი არ იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. და ისეთი დიდი ეროვნული წარსულის ერს, როგორიც ქართველი ერი იყო, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არფლობის გამო, არსებული საერთაშორისო კანონმდებლობით, უფლება არ ჰქონდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ხმის მქონე ერი მსოფლიოს ერთა შორის, ანუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ახლა, როდესაც ჩვენ ფორმალურად მაინც დამოუკიდელი სახელმწიფოც ვართ და საკუთარი ელჩიც გვყავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აუცილებლობას ვხედავთ და პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, როგორც მკვლევარ-მეცნიერი მსოფლიო ისტორიისა და კაცობრიული თვითშემეცნებისა, დავდგეთ ჩვენი ელჩის გვერდით და მონაწილეობა მივიღოთ ისეთი პრობლემების საქვეყნო განხილვაში და ისეთი აქტუალური საკითხების დაყენებაში მაინც, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ქართველი ერის სიცოცხლესა და პერსპექტივას, მითუმეტეს თუ კაცობრიობის სიცოცხლესთან ერთად. ამ რანგის საკითხებზე დღეს საქართველოში აქტიურად მუშაობს საზოგადოებრივი გაერთიანება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2005 წელს დაფუძნებული „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზი“, ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ თბილისის წარმომადგენლობა, და მოძრაობა „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, წინამდებარე წერილის ავტორი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ წარმომადგენლობასთან.

თავს ნებას მივცემთ და ვისარგებლებთ საუბრის თემით და, თუ არ შეწუხდებით, მოკრძალებით გთხოვთ, ჩვენი ორივე მხარის ორგანიზაციათა სახელით, მოგვაწოდოთ ოფიციალური დეტალური ისტორია საქართველოს გაწევრიანებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აგრეთვე განგვიმარტოთ, ამჟამად ინტერნეტ გვერდებზე განთავსებული ოფიციალური მონაცემი საქართველოს გაწევრიანებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, 1992 წელს: აქ, საქართველო, 1992 წელს, წარმოდგენილია ხუთჯვრიანი დროშით, მაშინ როდესაც, ხუთჯვრიანი დროშა, ამ დროისათვის, 1992 წლისათვის, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, ცნობილი არ არის და არ არსებობს. ძალიან დაგვავალებთ საქართველოს გაეროში გაწევრიანების ისტორიით დაინტერესებულ ჩვენს ოფიციალურ საზოგადოებებს, რომელთა სახელითაც მოგმართავთ წინამდებარე წერილით, საშუალება მოგვცეთ, სამაგიდო ინფორმაციად გაგვაჩნდეს თქვენგან წარმოგზავნილი ყველაზე კომპეტენტური ტექსტი.

საქართველოს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“, რომელთანაც ჩვენ ამ საკითხებზე ვთანამშრომლობთ, ეს გახლავთ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა ს მიერ დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს საქართველოში, გამოსცემს ტრადიციულ ჟურნალს: „მ ა ტ ი ა ნ ე ს“ და არსებობას უნარჩუნებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს გმირის - ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა ს და მისი განუყრელი თანამებრძოლის, ასევე, საქართველოს გმირის წოდებით აღიარებულ მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს მიერ დ ა ფ უ ძ ნ ე ბ უ ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ - გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს პ ო ზ ი ც ი ე ბ ს.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ხელმძღვანელობას ამჟამად წარმართავს ბატონი მ ა ლ ხ ა ზ მ უ ს ე რ ი ძ ე, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვეტერანის, მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ბლოგის: „მ რ გ ვ ა ლ ი მ ა გ ი დ ა - თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს“ შემადგენელი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის:

„საქართველოს სამეფო ლიგის“ თავმჯდომარის, აწ განსვენებულის - ბატონი მორის მუსერიძის ვაჟიშვილი. საჭიროდ ვთვლით და პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, გაუწყოთ, როგორც საქართველოს ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ჟურნალ „მატიანეში“ (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე დარედაქტორი ბატონი ნუკრი ბაღდავაძე), „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში(2019 წ.), გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი, ბატონი ანტონიო გუტერიშის ადმი მიმართული ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ორ საკითხს:

1) პასუხისმგებლობის საკითხს 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოებისას, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში, ანუ ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციაში მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების გზით და

2) საკითხს, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური რეგიონის, ცენტრისა და ევრაზიური გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას, ამასთან ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის პლანეტარული სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში.

პირველი საკითხი, რის გამოც ვაწუხებთ ბატონ ანტონიო გუტერიშს ჟურნალ „მატიანეში“ გამოქვეყნებული წერილით, სიღრმისეულად არის დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპის ახალ მსოფლმხედველობასთან და მის პრინციპებთან ახალი მსოფლიო წესრიგის იდეოლოგიასთან მიმართებაში.

ჩემს მიერ წიგნად გამოცემული ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ბატონი დონალდ ტრამპისადმი, სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“, წარმოადგენს ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპის მიერ მის საინაუგურაციო სიტყვაში გაცხადებული ახალი მსოფლმხედველობის ანალიზსა და შეფასებას, როგორც დაპირისპირებული მსოფლმხედველობისას ტრამპამდელ, ანუ სიონისტური მოძრაობის მიერ მართულ „მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიასთან“.

ამერიკის პრეზიდენტმა თავისი ახალი მსოფლმხედველობით მსოფლიოს პოლიტიკურ აზროვნებას დაუბრუნა ყველაზე ბუნებრივი და ადამიანური ცნება, რომელიც, სამწუხაროდ, მსოფლიოს ახალი წესრიგის სიონისტურმა იდეოლოგიამ კაცობრიობას ნაართვა.

ეს ცნება გახლავთ: „დედა-სამშობლოს“ ცნება. ამერიკის პრეზიდენტმა, ბატონმა დონალდ ტრამპმა ამ ცნების დაბრუნებით დაანგრია მსოფლიოს ახალი წესრიგის შეფარულ-შენიღბული იდეოლოგია - სვლა მსოფლიოს ახალი წესრიგის სოროსისტულ-სიონისტური იდეალისაკენ: უეროვნებო კაცობრიობის შექმნისაკენ, ანუ ერთი ერისა, რჩეული ერისა და ყველა დანარჩენი ხალხების ერთიან საზოგადოებად გარდასახული მსოფლიოსაკენ.

წიგნის სათაური წარმოადგენს ბატონი ტრამპის თვითმოწოდებას დედამიწის ეკოლოგიური განკურნებისაკენ, როგორც აუცილებელსა და პრიორიტეტულ საკაცობრიო პრობლემას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. წიგნი შესდგება სამი ნაწილისაგან:

1) ვინ არის „მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისათვის?!

2) რა შეიძლება დავარქვათ იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ ე. წ. მსოფლიოს ახალი წესრიგით?!“

3) „ბაბილონის ტყვეობიდან“ „მეორე მსოფლიო ომამდე“, „მეორე მსოფლიო ომიდან“ ე. წ. დღევანდელი „მსოფლიოს ახალ წესრიგამდე“ და დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგიდან მისი აღმატებულების ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

წიგნად გამოცემული ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, სათაურით: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ გამოცემულია გამომცემლობა „უნივერსალის“ (დირექტორი ბ-ნი გ ო ჩ ა ხ ა რ ე ბ ა ვ ა) მიერ, სულ სამასი ცალის ტირაჟით: პირველი გამოცემა - 200 ცალი(2018წ/), მეორე გამოცემა - საგანგებოდ ბათუმში გამართული პრეზენტაციისათვის, ასი ცალი (2019წ.), ინგლისური რეზიუმეებითა და რუსულ ენაზე შესრულებული სრული თარგმანით. 2019 წლის 13 თებერვალს, წიგნი ჩვენს მიერ წარდგენილ იქნა საპრეზენტაციოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს ცნობილი მეცნიერები ესწრებოდნენ: აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ბატონი თ ა მ ა ზ გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი , აკადემიკოსი, ბატონი რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი , აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ბატონი ე ლ ი ზ ბ ა რ ჯ ა ვ ე ლ ი ძ ე , კომისიის წევრები და ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კომისიამ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა ავტორის ყველა გამოსვლასა და მსოფლმხედველობრივ პოზიციებს. ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ წარმოადგენს ერთობლივ გამოცემას: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისას და ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრისას: „ბიბლია და საქართველო“, სერიალით: „მთავარი აზრი“. წიგნის რედაქტორია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგიკისა და პოლიტოლოგიის საზოგადოებრივი აკადემიების აკადემიკოსი, ბ-ნი რ ე ვ ა ზ ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე, რეცენზენტები: აკადემიკოსი პ ა ა ტ ა გ ი ო რ გ ა ძ ე და ისტორიკოსი-ეთნოგრაფი ქ-ნი ლ ე ი ლ ა მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ბ ა ტ ო ნ ო კ ა ხ ა, გიდასტურებთ რა ჩვენს უღრმეს პატივისცემას, როგორც საქართველოს ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მოგმართავთ დიდი თხოვნით, როგორც ქართველი ერის ინტერესებიდან ამოსვლით, ისე ჩვენი მთავარი ამოცანით: თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების გაკეთილშობილების აუცილებლობისათვის ზრუნვით, დაგვეხმაროთ, უზრუნველყოფილ იქნას წიგნად გამოცემული, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, მისი აღმატებულების, ბატონი დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ ი ს ა დ მ ი მიწერილი ღია წერილის განხილვა-შეფასება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომლის 74-ე ა ს ა მ ბ ლ ე ა ზ ე ც, 2019 წ ლ ი ს 24 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ს, ბატონმა პრეზიდენტმა, დ ო ნ ა ლ დ ტ რ ა მ პ მ ა თავის გამოსვლაში, რომლითაც მან განაცხადა, რომ „კაცობრიობის მომავალი არ ეკუთვნის გლობალისტებს! კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის პატრიოტიზმს!“- საკუთარი მსოფლმხედველობრივი პოზიციები გამოხატული მის საინაუგურაციო სიტყვაში, აიყვანა ახალ დოქტრინალურ ხარისხში. ამავე „ ასამბლეის“ აზრი, როგორც ოფიციალური შეფასება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მსოფლმხედველობისა, ამასთან ალტერნატიულისა მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიურ-პოლიტიკური პრინციპების მიმართ, დღეს ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, უმწვავესი საჭიროებით სჭირდება თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს. იმედით, რომ გულისხმიერებას არ მოგვაკლებთ, წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას და გლოცავთ.

უღრმესი პატივისცემით

დ ე ნ ი ზ ა ს უ მ ბ ა ძ ე

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ამონარიდები მონოგრაფიული ნაშრომიდან

თამაზ ხუციშვილი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი
სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო
საკითხებში,
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების“
,,სახელმწიფო უსაფრთხოების
დეპარტამენტის" თავმჯდომარე,
საქართველოს ეროვნული აკადემიის
ვიცე– პრეზიდენტი

რასათა ცვლილებების ზღვარი

ცივილიზაციის ყურადღებით შესწავლისას, შეიძლება დადგინდეს რასათა ფსიქოლოგიური წყობა. ერების ისტორია ჭეშმარიტად იძლევა არამდგრადობის მიზეზს, რომ მათი სულები დროდადრო სწრაფად იცვლებიან და განიცდიან მნშვნელოვან ცვლილებებს. ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ხასიათის სხვაობა კრომველის დროის ინგლისელისა და თანამედროვე ინგლისელის ხასიათში? ხომ არ არის თანამედროვე იტალიელი ფრთხილი და ცბიერი, რითაც ის სრულად განსხვავდება მძვინვარე და სასტიკი იტალიელისაგან, რომელსაც აღწერს თავის მემუარებში ბევენუტო ჩელინი. ხომ არ გვეჩვენება, რომ არსებობს უფსკრული ხასიათებში შეუვალ კონვენტის წევრებსა და ნაპოლეონის დამჯერ მონებს შორის? თუმცა ესენი იყვნენ ერთი და იგივე ხალხი, რაოდენ შეიცვალნენ ისინი საუკუნეების მანძილზე? იმისთვის, რათა ავხსნათ ამ ცვლილებების მიზეზები, უპირველესად უნდა გავიხსენოთ, რომ ფსიქოლოგიური სახე ანატომიური სახის ანალოგია. იგი შედგება რომდენიმე შეუცვლელი განსაკუთრებულობისაგან, რომლის გარშემო ჯგუფდება ცვალებადი და არამდგრადი მეორადი ნიშან-თვისებები.

ფსიქიკურ ორგანიზაციას გააჩნია ძირითადი განსაკუთრებულობანი, ისეთივე შეუცვლელი, როგორც ანატომიურ სახეობებს, მაგრამ ამასთანავე მას ასევე მიდრეკილება გააჩნია მეორეხარისხოვანი განსაკუთრებულობების ცვლილებებისკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ფსიქიკურ ორგანიზაციაში გაგვაჩნია ყველანაირი ხასიათის მონაცემები, რომელთა გამოვლინებას ყოველთვის ხელს არ უწყობს გარემოებები, შემთხვევები. თუკი მიეცა გამოვლენის შემთხვევა, იმთავითვე წარმოიშობა ასე თუ ისე ეფრემული, ახალი პიროვნება. აქედან გამომდინარე უშუალოდ აიხსნება, ის, რომ დიდ რელიგიურ და პოლიტიკურ კრიზისების ეპოქაში ასე სწრაფად ხდება ხასიათის ცვლილება. იცვლება ყველაფერი : ზნეობა, იდეები, ქცევა... როგორც ტბის ზედაპირი, ქარიშხალის დროს. თუმცა, იშვიათია, რომ ყველაფერი ეს დიდხანს გაგრძელდეს.

ამ მონაცემთა ხასიათის გამო, რომელიც მოქმედებაში მოდის ცნობილი განსაკუთრებული მოვლენებიდან გამომდინარე, დიდი რელიგიური და პოლიტიკური

მოღვაწეები კრიზისებისას ჩვენ გვეჩვენებიან მაღალ ქმნილებებად. მაგალითად, ავიღოთ „კონვენტის გიგანტები“, რომელნიც გამომწვევად უყურებდნენ შეიარაღებულ ევროპას და გილიოტინაზე აგზავნიდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ განსხვავებული აზრის გამო. არადა, ესენი არსებითად ისეთივე ღირსეული და მშვიდობიანი ობივალეტები იყვნენ, რომელნიც ჩვეულებრივ დროს, ალბათ კაბინეტების კედლებში, თავის კანტორაში, სიმშვიდესა და სიწყნარეში გაატარებდნენ თავის არსებობას. გამონაკლისმა მოვლენებმა მათ ტვინში ზოგიერთი უჯრედი მოიყვანა ქმედებაში, რომელიც სხვა დროს გამოუყენებადია და ისინი იქცნენ იმ კლოსალურ ფიგურებად, რომელთა გაგებაც კი უჭირს შთამომავლობას. ასი წლის შემდგომ, რობერსპიერი უეჭველად იქნებოდა წესიერი, სამაგალითო მოსამართლე თავის მოძღვართან, სენ ჟიუსტთან ერთად, რომელიც ალბათ იქნებოდა სკოლის მასწავლებელი, დაფასებული თავისი ხელმძღვანელობისაგან და ეგებ აკადემიური „პალმის რტოს“ კავალერიც. თუმცა ეჭვი რომ არ შეგვეპაროს ჩვენი მეტყველების კანონიერებაში, ვნახოთ, თუ რა გაუკეთა ნაპოლეონმა ტერორისტებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს დაეხოცათ ერთმანეთი: ისინი გახდნენ მასწავლებლები, მოსამართლეები ანდა ფრეფექტები. „ქარიშხალი“ ჩადგა და „ტბამ“, ისევ თავისი წყნარი სახე დაიბრუნა. „ფრანგები მოექცნენ ნაპოლეონის მორჩილებაში -წერს ტენი-და იმყოფებიან მასში, როგორც ბუნებრივ მდგომარეობაში: დაბალნი: გლეხები და ჯარისკაცები ცხოველური ერთგულებით; მაღალნი: დიდი კაცები(მაღალი ხარისხის მოხელენი) და მოხელენი– ბიზანტიური მორჩილებით (მონობით). რესპუბლიკელთა მხრიდან ნაპოლეონი არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდა, პირიქით, მან სწორედ მათ შორის იპოვა დასაყრდენი.

ვიკვლევთ რა ერთი მეორეს მიყოლებით ფაქტორების მრავალ სახეობას, რომელთაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ერების წყობის ფსიქოლოგიაზე, ჩვენ შეგვიძლია კონსტატირება მოვახდინოთ, რომ ისინი მოქმედებენ გვერდითი და არამდგრადი ხასიათის მიმართულებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ეხებიან ძირითად მახასიათებლებს, ეხებიან მათ მხოლოდ მემკვდრეობითი დაგროვებებით.

როგორ ფერმკრთალდება და როგორ ქრება ცივილიზაცია

ფსიქოლოგიური სახეობების ხრწნადობა მემკვდრეობით არის დალაგებული, რომელიც მოიცავს თავის ჩამოყალიბებისათვის საუკუნეებს და შეიძლება სწრაფად გაქრეს. ყოველთვის დიდი დროა საჭირო ერისთვის, რომ მიაღწიოს ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურს და ხანდახან - ძალზე მცირე, რომ დაბლა დაეცეს. ცივილიზაციის დაშლის(გახრწნის) მექანიზმი აქამდე ყოველთვის იყო ყველასათვის ერთი: ეგოიზმის განვითარება; ინიციატივებისა და ნებელობის შესუსტება; ხასიათისა და ზნეობის შესუსტება; თანამედროვე ახალგაზრდობა.

როგორც ანატომიურ, ასევე ფსიქოლიგიურ სახეობებში მუდმივი არაფერია. არ არსებობს პირობები ბუნებაში მისი მუდმივობის შენარჩუნებისა. თუ შემთხვევით ეს გარემო იცვლება, მაშინ სულიერი წყობის ელემენტები, რომელიც მის ზემოქმედებას ეყრდნობა, ბოლოს და ბოლოს, ექვემდებარება რეგრესიულ ცვლილებებს, რომელსაც ის გაქრობამდე მიჰყავს. ფიზიოლოგიური კანონებით, რომელიც ყველა არსებას აღენიშნება, ორგანოს გაქრობას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე მის ჩამოყალიბებას.

ნებისმიერი ორგანო, რომელიც უმოქმედოდ რჩება, მალევე კარგავს შესაძლებლობებს ფუნქციონერებისათვის, ატროფირდება და ეს ატროფია, მეკვიდრეობითი ხდება. არსებათა სულიერი წყობა არ შეიძლება აცდეს ცვლილებების ამ ფიზიოლოგიურ კანონებს. ტვინის უჯრედი, რომელიც არ მოქმედებს, ფუნქციონერებას სწყვეტს და ფსიქიკური თვისები, რომლის წარმოშობასაც საუკუნეები სჭირდება, შეიძლება სწრაფად გაქრეს. გამბედაობა, სიმამაცე, ინიციატივა, ენერგია, პრიორიტეტეები და სხვადასხვა ხასიათის თვისებები, ძალიან დიდი დროის მანძილზე შეძენილი, შეიძლება სწრაფად გაქრეს,

თუ აღარ არსებობს მიზეზი მოქმედებისა. ამით აიხსნება ის ფაქტი,რომ რომელიმე ერს ყოველთვის სჭირდება დიდი დრო, რომ ავიდეს კულტურის მაღალ საფეხურზე და ხანდახან მცირე დრო, რათა გადაეშვას გადაგვარების უფსკრულში.

როცა იკვლევ ერების თანდათანობით გაქრობის სხვადასხა მიზეზებს, რომელსაც ჩვენ ისტორია გვიყვება, ვხედავთ, რომ დაცემის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მათი სულის წყობის ცვლილება, რომელიც თავისი გონის შესაძლებლობების დაქვეითების შედეგად გაქრა. ყველა ეპოქაში გახრწნის მექანიზმი ერთი და იგივე იყო: მას მერე, რაც რომელიმე ერი აღწევს უძლეველობას ცივილიზაციისას, დარწმუნებულია რა თავის უსაფრთხოებაში, იწყებს ტკბობას(განცხრომას) მშვიდობის სიკეთით და კეთილდღეობით. შედეგად, მისი სამხედრო დიდება ნელ-ნელა იწყებს გაფერმკრთალებას, ცივილიზაციის სიკეთენი მასში ავითარებს ახალ მოთხოვნილებებს, იზრდება ეგოიზმი. მოქალაქეები საზოგადოებრივ საქმეებს სახელმწიფოს, ხელისუფლებას გადააბარებენ და სწრაფად კარგავენ ყველა იმ თვისებას, რითაც ოდესღაც მათ შექმნეს ეს სიადე. მაშინ მეზობელი ბარბაროსები და ნახევრად ბარბაროსები, რომელთაც გააჩნიათ მცირე მოთხოვნილებები და მძლავრი ინტესიური იდეალი, იწყებენ სვლას ცივილიზებული ერის წინააღმდეგ, ანადგურებენ მას და მის ნანგრევებზე აარსებენ ახალ ცივილიზაციას. ასე მოხდა როდესაც, მიუხედავად ძლიერი სამხედრო ორგანიზაციისა, ბარბაროსებმა გაანადგურეს რომი, ხოლო არაბებმა სპარსეთი. თუმცა გონებრივი განვითარება არ აკლდათ თავდასხმელთ, ამ თვალსაზრისით, შედარება დამარცხებულსა და გამარჯვებულებს შორის შეუძლებელია. რომის დაცემის დასაწყისში, ესეიგი პირველი იმპერატორების პერიოდში, რომს ჰყავდა ყველაზე მეტი მხატვარი, პოეტი, სწავლული. თითქმის ყველა ნაწარმოები, რომელმაც შექმნა მისი პრწყინვალება, ისტორიის ამ ეპოქას განეკუთვნება, მაგრამ მან დაკარგა ის ძირითადი ელემენტი, რომელსაც ვერავითარი გონებრივი განვითარება ვერ შეცვლის: ხასიათი, ზნეობა იყო დაცემული, ოჯახები იხრწნებოდა. აბსოლუტიზმის შედეგად ადამიანები კარგავდნენ თავის სახეს. იყო მრავალი საშინელი შევიწროება, მაგრამ ხალხს ამასთან მიმართებით მცირედი პროტესტიც კი არ გამოუთქვამს. ძველი საუკუნეების რომაელებს გააჩნდათ მცირე მოთხოვნილებები და ძლიერი იდეალი.ეს იდეალი იყო რომის სიდიადე. ეს სიდიადე გაბატონებული იყო თითოეულ სულზე. როდესაც რომი გადაიქცა ყველაზე მდიდარ ქალაქად, ის გაივსო უცხო ტომელებით, რომელნიც ბოლოს და ბოლოს გახდნენ რომის მოქალაქენი. დიდი რომი გარდაიქცა დიდი საყრდენ ეზოდ, მაგრამ ის უკვე აღარ იყო დიადი რომი და როცა ბარბაროსები მიადგნენ მის კედლებს, მის სული დიდი ხნის მკვდარი იყო.

ანალოგიური დაცემა ემუქრება თანამედროვე ცივილიზაციებს. მეცნიერებამ განაახლა ძველი იდეები და წაართვა ავტორიტეტი ჩვენს რელიგიურ მოღვაწეებს. მან ადამიანს მიუჩინა უმნიშვნელო ადგილი სამყაროში და დაანახა, თუ რამდენად უსამართლოა ბუნება მასთან მიმართებით. მან შეამჩნია ის, რომ ბუნებას არ ახასიათებს ის, რასაც ჩვენ თანაგრძობას ვეძახით. ყველა იმ ცნებამ, რომელიც წინააღმდეგობაშია, იმასთან რისაც სწამდათ ძველებს, რომლებმაც მოხიბლა ჩვენი მამები, ჩვენს თანამედროვეთა სულებში ეჭვი დაბადა. წარმოიშვა ანარქისტული იდეები, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია თანამედროვეთა მახასიათებელ ნიშნად. თანამედროვე ახალგაზრდებისა და განათლებული ადამიანების ორჭოფლობამ ისინი მიიყვანა გულგრილობამდე. თანამედროვე ცივილიზაციის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ხალხმა დაკარგა ის პრინციპული ღირებულებები, რომელსაც ადრე ეყრდნობოდა. იმისთვის, რომ იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი, უნდა შეგეძლოს ჩაწვდე ბრბოს სულს, გაიგო მისი აზრები და ოცნება. საგნები თავისთავად არ იცვლება. მხოლოდ იდეები, რომელიც ბრბოსათვის იქმნება, შეიძლება ძალზე შეიცვალოს და ამ იდეებზე უნდა შეეძლოთ ზემოქმედების მოხდენა. თანამედროვე სახელმწიფო მოხელეებს დიდად სჯერათ უწყებების მნიშვნელობისა და ძაან მცირედით-იდეების მნიშვნელობისა. მეცნიერებმა მათ მიუთითეს, რომ პირველი ყოველთვის შვილია მეორესი. იდეები წარმოადგენენ უხილავ ზამბარას და თუ ისინი

გაქრება, მაშინ უხილავი საყრდენი უწყებებისა და ცივილიზაციისა, დამსხვრეულია. ხალხისათვის ყოველთვის ხიფათს წარმოადგენს ის, რომ მათი ძველი იდეები ქვემოთ, ქვესკნელიისკენ ეშვებიან, სადაც განისვენებენ მკვდარი ღმერთები.

გახდნენ რა ძალიან მგრძნობიარენნი და უკიდურესად ცვალებადნი, მასები წინაღობების მიუხედავად, განწირულნი არიან მერყეობისათვის ანარქიასა და ყველაზე უხეშ დესპოტიზმს შორის. ისინი ადვილად ირაზმებიან ერთ დაძახილზე და მათი ერთდღიანი ღვთაებები მალევე მათივე მსხვერპლნი ხდებიან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ესწრაფვიან თავისუფლებას, სინამდვილეში კი ხელს კრავენ მას და სახელმწიფოსაგან ითხოვენ, რომ მან გამოჭედოს მათთვის ბორკილები. სახელმწიფო, როგორიც არ უნდა იყოს მისი ნომინალური რეჟიმი, წარმოადგენს ღვთაებას, რომელსაც მიმართავენ ყველა პარტიები, მისგან მოითხოვენ რაც შეიძლება უფრო მძიმე რეგლამენტირებასა და დაცულობას. ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო უარს ამბობს კარიერაზე, რომელიც მოითხოვს ინიციატივას, ენერგიას, პირად ძლირებასა და ნებისყოფას. სულ მცირე პასუხისმგებლობაც კი აშინებთ მათ. ის შეზღუდული ფუნქციები, რაც მათ სახელმწიფომ უბოძა, მათ აკმაყოფილებთ. ეგოიზმი ყველგან ვითარდება. თითოეულმა ბოლოს და ბოლოს მხოლოდ თავის თავზე დაიწყო ზრუნვა, საერთო ზნეობრიობა დაბლა იწევს და ბოლოს ქრება. ადამიანს აღარ შეუძლია თავისი თავის კონტროლი და ის აუცილებლივ სხვისი გავლენის ქვეშ ექცევა. რასას დაახლოებით გააჩნია ისეთივე მდგარდი ფსიქოლოგიური ნიშნები, როგორც მის ანატომიურ ნიშნებს. როგორც ანატომიურ სახეობებში ფსიქოლოქიურშიც ცვლილებები ხდება მხოლოდ მარავალსაუკუნოვან დაგროვებაში. მყარი მემკვიდრეობითი ნიშნებიდან გამომდინარე, რომელთა ურთიერთ შეთანაწყობა რასის ფსიქოლოგიურ წყობას აყალიბებს, უერთდება, როგორც ანატომიურ სახეობებს, გვერდითი ელემენტები, რომელიც გარემოს სხვადასხვა ცვლილებებიდან ყალიბდება, რასას ისინი ფართო სივრცეს უტოვებენ გარეთა ცვლილებებისათვის.

ერის ფსიქიკური წყობა წარმოადგენს არამარტო მათში ცოცხალ არსებათა სინთეზს, განსაკუთრებით, სინთეზს ყველა შთამომავლობისას,რომელმაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას. არამარტო ცოცხლების, არამედ გარდაცვლილთა როლიც კი მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში რომელიმე ერისა,ისინი არიან მათი ზნეობის შემოქმედნი და მათი ქცევების მამოძრავებელნი.

ანატომიური განსხვავებას, რომელიც ჰყოფს სხვადასხვა რასებს, თან ახლავს ფსიქოლოგიური განსხვავებულობებიც. როდესაც ერთმანეთს ადარებ ყველა რასის საშუალო ფენას, ფსიქიკური განსხვავებულობა ძაან მცირეა, ხოლო როდესაც ჩვენ ვადარებთ მაღალ ელემენტებს, ყველა რასისას, მაშინ სხვაობა ძაან დიდი ხდება.მაშინ ხდება შესაძლებელი შევამჩნიოთ მთავარი განმასხვავებელი ნიშნები მაღალი განვითარების საფეხურზე მდგომ ერებსა და დაბალი განვითარების საფეხურზე მდგომ ერებიბს შორის. მათ შორის უმთავრესი არის ის, რომ პირველთ თავისი რიგებიდან შეუძლიათ წარმოაჩინონ მრავალი ძალიან განვითარებული გონიერნი,რაც ის მეორეთ არ გააჩნიათ.

ინდივიდებს,რომელნიც დაბალი საფეხურების რასებს წარმოადგენენ, ერთმანეთში გააჩნიათ თვალნათელი თანაფარდობა. რაც უფრო ზემოთ, ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე ადიან რასები, მით უფრო მათი წევრები ცდილობენ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. დიფერენციაცია რასათა ინდივიდებს შორის გარდაუვალი შედეგია ცივილიზაციისა. ამრიგად ერები მიდიან არა თანასწორობისაკენ, არამედ უთანასწორობისაკენ. სიღრმისეულ სხვაობას, რომელიც ფსიქიკურ წყობაში არსებობს სხვადასხვა ერებს შორის, იქამდე მიჰყავს ეს ერები,რომ ისინი სამყაროს სხვადასხვანაირად უყურებენ. აქედან გამომდინარეობს,ის რომ გრძნობენ,ფიქრობენ და მოქმედებენ სხვადასხვაგვარად და მათ შორის არსებობს აზრთა სხვაობა ყველა საკითხში, როდესაც მათ უხდებათ ურთიერთ შეხება ერთმანეთთან. უმეტესი ომთაგანი,რომელიც ისტორიას ახსოვს, წარმოიშვა ამ უთანხმოებების შედეგად. დამპყრობლური, რელიგიური და დინასტიური ომები ყოველთვის რასებს შორის ომს წარმოადგენდა.

სხვადასხვა წარმოშობის ადამიანებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ რასა, ესეიგი მოახდინონ თავიანთ თავში კოლექტიური სულის ფორმირება, როდესაც საუკუნეების მანზილზე შერწყმა ხდება ერთგვარი ცხოვრებით, ერთსადიგივე გარემოში, როდესაც მათ საერთო თვისებები, საერთო ინტერესები, საერთო სარწმუნოება მიიღეს. მყარი კოლექტიური სულის შეძენა ერში მისი უდიდესობის აპოგეას წარმოადგენს. ამ სულის გახრწნა არ ნიშნავს მისი დაცემის დროს. უცხოური ელემენტების ჩარევა წარმოადგენს ყველაზე მეტ საშუალებას მისი გახრწნისას.

ფსიქოლოგიურ სახეობებზე, როგორც ანატომიურზე, ზემოქმედებს დრო და შესაბამისად მათი დაბერება და გაქრობა გარდაუვალია. მათი ჩამოყალიბება ნელა მიმდინარეობს, ხოლო პირიქით, შეიძლება მალე გაქრენ. საკმარისია დავარღვიოთ მათი ორგანოების ფუნქციონირება, რომ ვაიძულოთ მათ განიცადონ რეგრესიული ცვლილებები, რომლის შედეგები ხშირად სასიკვდილოა.ერებს სჭირდებათ მრავალი საუკუნე, რომ შეიძინონ გარკვეული ფსიქიკური წყობა.ისინი მას ხანდახან ძაან სწრაფად კარგავენ. აღმავალი გზა, რომელთაც ისინი მიჰყავთ ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე, ყოველთვის ძაან გრძელია, ხოლო გზა დაღმავლობისა,უმეტეს წილად არის ძაან მოკლე.

ხასიათის გვერდით აუცილებლად უნდა დავაყენოთ იდეები, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ცივილიზაციისა ევოლუციისა.ისინი მოქმედებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ნელი ევოლუციისას ხდება გონის გარდაქმნა. მაშინ ისინი წინააღმდეგობებიდან დაზღვეულნი არინ, და მათ გაქრობას სჭირდება დიდი დრო. ყოველი ცივილიზაცია წარმოიშობა საერთოდ მიღებული ძირითადი იდეებისაგან.

ახალი ღმერთების დაბადება ყოველთვის ნიშნავდა ახალი ცივილიზაციის რიჟრაჟს და მათი გაქრობას ყოველთვის მათ დაცემას განაპრობებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი წარმართველი ცივილიზაციების იდეებს შორის არის რელიგიური იდეები. რელიგიური რწმენის შეცვლა უშუალოდ იწვევდა მრავალ ისტორიულ მოვლენას. კაცობრიობის ისტორია ყოველთვის მიმდინარეობდა მათი ღმერთების პარალელურად.

დასკვნა

ვაკვირდებით რა ყურადღებით ისტორიულ ფაქტებს, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სოციალური ორგანიზმები, ისეთივე რთულია, როგორც ყველა ცოცხალი არსების და ჩვენს ძალებს აღემატება გამოვიწვიოთ მასში სიღრმისეული ცვლილებები. ბუნება ხანდახან მოქმედებს რადიკალურად, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ გვესმის. ამიტომ სურვილი დიდი, მასშტაბური რეფორმების გატარებისა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ერისთვის, რაოდენ კარგიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი. თეორიულად მათ შეიძლება მოეტანათ დადებითი შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მყისიერად ერის სულის შეცვლა. ასეთი ძალა კი მხოლოდ დროს გააჩნია. ხალხს წარმართავს იდეა, რწმენა, ზნეობა, ის, რასაც ჩვენ ჩვენში ვატარებთ. უწყებები და კანონები წარმოადგენს ჩვენი სულის ანარეკლს, ჩვენი მოთხოვილებების გამოხატვით. მათ არ შეუძლიათ ერების სულის შეცვლა იმიტომ, რომ ისინი თვითონ იქიდან წარმოიშვნენ.

ასეული წლების წინ ტრადიციული სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი მოვლენების მთავარ ფაქტორს შეადგენდნენ. მასების აზრს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. დღევანდელ დღეს პოლიტიკურ ტრადიციებს, მონარქთა მიდრეკილებებს, მათ მოწინააღმდეგეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს და პირიქით ბრბოს ხმა სჭარბობს მათსას. მასები კარნახობენ უკვე თავის მოთხოვნებს და მათ სურვილების აღსრულებას მთავრობა ყურადღებას აქცევს. არა სახელმწიფო მმართველების სათათბიროებში, არამედ მასების სულში მზადდება უკვე ერების ბედი.სახალხო კლასების გამოსვლა პოლიტიკური ცხოვრების არენაზე, ესეიგი მათი ნელ-ნელა ხემძღვანელ კლასად ჩამოყალიბება, წარმოადგენს ერთ-ერთ უფრო თვალსაჩინო თვისებებს ჩვენს გარდამავალ ეპოქაში. აქამდე, მასების როლი განისაზღვრებოდა მხოლოდ

ცივილიზაციათა ნგრევით. ისტორია მიგვანიშნებს: ის ზნეობრივი ძალები რომელსაც ცივილიზაციები ეყრდნობოდა, კარგავენ ხელისუფლებას, ნგრევა ხდებოდა გაუთვიცნობიერებული ბრბოს მიერ, რომელთაც სამართლიანად ბარბაროსებს უწოდებდნენ. თავისი დამანგრეველი ძალიდან გამომდინარე, ბრბო მოქმედებს, როგორც მიკრობები, რომელიც ხელს უწყობს დასუსტებული ორგანიზმის, ანდა ცხედრის ხრწნას. მხოლოდ ამ დროს გამოვლინდება მისი მთავარი როლი და დროებით რიცხოვნობის ფილოსოფია წარმოადგენს, ალბათ, ერთადერთ ისტორიის ფილოსოფიას. იქნება თუ არა ეს ისევე საშიში ჩვენი ცივილიზაციისათვისაც? უნდა გვეშინოდეს თუ არა ამის?, მაგრამ ჩვენ ეს არ გვეცოდინება, როგორადაც არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ბრბოს არსებობას. იმ ბრბოს შესახებ რომელზედაც ლაპარაკობენ, ჩვენ ძაან ცოტა რამ ვიცით. პროფესიონალი ფსიქოლოგები ყოველთვის იგნორირებდნენ მათ და თუ დაკავდებოდნენ მათით, მხოლოდ მათი დანაშაულებრივი ქმედებების შესწავლით. რასაკვირველია არსებობს დანაშაულებრივი ბრბო, მაგრამ არსებობს კეთილმყოფელი, გმირი და ბევრი სხვა სახის ბრბო. ბრბოს დანაშაულებანი მხოლოდ კერძო შემთხვევაა მისი ფსიქოლოგიისა და არ შეიძლება გავიგოთ ბრბოს სულის წყობა მხოლოდ მისი დანაშაულობების შესწავლით. მხოლოდ სიღრმისეული წვდომით მასების ფსიქოლოგიაში შეიძლება გავიგოთ, რამდენად ძლიერად მოქმედებს მათზე იდეათა შეგონება. შეუძლებელია, არ იქნეს მონახული ის,რაც მოახდენს მათზე ზეგავლენას და ჩაითრევს მათ. ამრიგად,მასების ფსიქოლოგიის შესწავლა სასურველია პრაქტიკული თვალსაზრისით, მაგრამ თუ ის თეორიულ ინტერსეს წარმოადგენს მაშინაც საყურადღებო იქნებოდა, შეგვეცნო-თუ რა ამოძრავებს ადამიანის მოქმედებებს. სიტყვა „ბრბოს“ქვეშ იგულისხმება ჩვეულებრივად ინდივიდთა შეკრება, როგორიც არ უნდა იყოს მათი ეროვნება, პროფესია, ანდა სქესი და რა მიზანს ემსახურება ეს შეკრება. ეჭვგარეშეა, რომ მხოლოდ შემთხვევითი ფაქტი მრავალი ინდივიდის ერთად ყოფნისა არასაკმარისია იმისათვის, რომ მიიღოს ორგანიზებული ბრბოს ხასიათი. ამისათვის საჭიროა ზოგიერთი გამაღიზიანებელის ზეგავლენა.

მანამდე, სანამ ვისაუბრებთ ბრბოთა სხვადასხვაგვარ კატეგორიებზე, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათი საერთო თვისებები და მოვიქცეთ ისე როგორც იქცევა ნატურალისტი, რომელიც იწყებს არსებული საერთო თვისებებით ყველა ინდივიდში ოჯახის აღწერას და შემდგომ გადადის ნაწილებთან, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განვასხვავოთ ამ ოჯახის სახეობები და მოდგმა(წარმომავლობა).

ზოგიერთი ფსიქოლოგიური ხასიათი ბრბოსი თანხვედრაშია იზოლირებულ პირებთან, მეორენი კი პირიქით, ჩვევისეულია და გვხდება მხოლოდ ერთობლიობაში და გვხდება მხოლოდ შეკრებებზე. ძნელი არ არის შევამჩნიოთ, იზოლირებული ინდივიდი რამდენად განსხვავდება ბრბოში მყოფ ინდივიდისაგან, მაგრამ შედარებით რთულია განვსაზღვროთ ამ სხვაობის მიზეზები. იმისათვის, რომ რამდენადმე განვსაზღროთ ეს მიზეზები, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ერთ-ერთი თანამედროვე ფსიქოლოგის დებულება, რომ გაუაზრებელი მოვლენა დიდ როლს თამაშობს არამარტო ორგანულ ცხოვრებაში, არამედ გონშიც. აზრიანი გონის ცხოვრება შეადგენს მცირედ ნაწილს მისი გაუაზრებელი ცხოვრებისას. ჩვენი შეგნებული(ცნობიერი) ქცევები გამომდინარეობს შეუგნებული სუბსტანციიდან,რომელიც მემკვიდრეობითი განსაკუთრებულობების ზეგავლენით წარმოიშობა. ეს საერთო ხასიათის თვისებები, რომელიც გაუაზრებლობით მართულია და რომელიც ერთიანი ხარისხით არსებობს რასის ნორმალურ ინდივიდებში, ერთიანდება ბრბოში, კოლექტიურ სულში, ინდივიდთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებში. შედეგად, მათი ინდივიდუალობა ქრება. მრავალფეროვანი ერთ ფერში იძირება და უპირატესობას გაუაზრებელი იღებს.

ამრიგად, შეგნებული პირის გაქრობა და შეუგნებელი პირების სიჭარბე, გრძნობებისა და იდეების ერთიანი მიმართულებაა, რომელიც ზემოქმედებით განისაზღვრება და რომლის მისწრაფებაა დაუყოვნებლივ გადავიდეს მოქმედებაში. იდეა – აი მთავარი თვისება, რომელიც ახასიათებთ ინდივიდებს ბრბოში. ის არ არის ის პიროვნება,რომელსაც თავისი ნება გააჩნია.

ადამიანი ლეგენდა
თ ე ნ გ ი ზ კ ი კ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი

წელს ადამიანი ლეგენდა და ძლიერი
პიროვნება
ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი
80 წლის გახდებოდა

1940 წლის 16 აპრილს დაიბადა ადამიანი, რომელმაც დაგვანახა, რომ ამ მძიმე ცხოვრებას არ შეუძლია ადამიანობა დაგაკარგინოს, თუ ამისათვის იბრძოლებ...

2020 წელი ამ დიდი პიროვნების საიუბილეო წელია!
გებოდიშებით მყუდროებაც რომ დაგირღვიეთ.
გებოდიშებით და თან თავხედურად მაინც გენახვამდებით...

ბატონმა თენგიზმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა (1992–2000 წ. წ.) ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვაში.

1992წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, იგი აირჩიეს „ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტის" თავმჯდომარედ (ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით). შემდეგ, 1993 წლიდან პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" ვიცე-სპიკერად (სპიკერი – ზვიად გამსახურდია). შემდგომ, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარის მოადგილე (1995) და თავმჯდომარე (1997–2001) იგი წინააღმდეგობის მოძრაობას ხელმძღვანელობდა ისეთი ტერორის პირობებში, რომელიც დღეს წარმოუდგენელია.

ბატონი თენგიზი – თსუ-ს პროფესორი, ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, თსუ-ს დიდი საბჭოს წევრი.

იგი 9-ჯერ იყო დაპატიმრებული, ერთჯერ გასამართლებული.

ცხოვრება უწევდა უკიდურესად მძიმე პირობებში. მიუხედავად ამისა და კიდევ ბევრი ხელოვნური წინააღმდეგობისა ბატონი თენგიზის გატეხვა ვერ მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ბატონი თენგიზის ცხოვრებაში არაფერი არ ხდებოდა გარდა უნივერსიტეტისა და მეცნიერებისა.

სამწუხაროა, რომ ბატონი თენგიზის უდიდესი ღვაწლი როგორც უნივერსიტეტში, ისე პოლიტიკაში სათანადოდ ჯერ არ შეფასებულა და შეიძლება ითქვას, კარგადაც არის დავიწყებული. ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდები მხოლოდ მის პედაგოგიურ მოღვაწეობას იხსენებენ, ისიც მკრთალად. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ კარგი და საყვარელი პედაგოგი კი ბევრია, მაგრამ ბატონი თენგიზი თავისი გმირული ცხოვრებით ერთადერთია!

ნათელი და მშვიდობა თქვენს სულს ბატონო თენგიზ!

მე გაზაფხულზე მოვკვდები, ალბათ,
ყოჩივარდების აფეთქებისას,
ან შემოდგომით, ვაზების ძირში,
გაბმულ თრობის და პურად ღებისას.

ან ცივ ზამთარში ავიკრეფ გუდას,
მზე, უსიცოცხლო, საწყლად რომ გოდებს,
ან ჩუმ ზაფხულში – ძარღვდასიცხული,
გასაგრილებელს – წავიყრი ლოდებს.

და რა დარჩება, სოფელო, ჩემგან?
მთრთოლვარე სულის უსხივო ჩერო!
და ძვლების გროვა – დაკორტნის რასაც
ბნელი ჭაობის ყანჩა და წერო!

თენგიზ კიკაჩეიშვილი „ტკივილები"





თამარ გომართელი

ფილოლოგი, ჟურნალისტი, ტელეწამყვანი

ო ს ა ნ ა

„ოსანა“, – წამოიძახა ვიღაცამ ბრბოში და გახევდა ხალხი. უკანასკნელი ჟანგბადისგან გაიტუმბა ბოლო ჰაერი და ფილტვის ქსოვილს გამომშრალი ჩალასავით გაერჭო შიში. ავგეას თავლას შელახულ ბრძენებს სანაქებოდ უღაღადებდა სოლომონი – „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო...“ გაისმოდა ეს ხმა, მაგრამ აღთქმულ ქვეყნამდე გადასალახი რუბიკონი გაცხადებული ომივით ზარავდა ყველას. ჰომეროსული ხარხარით იბანებოდა ყველა ხელი პილატეს მოდგმის, განზე გადგომას ასწავლიდა სიზიფეს შრომა ძლიერებს ქვეყნის.

ფიცი ფიცისთვის იდებოდა მხოლოდდამხოლოდ, იმ მწიგნობართა და ფარისეველთა მსგავსად და არა ისე, როგორც მაშინ პართაგენს, სახელოვანი ჰანიბალის ფიცივით მტკიცედ. ავგურის ღიმილით, ეზოპეს ენით იმართებოდა ქვეყნებში ხალხი, ქალდეას კედელს აშენებდა ნიმრუდი ისევ და ეს გოდოლიც ზეცად აწვდენდა ხეს ცნობადისა და ბოროტისა.

ათენურ საღამოებს ისევ აწყობდნენ ბელზებელები საქვეყნო ხიბლით, გედსიმანიის ბაღში კი ხელუხლებლად ესვენა არგოსელ ბერძენთა დანაელების ძოვენი. მზის აპოლონი კვლავაც დასდევდა თავდავიწყებით უბადრუკ დაფნეს, თითქოს გორდეას ნასკვი ძარღვებშეზრდილი ეჭირა ხელში.

„ოსანა“, – აჰყვა მეორეც. – დიდება ჰეროსტრატეს, – წამოიძახა ვიღაცამ ბრბოში და დადუმდა ყველა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ასეა დასაბამიდან დღემდე და ამიტომაც შენი პათოსი სულ არიადნეს ძაფზე ჰკიდიათ მათ, ვისაც დღემდე არ სჯერა, რომ რომი ბატებმა იხსნეს მომხდური გალებისაგან და მათაც, ვისთვისაც მამრთა

მოდგმა ჰეტერების ძღვენია კაცობრიობისთვის.

„შენ მოგესალმებით, სასიკვდილოდ განწირულნი," – მიმართავდნენ ცირკის არენაზე გამოსული გლადიატორები მაყურებლებს. ეს მიმართვა იყო პანდორას ყულაბაც, დრაკონის კანონიც და ეოლოსის ქნარიც, ჰერკულესის სვეტებამდე უკიდეგანოდ გადაჭიმული ნაცადი ცდუნება, ხის ტოტზე შემოხვეული დასჯილი ძალი.

ჩამოდგა თეთრი ტერორი, პიროსის გამარჯვება ჩემპიონური როკვით, რომელიც უწინდებურად ვერ ამართლებდა მისთვის გაღებულ მსხვერპლს. თუმც ცოტაოდენი ხვდებოდა ამას.

„ცოტანი რჩეულ"... „ბურბონებმა კი ისევ ვერაფერი ისწავლეს," – ჩაიბუტბუტა მოხუცმა და მინავლებულ ღადარს თხილის ტოტი მიაშველა. რასღა ისწავლის ტომი მაგოგი, მას ხომ ქილიკი სჩვევია ოდენ, იერიქონის საყვირით ხელში ხბოს კერპს უგალობს ოქროცურვილი.

„შეიცან თავი შენი" – წარწერა იყო აპოლონის ტაძრის შესასვლელს ძველად დელფოში. და ნუ გგონია მიწას ფრჩხილებით ამოთხრი მერე, ხანგრძლივ ყოყმანში ბურიდანის ვირად ქცეული. ეს მე ვარ სახელმწიფო და ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა – წამოსცდომია ოდესღაც მეფეს სირინოზივით მგალობელი კეთილხმოვნებით და ამბის თხრობაც იმ წუთიდან შეუწყვეტია მეისტორიეს. ძაღლის თავს ეძებ, შავ კატას ბნელში, ვითომ პოულობ დამოკლეს მახვილს ბამბის გროვაში. ამპარტავნებით გადაფუთული ცერბერივით გადიხარ ხალხში და ისევ გესმის ერთის ხმა ბრბოში – ოსანა, დიდება შენდა! რამეთუ მწყუროდა და მასვი, მშიოდა და დამაპურე, მციოდა და შემმოსე, ვიხრწნებოდი და აღმადგინე ! ოსანა შენდა ! დანაელების კასრებს ვავსებდი – ფუჭ იყო ღვაწლი, ლომის არჩივით განვაგებდი მტყუანს მართლისგან – ფუჭ იყო ღვაწლი, ლუკულუსის ნადიმებს ვშლიდი კაენის ბეჭდებასხმული ხელით – ფუჭ იყო ღვაწლი, ტროადის ცხენით მივაჭენებდი ფებოსის ცეცხლებს – ფუჭ იყო ღვაწლი, ერთ ხელში სკიპტრა, მეორეში კი გასაღები იანუსივით – ფუჭ იყო ღვაწლი. და აჰა, მოდგა ცერბერი ყეფით, ბერძნულ მითებში ამღერდა გედიც, ლინჩის სამართალს მოითხოვ ამოდ, მწუხარე სახის ტანტალოსივით.

„სჯობს იყო პირველი სოფლად, ვიდრე მეორე რომში" – ეს მე არ მითქვამს, აღმოხდა პირველ. „ადამიანი ადამიანისთვის მგელია" – არც ესენია ჩემი სიტყვები, გაისმა ისევ. „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის" – არასოდეს ვიტყოდი ამას, ითქვა მესამედ, ვრავის სახიანს ვინ დასდო ბრალი?! ასე ინათა მამლის ყივილზე დროზე ადრე და დროულად გვიან, სამჯერ უარყო ერთმა ყველაში და ყველამ ერთში.

დუჟიან ბრბოში გამოატარეს ეშაფოტისკენ – რად დადიოდი დღისით, მზისით ფარანით ხელში? ის კი შეუყვა ქვის ვიწრო კიბეს, ადამიანებს დავეძებდი – იყო პასუხად, დადო სიმშვიდე ჯალათის კუნძზე, დადუმდა ბნელი. ნიობეს ცრემლი აღარ სდიოდა თებეს დედოფალს,

მზის აპოლონიც აღარ დასდევდა უბადრუკ დაფნეს, კეისარს აღარ მიაგებდნენ კეისრის ოდენს, ოსანას ახლა ბევრთან ერთად მღეროდა ერთი.

7 აპრილი, 2020 წელი

ამ ქვეყნად ჯერ არაფერი მოემიტანია და არც არაფერს წავიღებ...

ნონა ქევხიშვილი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“ წარმომადგენელი იტალიაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომიტეტის წევრი

ამჟამად ვარ ემიგრანტი. დავიბადე უბრალო ოჯახში. მშობლები ბავშვობის ასაკშივე დავკარგე, თუმცა დედამ სიცოცხლეშივე იზრუნა ჩემზე და ოჯახური გაუსაძლისი პირობების გამო, ჩემი აღზრდისა და ზრუნვის მიზნით თავადვე მიმართა სახელმწიფოს დახმარებაზე. მიმაბარეს ბავშვთა სახლში. დავამთავრე საშუალო სკოლა და როგორც საკუთარი თავის იმედად დარჩენილმა, სწავლა-განათლებას ვერ დავუთმე დიდი დრო და მხოლოდ ფიზიკურად ვშრომობდი... თუმცაღა ძალიან აქტიური მოსწავლე ვიყავი... უფრო სპორტით ვიყავი გატაცებული...

აქტიურად ვიყავი ჩართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის ჟურნალისტებთან პროფესიულ ურთიერთობაში, რომლებიც თავიდანვე დაინტერესედნენ ჩემს მიერ გაგზავნილი წერილებით და იმ პერიოდის ცნობილი საბჭოთა გაზეთის „ნორჩი ლენინელის“ ერთ-ერთი წლის გამარჯვებულიც კი გავხდი!

განსაკუთრებით ვწერდი ბავშთა სახლის ნეგატიურ ცხოვრებაზე და ჩემი აღმზრდელი მასწავლებლების მადლიერებაზე, რასაც შემდგომ მოჰყვა სხვადასხვა სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებთან ერთად ჩემი ბავშვთა ცენტრ - „არტეკში“ გამგზავრება 40 დღით... ეს იყო ჩემს ბავშვობაში ყველაზე დიდებული და ბედნიერი წამები ...

სკოლის დამთავრების შემდგომ სახელმწიფო მეხმარებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი მოსამზადებელი კურსების გავლისთვის საჭირო დაფინანსებაში, რათა შემდგომ მომხადრიყო ჩემი უნივერსიტეტში ჩაბარება... გავიარე ეს კურსები და თან პარალელურად ვმუშაობდი სამცვლიან სამსახურში ... სიმართლე უნდა ვთქვა, ძალიან გამიჭირდა 17 წლის ასაკში ასეთი დატვირთა, მითუმეტეს ღამის სამუშაო ცვლის პერიოდში ...

ამავდროულად, პარალერულად, საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სადაც აქტიურად ვიყავი ჩართული ისე, რომ ბოლოს, თითქმის, მიტინგებზე დასწრების გამო, სამსახურის გაცდენებიც კი მიწევდა.

ამა დროისათვის ვხდები 18 წლის და შემაქვს განცხადება ბინის დახმარებაზე იმ დროინდელი ცეკას მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის სახელზე, რომელიც მაშინვე იქნა დაკმაყოფილებული და აღსასრულებლად გადაეცა ქალაქის საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ირაკლი ანდრიაძეს ... ამას ავღნიშნავ იმიტომ, რომ ეს სწორედ ის ბიუროკრატი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუძინებელი მტერი

იყო, რომელმაც სხვადასხვა მაქინაციებით ხელი შემიშალა უნივერსიტეტში ჩაბარებაზე ...

მაშინ ეს ისე მტკივნეულად არ მიგვრძვნია, რამდენადაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძარაობის გმირებიდან ბევრად უფრო დიდ მოძღვრებებს ვიღებდი და მეც, ბევრის მსგავსად, ქუჩაში ვისწავლე საქართველოს ნამდვილი ისტორია... ამ პერიოდშივე სამშობლოს სიყვარულისადმი გამიძლიერდა რწმენა... ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაიმე განსაკუთრებული გმირობა არ ჩამიდენია, მაგრამ მუდამ მჯეროდა, რომ იქ ვიდექი, სადაც სამშობლო ითხოვდა... ვიდექი მრწამსად სიმართილისა და ქრისტეს ჭეშმარიტების გზად, რომელსაც ჩვენი ეროვნული გმირები - ზვიადი და მერაბი მიუძღვებოდნენ... მყარად აღვიქვამდი სამშობლოსადმი ერთგულებას, სიკეთესა და სიყვარულს, რომ მოყვას არა უნდა ვავნო რა!

აი, ეს არის მოკლე ცნობარი იმისა, რაც ჩემს წარსულს ეხება...

ჩემი ბიოგრაფია რთული და ნეგატიურობით აღსავსე იყო, მაგრამ მომავლისადმი რწმენა არასოდეს დამიკარგავს!

ყველაფრისთვის მადლობას ვსწირავ უფალს, რაც მაქვს და როგორც დღესა ვარ... მყავს ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი... მიუხედავად იმისა, რომ არც ოჯახის შენარჩუნებაში გამიმართლა, ცხოვრებამ მარტოხელა დედად მაქცია, უკმაყოფილო არ ვარ... მე ჩემი ცხოვრებით მეამაყება, რომელიც მხოლოდ უბრალოებითაა სავსე ....

მე ცხოვრებას არ ვემდური,
არც მინახავს თითქმის,
არნახულის სამდურავი
აბა, როგორ ითქმის!

დღეს, კალი-იუგას ხანა ზეობს საქართველოში... სატანა ბობოქრობს, კიდევ უფრო მძაფრად და მძლავრად... ცოდვის მორევმა წალეკა სამყარო და გააუფერულა ირგვლივ ყოველივე... ადამიანები თითქოს მაცდურის აჩრდილებად იქცნენ... დაუნდობელი და სასტიკი გახდა ცხოვრება... თითქოს ყველგან ყველას ნიღბები ჩამოეცვა და ეშმაკმაც კი უფალზე დაიწყო „ლოცვა". ეს ხომ აფსურდია, მაგრამ კაცობრიობამ იმდენად შეიყვარა სატანური ფული, რომ ღირსება ფულში გაცვალა... ადამიანებმა სული მიჰყიდეს ეშმაკს და მიწიერ წურბელებად გარდაიქმნენ... ადამიანებში ნდობა დაიკარგა... ძალმომრეობამ იფეთქა და ლამის ეკლესიის კედლებიც ჯოჯოხეთად აქციეს... რწმენადაკარგულ ერში გზა უფსკრულისაკენ გარდაუვალი გახდა... სიყალბე მეფობს... ყოველი მართალის წინ ეკლიანი გზა და ზურგს უკან ამხედრებული მახვილი თანამგზავრობს...

უფალი სასწაულს მხოლოდ სუფთა გულის მორწმუნე ადამიანებს უმზადებს , რომელთაც რწმენისათვის, სიმართლისათვის, სიკეთისათვის და ერთგულებისათვის მწარედ სჯიან....

და აი, ნათლად მოსჩანს გზა ეკლესიისაკენ, გზა სიმართლისა, სიმტკიცისა, ურყევი გზა რწმენის ძლიერიებისა და სიყვარულისა... გზა, რომელიც ეკლითაა ჯვარცმული, მაგრამ მაინც გზა გარდაუვალი აღდგომისაკენ... გზა, რომელსაც მხოლოდ უფლის სადიდებლად მივყევართ... ეს გზა ურთულესია... სველი აღმართია რწმენიდან სულის ძლიერებამდე... და სწორედაც, ეს ყოველივე ჰბადებს იმედსა და სიკეთეს ადამიანში... ჰბადებს სინანულს, დათმენას და გიხსნის გონიერებას... მხოლოდ რწმენის ძლიერება, სიყვარული და უბრალოება გადაგვარჩენს ....

იტალია, მილანი, 2020 წელი

გაიღვიძე საქართველოვ!

სტატია გამოსაცემად მოამზადა

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“

იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომიტეტის წევრმა

ნინო რაზმაძემ

ესეც ჩაივლისო . . .
აკი რამდენმა ვირუსმა
ჩაიარა ამ ქვეყნად . . .

გავიხსენოთ ჩავლილი ვირუსები, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანია ვირუსული ენცეფალიტები – ნეიროტროპული ვირუსებით გამოწვეული დაავადებების ჯგუფი, რომლებიც ხასიათდებიან ტვინის ნივთიერების ანთებით. ზოგადად ეს ვირუსები იწვევს ნეირონების დესტრუქციას, ტვინის ქსოვილის შეშუპებას, არტერიიტებსა და წვრილი სისხლძარღვების თრომბოზს, გლიის პროლიფერაციას. ტვინის დაზიანება შეიძლება იყოს დიფუზური (ენცეფალომიელიტი), შერჩევითი (პოლიოენცეფალიტი), ან ლოკალური. ჩვეულებრივ პროცესში ჩართულია ტვინის გარსებიც. ვირუსული ენცეფალიტები – ტკიპისმიერნი არიან (გაზაფხულ-ზაფხულის ენცეფალიტი). ვირუსები გადადის ტკიპებით. გარდა ტკიპის კბენის დროს დაინფიცირებისა, შესაძლებელია ასევე დასნებოვნება ალიმენტური გზითაც. დაავადება წარმოიქმნება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. ისევე, როგორც სხვა ნეიროინფექციების დროს, კლინიკური სურათის გამოხატულება და ნერვული სისტემის ამა თუ იმ ნაწილის დაზიანების გავრცელება ვარირებს მსუბუქი არასპეციფიკური ცხელებითი მდგომარეობიდან, ან სეროზული მენინგიტებიდან, უმძიმეს მენინგოენცეფალიტებამდე, რომელიც მთავრდება ლეტალურად.

განსაკუთრებით ტიპიურია ტვინის ღეროს რუხი ნივთიერების, ან ზურგის ტვინის კისრის ნაწილის დაზიანების სურათი. ზოგადინფექციური სიმპტომთკოპლექსის ფონზე ვითარდება ბულბური დარღვევები კისრისა და ზედა კიდურების დუნე დამბლები. აღინიშნება ასევე მენინგეალური სიმპტომები. მძიმე დაზიანების დროს აღინიშნება ბოდვები, ჰალუცინაციები, გონების დაბინდვა.

მწვავე პერიოდში სისხლის გამოკვლევით ვლინდება ლეიკოციტოზი, ედსის მომატება, ცერებრულ-სპინურ სითხეში – ზომიერი პლეოციტოზი.

ვირუსული ენცეფალიტები – პროგნოზი. სიკვდილიანობა შეადგენს 10-დან 20%-მდე. შესაძლებელია სრული გამოჯანმრთელება, ან გამოჯანმრთელება ნევროლოგიური დეფექტით – კისრის, ხელის, ზედა კიდურების სარტყლის კუნთების სისუსტისა და სიგამხდრის სახით.

ვირუსული ენცეფალიტები – კოღოსმიერი ენცეფალიტი (იაპონური) – გამომწვევი სპეციფიკური ვირუსია, რომელიც გადააქვთ განსაკუთრებული სახის კოღოებს. კლინიკური სურათისათვის დამახასიათებელია ენცეფალური სინდრომის გამოხატულება, გონების ღრმა დაბინდვა. სისხლში აღინიშნება მაღალი ლეიკოციტოზი. სიკვდილიანობა ცალკეული

აფეთქებების დროს შეადგენს 10%-ს; სრული გამოჯნმრთელება აღინიშნება დაავადებულთა ნახევარში.

ვირუსული ენცეფალიტები – ეკონომოს ლეთარგიული ენცეფალიტის მწვავე სტადია აღინიშნება როგორც ჰიპერსომნული ოფთალმოპლეგია. საბედნიეროდ, ეკონომოს დაავადების ჭეშმარიტი შემთხვევები ამჟამად არ გვხვდება.

აღსანიშნავია, ვირუსული ენცეფალიტები – *პარაინფექციური და პოსვაქცინური ენცეფალიტები (მენინგოენცეფალომიელიტები)*. ეტიოლოგია, პათოგენეზი. გადამწყვეტია ალერგიული რეაქციები. ნერვული სისტემის მხრივ პარაინფექციური გართულებები აღინიშნება თითქმის ყველა ცნობილი ინფექციების დროს. პარაინფექციური და პოსტვაქცინური გართულებების ნევროლოგიურ სინდრომს, როგორც წესი, არა აქვს რაიმე სპეციფიკური ნიშნები, მისი ბუნება დამოკიდებულია ძირითად დაავადებაზე.

ვირუსული ენცეფალიტები – *ენცეფალომიელიტი ანტირაბიული აცრების დროს*. ჩვეულებრივ კონსტანტირებულია ნევროლოგიური გართულებების 2-3 შემთხვევა 10 ათას ადამიანზე, რომლებმაც მიიღეს ანტირაბიული ვაქცინა. აცრის შემდგომი გაფანტული ენცეფალომიელიტი წარმოიქმნება ანტირაბიული ვაქცინის რამდენიმე ინექციის შემდეგ. განსაკუთრებით კანონზომიერია განივი მიელიტის განვითარება თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილების დაზიანების ფონზე.

ასევე, აღსანიშნავია, ლეთარგიული ენცეფალიტი –ეპიდემიური ლეთარგიული ენცე-ფალიტი (რომელიც, ასევე, პოსტენცეფალური პარკინსონიზმის სახელითაა ცნობილია) ხანმოკლე აფეთქება პირველად, 1917 წელს აღწერა ეკონომომ (Von Economo, 1929), რომელიც ვენის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოღვაწეობდა. ლეთარგიულმა ენცეფალიტმა ეპიდემიურ დონეს 1920 წელს მიაღწია, ხოლო 1930 წლისთვის თითქმის მთლიანად გაქრა. ამჟამად მხოლოდ ერთეული სპორადიული შემთხვევები გვხვდება (Howard and Lees, 1987). ითვლება, რომ მისი გამომწვევი მიზეზია გრიპის ვირუსი ან მასზე იმუნური რეაქცია. ყველაზე მძიმე გართულებაა პარკინსონიზმი, ხოლო მეორე ადგილზეა ანტისოციალური პიროვნული აშლილობა, რომელსაც გამოხატული ქცევითი დარღვევები ახასიათებს. ზოგ შემთხვევაში ვითარდება შიზოფრენიისმაგვარი მდგომარეობა. ზაკსმა (Sacks, 1973) დეტალურად აღწერა ეს მდგომარეობა და ზოგი პაციენტის შემთხვევაში, L-დოფას ხანმოკლე და გასაოცარი „გამოჯანმრთელების“ ეფექტი აჩვენა. ნევროპათოლოგიურად ეს დაავადება პროგრესული სუპრანუკლეური დამბლის მსგავსია, რომელიც მწვავე სტადიაში ხასიათდება ცხელებით, კატარალური მოვლენებით, ძილქუშით და ა.შ., ხოლო ქრონიკულ სტადიაში – ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილებების დაზიანებით, რასაც თან ახლავს პარკინსონიზმის განვითარება და პიროვნული თვისებების საგრძნობი ცვლილებები. ავადმყოფობის გამომწვევი აგენტი აქამდე დადგენილი არ არის, თუმცა გამორიცხული არ არის მისი ვირუსული ეტიოლოგია.

ლეთარგიული ენცეფალიტი, ანუ ძილის ავადმყოფობა წინა საუკუნის ერთ-ერთი ამოუცნობი დაავადება გახლავთ, რომელმაც უამრავი ადამიანი შეიწირა, ძირითადად – 15-დან 35 წლამდე ახალგაზრდები...

უცნაური დაავადება ადამიანებს „ცოცხალ ძეგლებად“ აქცევდა – მათ არ შეეძლოთ სიარული, ლაპარაკი და ჭამა. ლეთარგიული ენცეფალიტის მდგომარე-ობიდან გამოსვლა ძალიან რთული იყო, ამიტომ საიდუმლო სენმა 50 მილიონამდე ადამიანი დააზარალა.

ეპიდემია 1914-15 წლებში, პარიზში დაიწყო, როცა ჯარისკაცებმა მასობრივად

დაიწყეს ექიმებთან მისვლა. ყველა შემთხვევაში, სიმპტომი ერთნაირი იყო: თავის ტკივილი, სისუსტე და ძილიანობა.

პირველი სიმპტომების შემდეგ პაციენტები ხანგრძლივ და ღრმა ძილში ეფლობოდნენ, საიდანაც გაღვიძება ყველას აღარ ეწერა. იღბლიანები, რომლებმაც გაღვიძება მოახერხეს, მეხსიერების დაკარგვასა და გონების დაბინდვას უჩიოდნენ.

ეს დაავადება მეტ-ნაკლებად კარგად შეისწავლა ავსტრიელმა ნევროლოგმა კონსტანტინე ფონ ეკონომომ. ამ ადამიანმა მთელი ცხოვრება ლეთარგიული ენცეფალიტის კვლევას მიუძღვნა, თუმცა კონკრეტულ შედეგამდე ვერ მივიდა. ადამიანები ისევ იღუპებოდნენ.

დაავადების სიმპტომები ძალიან ჰგავდა ჩვეულებრივ გაცივებას, ან გრიპს, ამიტომ ლეთარგიული ენცეფალიტის დიაგნოზის დადგენა რთული იყო. როცა ექიმები ხვდებოდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე, ტვინი უკვე დაზიანებული იყო.

იშვიათ შემთხვევებში ექიმები ახერხებდნენ დადგენას, რომ ლეთარგიული ენცეფალიტით დაავადებულ ადამიანებს ყელის ტკივილი აწუხებდათ. კვლევების პროცესში, პაციენტებს სტრეპტოკოკის ბაქტერიაც აღმოაჩნდათ. ვარაუდობდნენ, რომ სწორედ ის იყო ორგანიზმის იშვიათი, სპეციფიკური რეაქციის გამომწვევი, რაც ტვინის დაზიანებით სრულდებოდა.

ძილის ავადმყოფობის ეპიდემია 1940 წელს დასრულდა. შემდგომ თანამედროვე მსოფლიოში ლეთარგიული ენცეფალიტის შემთხვევები აღარ დაფიქსირებულა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დაავადებას იწვევდა ვირუსი, რომელიც ამჟამად განადგურებულია.

ალცგეიმერის დაავადება (ალცგეიმერის ტიპის დემენცია) – ცენტრალური ნერვული სისტემის დეგენერატიული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს გონებრივი შესაძლებლობების ნელ-ნელა დაქვეითება. დაავადება მოქმედებს მეხსიერებაზე, მეტყველებაზე, ლოგიკურ აზროვნებაზე.

ამბობდნენ, მისი დედააზრი ქვეყნის ხანგრძლივ მოსვენებაში, ანუ პოლიტიკურ ძილში შეყვანა იყო. ქვეყნისთვის ეს ყოველივე ნიშნავს ხანგრძლივი ისტორიული „თვლემის“ პერიოდში შესვლას.

დღესაც, ამ თანამედროვე მსოფლიოში რა საჭიროა ქვეყნის კულტურული წარსული და ისტორია, ახლა ხომ აბსურდული თეორიებით ვსაზრდოობთ. ხელისუფლება წარმატებით ამუშავებს „ტვინის გამორეცხვის" მეთოდს. მათ საზოგადოება სპექტაკლში ჩართეს. ამ შემთხვევაში კი ადამიანი ლოგიკური აზროვნების უნარს კარგავს და ვირტუალურ გარემოში ცხოვრობს.

საზოგადოება ფსიქოლოგიურ ტყვეობაშია, ფიქრობს, მე ვერ ვამჩნევ, თორემ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდისო. არც ოპოზიციას და სხვა ეროვნულ ძალებს არ ჰყავს ისეთი ხალხი, ვინც მაგრად შეანჯღრევს ხალხს. საზოგადოება, რომელიც ასეთ მძიმე დღეშია, მაინც მაყურებლის როლში რჩება და სპექტაკლის ემოციური ველიდან გასვლა არ უნდა. ეს იგივეა, რომელიმე სპექტაკლს რომ უყურო სამშობლოს გასაჭირზე. მერე კი ფარდა დაიხუროს და მაყურებლებიც დაიშალონ...

დიახ, ოღონდ მთავარი ის არის, რისთვის და ვისთვის იბრძვი ადამიანი. აქ ქვეყნის კეთილდღეობისთვის არავინ იბრძვის, სკამებისთვის არის მხოლოდ დიდი ომი ატეხილი...

ქვეყნად – რამდენი აღიგავა პირისგან მიწის...
რამდენი – ჯიში, მოდგმა, გენი, ისევაც იწვის...
ნუ ჩავყრით ხნულში – ხალხისთვის და ქვეყნისთვის ავ თესლს,
მოვიმკით მასვე, უცილობლად, დღეს რასაც დავთესთ...
ნათელი ხვალის დღესვე, თვითონ, ჩვენ, თუ, არ ვქაჯეთ,
ნუ დავაბრალებთ – მერე, ჯვარცმას – ეშმაკეთს, ქაჯეთს...
ყოფნა-არყოფნის გამოცდაა, არ ვიქცეთ დახლად,
არ დაგვავიწყდეს, არ გამოგვრჩეს, არ შევცდეთ ახლა...
ამ სამზეოზე ჩვენი ხსნისთვის, გზა არის ერთი...
ჭეშმარიტებას თუ მივენდეთ, მოგვხედავს ღმერთიც...
დაე, აღსრულდეს, სიმართლისთვის რაიც კი ვიბრძვით,
ილიას გულით, ილიას გზით, ილიას სიბრძნით...

ფარნაოზ რაინაული

ეს მოდერნიზებული საუკუნის დასაწყისის ახალი ვირუსი არც კორონა ვირუსია და არც სხვა მათგანნი ეს ერის ძილ-ქუშია!... აუცილებელია, ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია.

მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი" – აი ჩვენი სურვილიცა და ნატვრაც. რამეთუ ეროვნულობა, სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი.

უცნაური ხალხი ვართ: ერთმანეთს საშინელებებს ვუკეთებთ და მერე ღმერთს ვთხოვთ პატიებას, გულზე ჯვარი გვაქვს და გულში სიცარიელე!

შინა ვართ და გვძინავს!

პანდემიის პერიოდის ჩანაწერებიდან
მარიამ წიკლაური

შინა ვართ იმიტომ, რომ არ დავიღუპოთ!

შემოვზიდეთ შინ ჩვენ-ჩვენი სამსახურები, საქმეები, ბავშვების ბაგა-ბაღები, სკოლები, ტაიკვანდოები, საბალეტო სტუდიები, ეზოები, ბურთები, ველოსიპედები... ყველანი და ყველაფერი შინ... გაზაფხულიც კი!

კარანტინია, საგანგებო მდგომარეობა, სოციალური დისტანცირებით. კოცნა და ჩახუტება არაო! ორმეტრიანი გახდა ჩვენი „გარშემოწერილობა" თვითიზოლაციაში. უჩვეულოა ყოველდღიურობაზე მოჭიდებული ადამიანებისთვის ასეთი რეჟიმი. ყელაფერი აიკრძალა, გარდა კარგად ყოფნისა! ექიმებიც, ჩვენც, სახელმწიფოც ამ სიცოცხლისთვის იბრძვის! ავად არ უნდა გავხდეთ, და მით უფრო ბევრნი არ უნდა გავხდეთ ავად ერთდროულად! აი, რაში გამოგვადგა ჩვენი სიმცირე! ადვილად ვითვლებით, ვკონტროლდებით! მით უფრო, თუ შინ ვართ!

ეს დიდი შეკუმშვის პერიოდია. სივრცეები, მანძილები, დრო, ყველაფერი შეიკუმშა და დედამიწაზე დიდი „გადატვირთვა" ჩაირთო. ვინ იფიქრებდა რაც ფილმებში ხდებოდა, ის გადმოაბიჯებდა ცხადის რეალურ საზღვრებს?! ახლა ჩვენ ვართ ფილმში! წინასწარმეტყველებაშიც ვართ! ყველა გზა ჩაიკეტა და ერთადრთს - გამოსავალ გზასღა ვეძებთ. ერთ უხილავ ხვრელს, რომელშიც სამყარო, კაცობრიობა და.. ნემსი გაეტევა! ნემსის ერთი ჩხვლეტა და ისევ გაიღება დედამიწაზე ყველა კარი და გზა... მაგრამ ეს როდის მოხდება არავინ იცის. თუმცა, უთუოდ მოხდება! მილიონზე მეტი ადამიანი დავირუსდა ამიტომაც შინ ვართ!

დედამიწაც ხომ ჩვენი სახლია... ხილულ-უხილავი მხრით, ხილულ-უხილავი სამყაროებით, ხილულ-უხილავი არსებებითა და კანონ-სამართლით. სულერთია, ერთ სახლზე ილაპარაკებ, ერთი ოჯახის ამბავზე, თუ მთლიან დედამიწაზე და მილიარდობით ადამიანზე. თარგი ერთია, არა მხოლოდ 2020 წლის პანდემიის ფონზე! უკიდეგანო კოსმოსშიც ხომ ასე ვართ - იზოლაციაში დედამიწაზე! თენდება, ღამდება, თენდება... იგივე... უძილობის პიკი - ახალი საერთო დაავადება! ან რა დაგაძინებს, როცა გამუდმებით გესმის:

მსოფლიოში ასიათასობით გარდაცვლილი, საძმო კრემატორიუმები, წინასწარ გათხრილი საფლავების N რაოდენობა... ეს არა მოდელირებულ, არამედ რეალურ საინფორმაციო გადაცემებშია...მორგებად გადაკეთებული საკვები პროდუქტების შესანახი დიდი მაცივრები, საველე ჰოსპიტალებად გადაკეთებული სპორტული დარბაზები და სტადიონები მთლიანად ჩაკეტილი ქალაქები, დაღუპული ექიმები, სასულიერ პირები და მწყობრიდან გამოსული საავადმყოფოები... განადგურებული მოხუცთა თავესაფრები... საკმარისია, რომ ადამიანი გაგიჟდე, მაგრამ სახლში სიმშვიდეა... თუ ყოველდღიურობის მყისიერ წუთს მოჭრი, ვერც მიხვდები, რა ხდება დედამიწაზე.

მერე რა თუ გახშირებული ხელის ბანვა, ლაგება და მოჭარბებული სპირტისა და ქლორის სუნია ირგვლივ. მეგობრის ხმა გაძვირფასდა! გაიგებ და გკმარა. ხმა და აივანი. ხმა აივანი და ინტერნეტი. ადამიანი მარტო არა ხარ... ტექნოლოგიურ იზოლიაციაშიც ხარ დარჩენილი!

სახლის ოთახებში დარბის წარმოსახვითი, თითქოს ჭრელი ხმაურის ბურთი, დარბის სრულიად განუსაზღვრელ ტრაექტორიაზე. ამ ბურთს ყველა შვილიშვილის ყვირილი, სიცილი, სირბილი, ბრახუნი და ათასნაირი სხვა ხმა ავსებს. 9 საათისთვის კი ბურთი ნელნელა ერთი ოთახისკენ მიგორავს და თან მაქვს დამაგრებული ძაფივით ყველანაირი ფუსფუსის, ხმაურის, მოძრაობის, ზრუნვის სხივები და ბოლოს, როგორც იქნა სულ რაღაც ნახევარ საათში იმ ერთ ოთახში ჩაფრინდება, როგორც ჩიტი ბუდეში, ჩაყუჩდება, ცოტას იწრიალებს და ბოლოს მშვიდი ფშვინვის კალაპოტს გაუყვება.ბავშვებიც აღარ არიან ისეთები დასვა და წიგნები უკითხო, ისინიც ტექნოლოგიების პატარა ტყვეებად ქცეულან.

ასე იწყება დღის მეორე ნაწილი ანუ „საღამოს დღე", მეორე დღე დღეში, ე. წ. ზრდასრულთა და ხანდაზმულთა დღე! დღე როცა უფროსები, მშობლები თავის წილ სიმყუდროვეს, რუტინაში ვერცხლისწყალივით გაფანტულს, ნელა უყრიან თავს და მისხლობით აგროვებენ. ამის მერე იწყება დაზუსტება, რომელ ქვეყანაში რამდენი დარჩა, რამდენი მოკვდა, რა ხდება დედამიწაზე, ჩვენთან. აი, მიზანი! ყველაზე დიადი სამოქალაქო და ადამიანური ვალი - არ შეგეყაროს კოვიდი ვირუსი!

31 წლის წინ თავისუფლებისა და სახელმწიფოდ გახდომის „ვირუსით“ დაავადებულებიც ასე ჩაგვაკომენდანტსაათეს. იზოლიაცია ის იყო, თუ იყო – სსრკ-ს „ვირუსის“ გამო რომ ვიმყოფებოდით 70 წელი. ყველაზე „დიადი“ იზოლაცია! ყველაზე ძლიერი და დიდი „კომენდანტის საათი“! მსხვერპლით, შეზღუდვებით, უპერსპექტივობით... გამოვძვერით, მაშინ დედამიწის ერთ მეექვსედზე იყო წითელი პანდემია. მაგრამ ის ვირუსი არ გამქრალა, დღესაც მძვინვარებს, გვანადგურებს. რამდენნაირ ომს, ოკუპაციას, სტრესს და აი, მსოფლიო პანდემიასაც მოვესწარით... ახლა კი უხილავი ვირუსები გვებრძვიან. როცა ვირუსების ბუნებას სწავლობ, მათთან ერთად ათასნაირი სხვა არსებებისაც, ხვდები, რომ მიუხედავად შენი „გვირგვინობისა“, ბუნებაში მაინც უმცირესობაში ხარ, ადამიანო! სულ ომში, სულ ბრძოლაში დგახარ და თავს ზევით ძალა არც გაგაჩნია . . . და რაშიც შენი ძალაა, მანვე გიბოძა ნება, რომ ყველა სიტუაციაში ადამიანად დარჩენა შეძლო!

ყველასთვის და ყველა დროში „შინ“– ნიშნავს მყოფობას მშვიდობიანობაში, სიკეთეში, სიყვარულში, ოჯახის წევრებზე ზრუნვასა და ღვთის რწმენაში! და კულტურაც მუდამ იქნება ადამიანთა მოდგმის იმუნიტეტი! თუმცა სამყაროც იცვლება „კორონას“ გარეშეც. ახალ ათასწლეულში ვართ! მთავარია. ეს ცვლილებები არ იყოს ადამიანისა და ბუნების მთლიანობის დამანგრეველი! მათი ურთიერთგაუცხოების მომტანი. მთავარია, ადამიანმა არ დაკარგოს ამ სამყაროს შეგრძნება, როგორც დიდი ღვთაებრივი სასწაულისა, რომელიც ოდესღაც მარადიული სიცოცხლის სასარგებლოდ გადაწყვიტა უზენაესმა გონმა! მაგრამ ასე ლანგარზე დადებული და მორთმეული არ არის და არც იქნება ეს ყველაფერი, არც არასდროს ყოფილა!

მოსაძებნია, მოსაპოვებელია, შესატკბობია, გასააზრებელია... და ასე დაუსრლებლად. ბრძოლაა სიცოცხლე, დაბადება და შობაა, მარადი შობაა დიახ მარადის(შ)ობაა და არ შეიძლება, დაუშვებელია ადამიანმა საკუთარი თავი ამხელა სამყაროში სიყვარულის, ღვთისა და ადამიანების გარეშე დატოვოს. ყველაფერი ერთად ბედნიერებას ემსახურება, ბავშვების და მოხუცების სიკეთეს, როცა შრომა ჯილდოა, როცა ყველაფერს თავის შინაარსი და სახელი აქვს. ხედავ, რა იდეალურ სურათს ვხატავთ, რა პათეტიკურად ჟღერს ეს ყველაფერი, როცა ადამიანებს ამ პატარა ქვეყანაში თუ პატარა დედამიწაზე იმდენიც ვერ მოგვიხერხებია, რომ შევინარჩუნოთ სუფთა ჰაერი, წყალი, გარემო, საკვები, ტყე, მიწა და ფულის მსოფლიო დიქტატურის ყურმოჭრილი მონები საკუთარი შვილების გაწირვის ხარჯზე არ გავმდიდრდეთ. მძორით არ ვკვებოთ, შხამი არ ვასუნთქოთ... ამბობენ, გაივსო სოფელი, მიუბრუნდა ქალაქს გამოქცეული ხალხიო. მაგრამ, იმედი როდი გვაქვს, ისინი „პოსტკორონიზმის პერიოდშიც“ იქ დარჩნენ. ადამიანი უფრო მიდრეკილი გახდა ურბანული ყოფისადმი და სოფლის და მიწის მიტოვება სულ სხვა კავშირების გაწყვეტის ჭრილშია გასაანალიზებელი.

თავაღერილობა მოეძალა ადამიანს, მიწას არაა დაჩერებული და ამიტომაც სიტყვასაც ჩამოაშორა სიმძიმე პასუხისმგებლობისა! არც ფიქრობს, რომ, „თავისუფალი“, სინამდვილეში, ბევრი რამის მონად ქცეულა. ესაა ადამიანური უგუნურება, უტიფრობა, ფანატიზმი. არადა, ამ ღვთის სასწაულით შექმნილ სამყაროში როგორ ვერ უნდა ხვდებოდე, რაა მთავარი...
ესეც ჩაივლის...

განათლება საქართველოში

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

ილია ჭავჭავაძე

თამარ რაზმაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" იურიდიული და ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტების წევრის

არასამთავრობო ორგანიზაცია
„ღირსება = თავისუფლება"
თავმჯდომარის
ქალბატონი ნინო რაზმაძის შვილი,
ჟურნალ „მატიანეს“ მუდმივი კორესპონდენტი
და
სტატიების ავტორი

განათლებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (III ს. II ნახევარი). IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI–XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერები, როგორებიც იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია. ამ დიდი საქმის მოსამზადებელი საფეხურები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერები საქართველოს საზღვრებს გარეთ: ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვა. XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯერ მონღოლთა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპარტახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

XVII საუკუნის II ნახევრიდან შეიქმნა პირობები საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული გამოცოცხლებისთვის. XVIII საუკუნეში სახალხო განათლების საქმედ ხელისუფლების საქმედ იქცა, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო – 1755 წელს გაიხსნა თბილისის სემინარია, 1782 წელს კი – თელავის სემინარია, ითარგმნა და შეიქმნა სახელმძღვანელოები.

1855 წელს საქარველოში 150–მდე სასწავლებელი არსებობდა, მათ შორის თბილისის პირველი გიმნაზია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია და სხვა. 1876 წელს გაიხსნა გორის საოსტატო სემინარია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის პედაგოგთა კადრების მომზადებაში.

1914/15 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა ერთკლასიანი (სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი), ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ქალთა ხუთწლიანი სასწავლებლები, სპეციალური სასწავლებლები, გიმნაზიები (მათ შორის 2 ქართული:თბილისის და ქუთაისის), პროგიმნაზიები, რეალური სასწავლებლები. სამასწავლებლო, სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლები. ერთი კერძოუმაღლესი

სასწავლებელი – ქალთა უმაღლესი კურსები. საქართველოს ყველა ტიპის(1648 დაწყებითი სკოლა) სკოლაში სწავლობდა 124720 მოსწავლე.

1921 წელს საქართველოს განსახკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაამუშავა რესპუბლიკის „მთლიანი შრომის სკოლის დებულება“, რომლის საფუძველზეც საქართველოში უნდა განხორციელებულიყო ორივე სქესის ბავშვებისთვის უფასო, საყოველთაო პოლიტექნიკური განათლება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლა, სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა, ქალ–ვაჟთა ერთად სწავლება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ახალი საბჭოთა სახალხო განათლებისსისტემის ძირითად პრინციპებს შეადგენდა.

დღეს საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ზოგადი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; მოქმედი ეროვნულ სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I–VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება VII–IX კლასებში; საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება X–XII კლასებში. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოში დღეისათვის ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 224 კერძო სკოლა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი.

საბაზო განათლების მიღების შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი სკოლის

საატესტატო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. საატესტატო გამოცდები ტარდება კომპიუტერული ადაპტური ტესტირების მეთოდით.

საქართველოში მოქმედებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, სკოლა აქციოს სივრცედ, სადაც მოხდება მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ–ჩვევების განვითარება; მისი აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება; მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება– მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

განათლების სისტემის მზაობა ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის, უპირველესად, დაკავშირებულია ცალკეული კარგი სკოლის, ცალკეული კარგი დირექტორის, კარგი ადმინისტრაციის, კარგი მასწავლებლის მოღვაწეობასა და საქმიანობასთან და არა მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევასთან. ხშირად გასათვალისწინებელია მოსწავლეთა შენიშვნები და აზრები. მაგალითისათვის, აღსანიშნავია მოსწავლე–ახალგაზრდობის შემდეგი სახის მოსაზრებები:

1. საჯარო სკოლებში ზედმეტად ბევრი მოსწავლეა ერთ კლასში, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც სწავლისადმი ინტერესი არ გააჩნიათ და ასე ვთქვათ, მხოლოდ გართობისათვის დადიან სკოლაში. ამ დროს ხელი ეშლება კონცენტრირებაში, როგორც მასწავლებელს, ისე სხვა მოსწავლეებსაც;
2. განათლების სისტემაში, მოსწავლეებს ყველაზე მეტად არ მოსწონთ და აწუხებთ ის, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, თუ რა პროფესიას აირჩევს მომავალში, ვალდებულია, ისწავლოს ყველა საგანი. რა თქმა უნდა, ზოგადი განათლება ყველამ უნდა მივიღოთ, ყველა საგანში, მაგრამ ეს უნდა იყოს საბაზო საფეხურის შესაბამისად, ანუ მეცხრე კლასის ჩათვლით. დამამთავრებელ ეტაპზე კი, მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ იმ საგნებს, რომლებიც მათ სასურველ პროფესიასთან არის შესაბამისობაში;
3. საჯარო სკოლები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან და ყველა მათგანი მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას – ისინი მოსწავლეს კომფორტულ სასწავლო გარემოს ბოლომდე ვერ სთავაზობენ;

სკოლა, მოსწავლისათვის მეორე სახლის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. უნდა იყოს ყველაზე კომფორტული ადგილი, როგორც სწავლის, ისე დასვენებისთვის. მოსწავლეთა აზრით, დღევანდელ სკოლაში ბევრი რამ შესაცვლელია. პირველ რიგში კი, უნდა შეიქმნას კომფორტული გარემო განათლების მისაღებად. ასეთი გარემო იქნება თუ არა, ეს დიდწილად მასწავლებლებზეც არის დამოკიდებული;

ბევრი მოსწავლე ფიქრობს, რომ სასწავლო პროცესი ძირფესვიანად შესაცვლელია და დროა, სკოლა ფორმალურთან ერთად, არაფორმალური განათლების მიმწოდებელიც გახდეს. დღეს სკოლაში ასწავლიან მხოლოდ იმას, რასაც პროგრამა ითხოვს. მართალია, ამაში მასწავლებლებს ვერ დავადანაშაულებთ, თუმცა ვერც პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლებთ ბოლომდე, რადგან სწორედ ისინი უნდა ცდილობდნენ მოსწავლეთა უნარების განვითარებას;

კლასები უნდა იყოფოდეს რამდენიმე ჯგუფად და ისინი მსგავსი შეფასებების მქონე მოსწავლეებით უნდა კომპლექტდებოდეს;

უნდა არსებობდეს მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფი, მათივე ქულების მიხედვით. ასეთი მეთოდით მოსწავლეს სწავლის მოტივაცია გაიზრდება, რადგან ყველა მოზარდს უნდა პირველობა, ყველა იბრძვის განვითარებისკენ და მათ სჭირდებათ ისეთი დამხმარეები, რომლებიც სათანადოთ მოახდენენ მათი შესაძლებლობების რეალიზებას და ამავდროულად, საკუთარი შესაძლებლობებისა თუ ცოდნის შესაბამის ინფორმაციას მიაწვდიან მათ;

4. დიდი მოწიწებით მასწავლებლებს მოსწავლეები ურჩევენ, რომ ბავშვების მიმართ იყვნენ მეტად მომთხოვნები და სამართლიანები, ხოლო სასწავლო პროცესში შეცვლიდნენ იმას, რომ მაქსიმალურად ჩართული იყოს ყველა მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობაში და არ ჰქონდეს დრო, რომ გაკვეთილზე გაერთოს. ამისთვის ალბათ საჭიროა, რომ მასწავლებლებმა შეცვალონ საკუთარი მიდგომა და შეეცადონ, ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად მიუდგნენ. ეს რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

იმედია, მომავალში, მოხერხდება მეტი კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მათი შეხედულებების უკეთ გაზიარებები.

სკოლის შემდგომ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, გავიდეს სკოლიდან, ყველა საგანში მიღებული დადებითი შეფასების საფუძველზე სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების მესამე საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 34 საჯარო და 37 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებია:

ა) პროფესიული კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) საზოგადოებრივი კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა) კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის– საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ) უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე – ბაკალავრიატზე – სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

სამწუხაროდ, უმაღლესი განათლება საქართველოში საზოგადოების ყველა ფენისთვის ხელმისაწვდმი არ არის. ფინანსური, ჯანმრთელობის, თუ სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გამო, ადამიანების ნაწილისთვის განათლების მიღება დღემდე შეზღუდულია.

ერთ–ერთი პრობლემა კი, არის დისტანციური სწავლების არარსებობა. ეს საკითხი საქართველოში საკანონმდებლო დონეზე სამწუხაროდ არ არის დარეგულირებული და შესაბამისად აქაც ჩნდება ხელმისაწვდომობის პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ ასევე ერთ–ერთი მთავარ დაბრკოლებად განათლების მიღებისთვის ჩვენს ქვეყანაში რჩება ფინანსები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უფასო ფაკულტეტების სია, საჯარო და კერძო სასწავლებლების დაფინანსების მოდელი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემის ერთ–ერთი მიზეზი ხდება.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ფინანსური თვალსაზრისით სოციალურად დაუცველია.

გეოგრაფიული და ფინანსური საკითხები ერთმანეთში გადაჯაჭვულია, რადგან რეგიონში მცხოვრებ ხელმოკლე ოჯახს არ აქვს შესაძლებლობა შვილს სწავლის საფასურიც გადაუხადოს და ცხოვრების ხარჯებიც აუნაზღაუროს. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია ძალიან კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდას განათლების მიღება შეეზღუდოს.

კიდევ ერთი საკითხი, რაც გარკვეული პირებისთვის განთლების მიღებას აფერხებს ინფრასტრუქტურაა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სასწავლებლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არის პანდუსები, შენობების შიდა ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში მათთვის მოუხერხებელია, მაგალითად ისეთი პირებისთვის ვისაც მხედვლობის და სმენის პრობლემა აქვს. შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს არამარტო სასწავლო დაწესებულებებში, არამედ სახლებში, სადარბაზოებში, ქუჩებში, ტრანსპორტში დ ა.შ. ამ ფონზე კი, მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების განვითარება.

კიდევ ერთი პრობლემა არის ლინგვისტური დაბრკოლება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არსებობს სპეციალური პროგრამები, რომ ჯერ სახელმწიფო ენა შეისწავლონ და შემდეგ ბაკალავრიატის საფეხური გაიარონ, თუმცა ამ მიდგომამ ზოგ შემთხვევაში გაამართლა, ზოგჯერ – არა. ეს პრობლემა მოდის სკოლიდან და ჯერ კიდევ არის მოსაგვარებელი. ერთ–ერთი პრობლემაა ასევე სისტემა, რომელიც უნდა იყოს მოქნილი. არ უნდა არსებობდეს შეფერხებები ერთი საფეხურუდან მეორეზე გადასასვლელად, მაგალითად თუ ადამიანი დაამთავრებს 9 კლასს, მიიღებს პროფესიულ განათლებას და ამის შემდეგ გაუჩნდება სურვილი უმაღლეს სასაწვლებელში ჩააბაროს, მას ექმნება გარკვეული ბარიერები. მან უნდა ჩააბაროს ექსტერნი, შემდეგ სკოლის დამამთავრებელი გამოცდები და ამის შემდეგ კიდევ ეროვნული გამოცდები.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში ინფორმაციის გაცვლის ტემპმა და ხარისხმა შესამჩნევად იმატა. შესაბამისი ცვლილებები განიცადა განათლების სისტემათა რეფორმირების პოლიტიკამ და სტრატეგიებმა. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარებამ ახალი იმპულსი შესძინა გლობალურ პროცესებს და წარმოშვა აუცილებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები უფრო აქტიურად გამოყენებულიყო სწავლისა და სწავლების პროცესში. დღეს მრავალი ქვეყანა ცდილობს, საკუთარი განათლების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ახალ ეკონომიკურ რეალობასა და სოციალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამ კუთხით არც საქართველოა გამონაკლისი.

ამა თუ იმ ქვეყნის შემდგომი განვითარების ხარისხი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ მოახერხებს ქვეყანა საკუთარი განათლების სისტემის ისე მოდერნიზებას, რომ იგი სავსებით პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს და, ამასთან, სწრაფად ცვალებად გარემოში მყისიერ რეაგირებასა და მოქნილ თვითგანვითარებაზე იყოს ორიენტირებული. საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი განათლების სისტემის მოუქნელობის, კონსერვატიულობის, ინვესტიციების გრძელვადიანი ეფექტის და ა.შ. შესახებ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ აქტუალობას კარგავს. საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მეტწილად განათლების სისტემის მოქნილობასა და გამოწვევებზე სათანადო რეაგირების ხარისხზე იქნება დამოკიდებული. იმისთვის, რომ ზუსტად განისაზღვროს სისტემის წინაშე მდგარი ამოცანები, შეფასდეს და გაანალიზდეს რისკები და დაისახოს განვითარების ოპტიმალური გზები, აუცილებელია განათლების სისტემის ჰარმონიულ განვითარებაზე ორიენტირებული სწორი და გეგმაზომიერი პოლიტიკის წარმოება.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დაგეგმვა იყენებს ტრადიციული დაგეგმვის ზოგიერთ ელემენტსა და მახასიათებელს, ძირითადი განსხვავება მაინც ახალი მენეჯერული კულტურის დანერგვაშია, რომელიც ეფუძნება მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ეს არის პროცესი, რომელიც ბევრ დროს მოითხოვს სასურველი შედეგის მისაღებად, განსაკუთრებით – ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც სამოქალაქო სერვისების სისტემათა ნაკლებად განვითარებული საბაზო პირობები აქვთ.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მისი ყოველი ეტაპისა და რგოლის გავლა. რომელიმე ერთი რგოლის ნაწილობრივი, ან სრული ამოვარდნა აზრს უკარგავს პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. შედეგად ვიღებთ სექტორში განსახორციელებელი რეფორმების არათანმიმდევრულობას და ფრაგმენტულობას; გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი მიზნების ხშირ ცვლილებებს ვალიდური საფუძვლების გარეშე; სარეფორმო პროცესების სრულ ან ნაწილობრივ დისკრედიტაციას და საზოგადოების მხრივ მიუღებლობის უმაღლეს ხარისხს. ამ შემთხვევაში ფუნდამენტურად ირღვევა სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპები (მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღება და მაქსიმალური ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა) და პროცესი იღებს ზემოდან ქვემოთ მიმართულ ხასიათს. საბოლოო ჯამში, დაგეგმვითი პროცესის იგნორირების, ან არასწორად წარმართვის სავალალო შედეგები პირდაპირპროპორციულად აისახება სექტორის განვითარების პერსპექტივებზე.

ყველა მშობლის მიზანია შვილს კარგი განათლება მისცეს, რათა ის მომავალში წარმატებულ ადამიანად იქცეს. განათლებული საზოგადოების ყოლა, ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნებისმიერი ქვეყნისთვისაც, ვინაიდან ადამიანური რესურსები წარმოედგენს ქვეყნის მწარმოებლურობის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ერთ-ერთ დეტერმინანტს. თუმცა როგორ მივცეთ საზოგადოებას კარგი განათლება და რა სისტემას უნდა დაეყრდნოს ქვეყანა კვლავაც რჩება დავისა და განხილვის საკითხად. ფაქტია, რომ მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის პირობებში, განათლების სისტემა, რომელიც ამართლებდა 50 წლის წინათ, დღეს აღარ ამართლებს.

მთავარია ასევე სწავლა და არა სწავლება. შესაბამისად, ამ დროს მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო სამუშაოებს ეთმობა. არადა, ცნობილია – ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. უმაღლეს კლასებში საგნების მესამედი არჩევითი უნდა იყოს და მოსწავლეები თავად უნდა წყვეტდენ არა მარტო იმას, თუ რომელი საგნები ისწავლონ, არამედ იმასაც, თუ რომელი გამოცდები ჩააბარონ. სასურველია, მათ ჰქონდეთ უფლება შეიმუშაონ საკუთარი ინოვაციური სასწავლო გეგმა და ჩაატარონ ექსპერიმენტები.

შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობის შესახებ, დღეს, განათლების სფეროს ნებისმიერი წარმომადგენელი თანხმდება. შემოქმედებითობა არა მხოლოდ თითოეულ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, სამყარო და მასში მიმდინარე მოვლენები მრავალფეროვნად აღიქვას,

არამედ ახალი იდეებისკენ სწრაფვის, აღმოჩენების გაკეთების, უწყვეტი გამოცდილებების შეძენის საწინდარია. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, სამყაროს განვითარების გარანტიაა.

წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და შესაბამისად ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა.

განათლების უფლება პირველად აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და მას მოჰყვა სხვა მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელთა შორის აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებების ყოველმხრივ დაცვას უზრუნველყოფს საერთაშორისო და რეგიონული რესურსების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებებს, ჰუმანიტარულ სამართალსა და კანონს ლტოლვილთა შესახებ. ბავშვები და მოსწავლეები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც საყოველთაო ხელშეკრულებებშია მოცემული.

განათლება, თავისთავად, წარმოადგენს როგორც ადამიანის უფლებას, ასევე, სხვათა უფლებების რეალიზების აუცილებელ საშუალებას. ამიტომაც, საგანმანათლებლო სისტემა უნდა მოიცავდეს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რათა უკეთ უზრუნველყოს საკუთარი ძირითადი მისიის გახორციელება, რაც მაღალი ხარისხის განათლების თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს.

განათლების სისტემის მზაობა ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის, უპირველესად, დაკავშირებულია ცალკეული კარგი სკოლის, ცალკეული კარგი დირექტორის, კარგი ადმინისტრაციის, კარგი მასწავლებლის მოღვაწეობასა და საქმიანობასთან და არა მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევასთან.

„დღეს ჩვენშიაც – კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არცა სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.

ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან“ – ილია ჭავჭავაძე.

ინტერვიუ ქუთაისის №32 საჯარო სკოლის დირექტორთან ბატონ ჯეირან კოღოაშვილთან

ინტერვიუსათვის კითხვები მოამზადა და
ქუთაისის №32 საჯარო სკოლის დირექტორს
ბატონ ჯეირან კოღოაშვილს
დაუსვა ამავე სკოლის 11 კლასის
მოსწავლემ,
ჟურნალ „მატიანეს“ კორესპონდენტმა
თამარ რაზმაძემ

მოგესალმებით ბატონო ჯეირან!

თუ შეიძლება მოგმართავთ რამდენიმე კითხვით, რომელთა პასუხები დარწმუნებული ვარ საინტერესო იქნება არამარტო ჩვენი სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვის!

კითხვა 1

განათლებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. თქვენის აზრით, ისტორიულად საქართველოს რომელი პერიოდია გამორჩეული ყველა კომპონენტით განათლების უმაღლესი დონის მხრივ?

ტრადიციულად ქართული ოჯახი, მიუხედავად ეკონომიკური შესაძლებლობებისა ,ყოველთვის ორიენტირებული იყო და დღესაც 21-ე საუკუნეში ორიენტირებული არის იმაზე, რომ ბავშვებს მისცეს სათანადო განათლება.სწორედ ამიტომაც ვამბობთ, რომ განათლებას მართლაც დიდი ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანაში. ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეულ ეპოქაში ვცხოვრობთ.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება განათლებისადმი,კერძოდ სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვამ სისტემაში, კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახადა ჩვენი დამოკიდებულება ხარისხიანი საგანმანათლებლო სისტემისადმი.მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწავლა-სწავლება მიმართულია შედეგზე,მრავალმხრივი უნარებით აღჭურვილი მომავალი თაობის აღზრდისაკენ. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ სწავლა-სწავლების პროცესში კიდევ უფრო მიომნზიდველი გახადა განათლების მიღება მომავალ თაობაში.

კითხვა 2

საქართველოში მოქმედებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, სკოლა აქციოს სივრცედ, სადაც მოხდება მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება. თქვენის აზრით, რა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და პასუხობს თუ არა ისინი თანამედროვე მსოფლიოს განათლების შესაბამის დონეს?

საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესდახებ" მე-3 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სწორედ, მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე , თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საწირო პირობების შექმნაა.რომ სახელმწიფო განათლების სფეროში ძირითადი მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში .

სკოლაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება ნიშნავს, ყველა პირის თანამონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისას, გამჭვირვალობასა და აზრების გაცვლას, ტოლერანტულობასა და მრავალფეროვნებას, აღიარებას, სამართლიანობას, გუნდურ მუშაობასა

და პასუხისმგებლობის აღებას.შეუძლებელია ამ ღირებულებების მხოლოდ გაწერა, ისინი შესისხლხორცებული უნდა იყოს ყოველდღიურობასთან.დემოკრატიული კულტურის დანარგვა უშუალო კავშირშია მოსწავლეთა საწიროებებთან აზრის, ავტონომიის , გამჭვირვალობის, აღიარების, თვითგანვითარებისა და პასუხისმგებლობის განცდასთან.

სწორედ საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ" თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია ყველა ზემოთ ცამოთვლილი დემოკრატიული ღირებულებების საგანმანატლებლო სივრცეში დანერგვაზე, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან , ჩვენი სისტემა სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე მსოფლიოს შესაბამის დონეს.

კითხვა 3

განათლების სისტემის მზაობა ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის, უპირველესად, დაკავშირებულია ცალკეული კარგი სკოლის, ცალკეული კარგი დირქტორის, კარგი ადმინისტრაციის, კარგი მასწავლებლისმ ოღვაწეობასა და საქმიანობასთან. როგორაა ამ მხრივ განათლების მიღების მზაობა თქვენდამი ქვემდებარე სკოლაში?

სკოლისთვის, ყველა აქ დასაქმებული ადამიანითვის, ზრუნვის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების ცოდნით აღჭურვილი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა. ჩვენთვის ყოველი ახალი სასწავლო წელი არის ახალი იდეებისა და მათი განხორციელებისათვის ზრუნვის წელი.სკოლა თავისი მაღალკვალიფიციური მასწავლებელთა კორპუსით ყოველთვის სიახლეების ძიებაშია, ინოვაცია ჩვენთვის არ არის უცხო, ჩვენი სკოლა ფაქტიურად რეფორმის სასწავლო დაწესებულებაა.ჯერ კიდევ 2005 წელს ჩავერთეთ სულ პირველად, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების საპილოტე პროექტში. დღეს კი აქტიურად ვართ ჩართული საქართველოს განათლების, მეცნიერების , კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებულ ნამდვილ ეროვნულ პროექტში, ახალი სკოლის მოდელი" და ,,ციფრული სკოლა - საქართველო".აქედან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქუთაისის N 32 საჯარო სკოლა ყოველთვის მზადაა სათანადო, ,თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება მისცეს მოსწავლე-ახალგაზრდობას.

კითხვა 4

განათლების მიღების უკეთ წარმართვისათვის, თქვენ როგორც სკოლის დირექტორი და მასწავლებლები ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლეთა შენიშვნებს, აზრებს და რამდენად ფასეულნი არიან ისინი?

რა თქმა უნდა ვითვალისწინებთ,რომლის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია დასახული მიზნების მიღწევა.მოსწავლეა ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი, სკოლა, მისი თითოეული თანამშრომელი ყოველთვის მზადაა მოუსმინოს მოსწავლეს, გაითვალისწინოს მისი აზრი, ითანამშრომლოს მასთან , ერთობლივად დასახცონ პრობლემები და ერთობლივად გადაჭრან ისინი.სკოლა ამ მხრივ ნამდვილად ამაყობს, რომ მოსწავლე მთელი თავისი უნარებით, ინტერესებით, მოთხოვნილებებით და შესაძლებლობებით ყოველთვის მოწინავე პოზიციაზეა.

კითხვა 5

თქვენი სკოლის დამთავრების შემდგომ, მოსწავლეთაგან საშუალოდ რამდენ პროცენტს ეძლევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება და რამდენი პროცენტი ხდება სტუდენტი?

როგოც ზემოთ ავღნიშნე,ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ყველა მშობელი ცდილობს , რომ მისმა შვილმა აუცილებლად უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება, ხშირად არც კი ხდება ბავშვის ინტერესების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა 70- 80 პროცენტი აბარებს უმაღლეს სასწავლებელში , ხდება სტუდენტი.

კითხვა 6

ფინანსური, ჯანმრთელობის, თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, მოსწავლეთა ნაწილისთვის განათლების მიღება დღემდე შეზღუდულია.ამ დროს, ერთ-ერთ პრობლემად ვლინდება დისტანციური სწავლების არარსებობა.ეს საკითხი საქართველოში საკანონმდებლო დონეზეც სამწუხაროდ არ არის სათანადოდ დარეგულირებული. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?

მიუხედავად ფინანსური და სხვადასხვა პრობლემებისა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისათვის , რომ არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს განათლების მიღების მიღმა.ჩვენ გვსმენია ისეთი ფაქტებიც,როცა სკოლადამთავრებული, ფინანსურად ხელმოკლე ოჯახების შვილები ,უფრო მაღალ დონეზე აბარებენ მისაღებ გამოცდეს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში, სახელმწიფო გრანტებითაც კი დაფინანსებულან.რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, სახელმნწიფოს მხრიდან ნამდვილად მეტი ყურადრებაა გასამახვილებელი, რათა არ შეეზღუდოს მოსწავლეთა ნაწილს განათლების მიღება.დღევანდელი სტატისტიკური მონაცემებით გასული წლის კურს-დამთავრებულებიდან (2 მე-12 კლასი) 80 % მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, ამათგან საკმაოდ დიდმა ნაწილმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება.სკოლას გასულ წელს 14 მედალოსანი მოსწავლე ჰყავდა,აქედან 10 ოქროს მედალოსანი.ეს ფაქტიც სკოლასი სწავლა-სწავლების მარალ ხარისხზე მიგვანიშნებს.

კითხვა 7

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ფინანსური თვალსაზრისით სოციალურად დაუცველია.ამიტომ, ადვილი შესაძლებელია ძალიან კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდასაც კი განათლების მიღება შეეზღუდოს. როგორი ვითარებაა ამ მხრივ თქვენს სკოლაში?

მართალია. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ფინანსური თვალსაზრისით სოციალურად დაუცველია, მაგრამ როგორც ზემოთ ავღნიშნე, სახელმწიფო განსაკუთრებული სწავლის სურვილით, ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდობას

ყოველთვის აქცევს ყურადღებას . აქედან გამომდინარე ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვს უჭირს განათლების მიღება.

კითხვა 8

კიდევ ერთი საკითხი, რაც გარკვეული პირებისთვის განთლების მიღებას აფერხებს ინფრასტრუქტურაა. საქართველოში სკოლების უმეტესობა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, დაბალია საზოგადოების მხრივ მათდამი მგრძნობელობაც. აკმაყოფილებს თუ არა თქვენი სკოლა საჭირო, აუცილებელ პირობებსა და მოთხოვნებს, რამდენად წარმატებული და მასშტაბურია ინკლუზიური განათლების პროგრამა?

ამ მხრივ ჩვენი სკოლა გამონაკლისს წარმოადგენს. ჩვენთან ყველა პორობაა შექმნილია თითოეული მოსწავლის სწავლა-განათლებისათვის.ცნობისათვის 2019 წელს სკოლას ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროგრამით ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.მოსწავლეებისატვის და ყველა დასაქმებულისათვის სკოლაში შექმნილია კომფორტი.

კითხვა 9

მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო სამუშაოებს ეთმობა. არადა, ცნობილია – ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. აქედან გამომდინარე, როგორ მიმდინარეობს ამ მხრივ თქვენს სკოლაში სწავლისა და სწავლების პროცესები, რა თანადონეობაა მათ შორის და რა დონეზეა შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობის დონე?

მოსწავლის შემოქმედებითი უნარები არა მხოლოდ საკლასო ოთახში,აკადემიურ სივრცეში, არამედ არაფორმალურ განათლებაში ვითარდება. ამ მხრივაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის ტრადიციებიდან და კულტურიდან გამომდინარე,მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სასკოლო ასევე, საქალაქო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო პროექტებში,მონაწილეობენ სხვადასხვა კლუბების მუშობაში, ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიულ უნარებს და ა.შ.

კითხვა 10

როგორც ვიცით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განათლება წარმოადგენს ადამიანის უფლებას. თქვენის აზრით, საგანმანათლებლო სისტემა რამდენად მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რათა უკეთ იქნას უზრუნველყოფილი სკოლის ძირითადი მისიის განხორციელება, რაც თავისთავად ასევე მაღალი ხარისხის განათლების თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს?

დიახ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლით ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება.ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა სწორედაც რომ ადამიანის, ბავშვის უფლებების დაცვითაა გაჯერებული.ნებისმიერი საკანონდებლო აქტის ამოსავალი წერტილი ბავშვის უფლებების დაცვაა, რაც უპირველესად მისთვის სათანადო განათლების მიცემაში გამოიხატება.

კითხვა 11

როგორც ვიცით, სკოლის მისიაა გონებრივად და ფიზიკურად განვითარებული, ჯანსაღი, სამართლიანად მაოზროვნე თაობის ჩამოყალიბება, რომელსაც გააჩნია თვითრეალიზაციისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, პატივს სცემს და იზიარებს კულტურულ ფასეულობებს, საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს და სამოქალაქო ვალდებულებებს. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ მიმართულებით თქვენი სკოლის მართვის სტრატეგიის წარმატებულობაზე?

სკოლის მართვის სტრატეგიის წარმატებულობის მაცვენებელია თუნდაც გასული წლის სტატისტიკური მონაცემები.სკოლას არც ერთ სასწავლო წლის ბოლოს არ ჰყოლია ამდენი მედალოსნი მოსწავლე.მარტო ერთ დამამტავრებელ კლასსი(კლ.დამრიგებელი ლ.ბრეგაძე 10 მედალოსანი მოსწავლე იყო, ამატგან 4 ოქროს მედლით დაასრულა სასწავლო წელი.სკოლის ხელმზღვანელობა, მასწავლებელები ყოველდღიურად ზრუნავენ სწავლის ხარისხის ამაღლებაზე.

კითხვა 12

სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების და უფლებაა.რამდენად ახერხებენ სკოლის მოსწავლეები სწავლის პერიოდში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას?

გეთანხმებით, სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო ზოგადსაგანამათლებლო დაწესებულებებს,მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის თითოეული მასწავლებლის მთავარი ამოცანაა ასწავლოს მოსწავლეს სწავლა, არა მარტო ინფორმაციის დამახსოვრება, არამედ მოსწავლეებში იმ სასიცოცხლო უნარების განვითარებას შეუწყოს ხელი, რაც მათ დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებაში.დამეთანხმებით, რომ მხოლოდ სწავლების სტრატეგიების ცოდნაა არაა საკმარისი წარმატებისთვის, მთავარია ამ სტარატეგიებს როგორ გამოიყენებს მასწავლებელი მოსწავლესთან თანამშრომლობის დროს, რათა მიღწეული იქნას მიზანი, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის რეალიზება.

კითხვა 13

„რეპეტიტორების ინსტიტუტი“ იყო და კვლავ რჩება პოპულარულად. ასევე, ხარიხიანი ცოდნის მიღება არის ელიტური, ანუ ამ სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ მათ ვისაც აქვს ამის საშუალება. რამდენად ,,პოპულარულია“ თქვენს მოსწავლეებში „რეპეტიტორების ინსტიტუტი“ და შესაძლებელია თუ არა, სასწავლო პროგრამების იმდაგვარად წარმატებული გავლა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს რეპეტიტორების საჭიროება?

ისევ და ისევ ჩვენი ქართული ოჯახების მენტალიტეტი, რომ თუ მშობელმა თავისი შვილი რეპეტიტორთან არ მოამზადა ის ვერ მოეწყობა უმაღლეს სასწავლებელში და დარჩება დიპლომის გარეშე. ისევ ,,დიპლომომანია“, რაც ცემი ღრმა რწმენით ჩემთვის როგორც პედაგოგისათვის მიუღებელია.მოსწავლეს ყველა პირობა აქვს შექმნილი სკოლასი იმისათვის, რომ მიიღოს ისეთი განათლება, რაც მას ხელს შეუწყობს გამოცდებზე მინიმალური ბარიერის გადალახვაში,რათა მოხდეს მისთვის სასურველ უმარლეს სასწავლებელში. მაგრამ დღემდე ამ რეალობის წინაშე ვდგავართ, რომ მოსწავლეს, მის მშობელს, მაინც რეპეტიტორი უჩევნია სკოლაში სწავლას.ვფიქრობ, რომ ეს მანკიერერებაა ცვენი განათლების სისტემის,ბავშვმა უნდა ისწავლოს სკოლაში და არა რეპეტიტორთან. მოსწავლე სასწავლო პროგრამების წარმატებით დაზლევის შემთხვევაში თავისუფლად შეძლებს მისარები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას.

კითხვა 14

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სასურველია იყოს ჰარმონიული, მაგრამ ხშირად ხდება, რომ უთანხმოება ჩნდება. ამის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. სკოლა ცხოვრების ნაწილია და სარკესავით ირეკლავს ყოველივე იმას, რაც ქვეყანაში, ზოგადად, საზოგადოებრივ ყოფაში ხდება. თქვენი აზრით,როგორი დამოკიდებულება არსებობს სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებსშორის და როგორაა დაცული მათი ორმხრივი უფლებები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო ნორმებით?

თავად როგორ აფასებთ თქვენს მშობლიურ სკოლაში მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობას? ვფიქრობ დადებითად.

კითხვა 15

განათლების ეროვნული მიზნებისა და თანამედროვე პარადიგმების თანახმად, სწავლების მიზანის წორედ მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებაა, რომელიც შეძლებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, საკუთარი მიღწევების გამოყენებას ახალი მატერიალური, ინტელექტუალური, თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. როგორ იყენებთ თქვენი და მასწავლებლების შემოქმედებით, ინოვაციურ აზროვნებას სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებზე და რა დადებითი ეფექტების მაჩვენებელთან გვაქვს საქმე?

საგანმანალებლო- სააღმზრდელო საქმიანობის მთავარი ამოსავალი სწორედ განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებაა.სკოლის მთავარი მიზანი სწორედ თავისუფლად მოაზროვნე, შემოქმედებითი უნარების მქონე, წიგნიერი მომავალი თაობების აღზრდაა.აქეთკენაა მიმარტული თითოეული მასწავლებლის მოღვაწეობა.სკოლა ყოველთვის მზადაა ნებისმიერი საგანმანათლებლო ინოვაციისთვის,
რაც კიდევ უფრი მიმზიდველს და პრესტიჟულ ხდის მას რა მარტო თემში, არამედ საქართველოს მასშტაბით.სწავლა-სწავლებასი პედაგოგთა მიერ ინოვაციური მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება კიდევ უფრო მეტად მოტივირებულს ხდის ჩვენს მოსწავლეებს, რაც დადებიტად აისახება თითოეული მატგანის აკადემიურ მოსწრებაზე.

კითხვა 16

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი აყალიბებს საერთო გაგებას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა და რის კეთება უნდა შეეძლოს მას. მასწავლებელთა სერთიფიცირება ეფუძნება მასწავლებლის სტანდარტს და ადასტურებს, რომ მასწავლებელი მზადაა პროფესიაში შესაბიჯებლად. როგორ ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და გეგმილი სქემები და რა კომპონენტები ამათში პრიორიტეტული?

კითხვა რაღაც არაა ბოლომდე გამართული. მაგრამ მე როგორც გავიგე ისე გიპასუხებ.

სკოლაში განათლების რეფორმის კვალდაკვალ მიმდინარეობს სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვალიფიკაციური პედაგოგიური კადრებით სკოლის დაკომპლექტებას.სკოლას სწავლების ყველა საფეხურზე ნამდვილად მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრი ჰყავს, რომლიც თავდაუზოგავად ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და მთლიანობაში სკოლის იმიჯზე. სწორედ მათი შრომის შედეგია სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის ყოველწლიური მატება, გაიზარდა ჩვენს სკოლაში ქალაქის და რაიონების სკოლებიდან სწავლის გაგრძელების მსურველ მოსწავლეთა რაოდენობა.პროფესიონალმა ადამიანურმა რესურსმა საგრძნობლად აამაღლა სკოლის კულტურაც.

კითხვა 17

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმაზე წლებია საუბრობენ. ამავდროულად, ყველა სკოლა ინდივიდუალურია, სხვადასხვანაირი კულტურაა, განსხვავებული თემიდა შესაბამისად, უნიფიცირებული მოდელები ხშირად არ მუშაობს... უკანასკნელ წლებში რა შეიძლება ჩაითვალოს სკოლაში გატარებული რეფორმების მთავარ მიღწევად და რა პრობლემები რჩება დარგის გამოწვევად ამ დროისთვის?

დღეს, კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ სკოლის უმთავრესი მიღწევაა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კორპუსი, კეთილგანწყობილი,თანამშრომლობითი ურთიერთობის მაღალი დონე და ერთიანობაში სასკოლო კულტურა.შესაბამისად ავტორიტეტი არა მარტო თემში, არამედ საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით(სკოლის აქტიური მონაწილეობა აშშ-ის საერთაშორისო განვითარებიის სააგენტოსა და განთლების სამინისტროს ერთობლიბლივ ინიცირებულ პროექტში ე. წ. ჯიპრაიდი (დაწყებითი განათლების პროექტი) და საფრანგეთის საელჩოს მიერ დაფინანსებულ პროექტში (ფრანგული ენის პოპულარიზაცია სკოლაში) პროექტებში სკოლის აქტიური მონაწილეობა და წარმატებები, რაზედაც თვით ამ პროექტების ხელმძღვანელთა ანგარიშებში ვისმენთ.

კითხვა 18

განათლების სფეროს წარმომადგენლების თქმით, ყველაზე მეტად სკოლებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგის პოვნა უჭირთ. სპეციალისტების მიერ სიმცირის მიზეზად კი, პირველ რიგში, ახალგაზრდების ნაკლები დაინტერესება სახელდება. რა საგნის სპეციალისტები არიან სკოლაში განსაკუთრებით დეფიციტური და როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას? რა კეთდება მასწავლებლის პროფესიის დახმარებისათვის და პოპულარიზაციისთვის?

გეთანხმებით, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე პრობლემაა სკოლებში საბუნებისმეტყველო სასწავლო დისიპლინების სწავლების საკითხი.რატომღაც დაბალია მოსწავლეთა ინტერესი ამ მეტად საჭირო და აუცილებელი საგნების მიმართ.ვფიქრობ, სახელმწიფოს და ატასწლეულის გამოწვევის ფიონდის მიერ გასულ წლებში(2018-2019) განხორვიელებულმა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაციას,თავის შედეგს გამოიღებს, გაზრდის მოსწავლეთა ინტერეს საგნებისადმი.სწიორედ ამას ემსხურებოდა ისევ ამ პრტოექტის ფარგლებში განხორციელებული სკოლების რეაბილიტაცია,სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თანამედროვე სტანდარტების დონის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვას. ამ მხრივ ჩვენც გვხვდა ბედნიერება წილად, მოვხვედრილიყავბით ამ მეტად მნიშვნელოვან პროეტში.ჩვენც აღვუიჭურვეთ ასეთი ლაბორატორიით,რაც სკოლის მაღალკვალიფიციური საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებეთა ძალისხმევით ვფიქრობ კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიით დაინტერესების თვალსაზრისით.

კითხვა 19

ზოგადად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არსებობს სპეციალური დამატებითი პროგრამები, რომ მოსწავლეებმა უკეთ, სათანადოდ შეისწავლონ სახელმწიფო ენა, თუმცა ამ მიდგომამ ზოგ შემთხვევაში გაამართლა, ზოგჯერ - არა და ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. არსებობს თუ არა თქვენს სკოლაში ლინგვისტური დაბრკოლება და პრობლემა?

სკოლას არ ჰყავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

კითხვა 20

ქვეყნის, საზოგადოების, სკოლის, ოჯახის ვალია აღზარდოს სრულყოფილი პიროვნება აღჭურვილი ცოდნით, უნარ-ჩვევებით, ღირებულებებით, პოზიტიური ცხოვრებისეული დამოკიდებულებებით და აქტიური მოქალაქისთვის საჭირო თვისებებით. რა საკითხებზეა კონცეტრირებული საგანი „სამოქალაქო განათლება", რატომ გახდა საჭირო მისი ცალკე დისციპლინად შემოტანა სასწავლო პროცესში, რამდენად შესაძლებლია სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო ცნობიერების სწავლება და არის თუ არა სპეციალური შერჩევები იმ მასწავლებლებისა, ვინც დღეს სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს ატარებს?

სკოლაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება ნიშნავს, ყველა პირის თანამონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისას, გამჭვირვალობასა და აზრების გაცვლას, ტოლერანტულობასა და მრავალფეროვნებას, აღიარებას, სამართლიანობას, გუნდურ მუშაობასა და პასუხისმგებლობის აღებას.შეუძლებელია ამ ღირებულებების მხოლოდ გაწერა, ისინი შესისხლხორცებული უნდა იყოს ყოველდღიურობასთან.დემოკრატიული კულტურის დანარგვა უშუალო კავშირშია მოსწავლეთა საწიროებებთან აზრის, ავტონომიის , გამჭვირვალობის, აღიარების, თვითგანვითარებისა და პასუხისმგებლობის განცდასთან.

ნებისმიერი დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია სწორედ მოქალაქეების უნარებზე, ცოდნასა და განწყობებზე.სამოქალაქო აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლეები იგებენ იმას,თუ რას ნისნავს ,იყო მოქალაქე.ამასთან, მოქალაქე არა მხოლოდ უფლებებით არის აღჭურვილი, არამედ მას შესაბამისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობებიც აქვს.მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ადამიანი საკუტარ მოქალაქეობრივ ვალს ვერ აცნობიერებს, ის ვერ გამოიყენებს ვერც საკუტარ უფლებებსა და თავისუფლებებს და ვერც მირებულ ცოდნას.და სწორედ მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებასი ეხმარება მოსწავლეებს სკოლის მაღალკვალიფიციური სამოქალაქო განატლების მასწავლებელი თ.ხორხომელიძე.აი, ამიტომაა საჭირო და აუცილებელი ჩვენი მომავალი თაობებისატვის არნიშნული საგნის სწავლა.

კითხვა 21

ბულინგი ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. იგი თითქმის ყოველი ეპოქის თანმდევი მოვლენაა. ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენასაც წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში კი, ეს არის სკოლა. როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა თქვენს მიერ დაქვემდებარებულ სკოლაში, ყოფილა თუ არა ბულინგის შემთხვევები და რა ზომებს მიმართავთ არსებული პრობლემის გადასაჭრელად? რეალურად რა როლი შეასრულა მანდარტურის სამსახურმა ქართულ სასკოლო განათლების სისტემაში?

გეთანხმებით, ნამდვილად აქტუალურია დღეს არა მარტო სკოლებში, არამედ სახელმწიფოში ბულინგის თემა.სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს, მასწავლებელსა და მოსწავლეებსა და თვით მოსწავლეებს შორის ბულინგის პრევენციისათვის.სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხისადმი სერიოზული დამოკიდებულების მიმანიშნებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების , კულტირუსა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის იანვრის ბრძანება ,,სასწავლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხიოების წესების დაცვის „ შესახებ, რომლის თითოეული პუნქტის შესრულება სავალდებულოა სკოლებისთვის.უდავოდ მნიშვნელოვანია, მანდატურის სამსახურის როლი ამ მანკიერების აღმოფხვრის საქმეში, ის მჭიდროდ თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან ამ თვალსაზრისით.რაც შეეხება ბულინგის შემთხვევებს სკოლაში, ვცდილობთ, რომ ასეთი ფაქტი არ მოხდეს.მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობით აქცენტი კეთდება ყოველთვის პრევენციულ ზომებზე.

კითხვა 22

არის თუ არა სკოლის მოსწავლეებში ადრეული ქორწინებების, აბორტების, ე. წ. „ონლაინ აზარტული თამაშებისა, თუ სხვა მავნე სახის შემთხვევები და რა ღონისძიებები ტარდება მათი მაჩვენებლების შესამცირებლად?

მიუხედავათ სკოლაში განხორციელებული არაერთი საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქივობისა, სკოლაში რამდენჯერმე დაფიქსირდა ადრეული ქორწინების შემთხვევა, რაზეც სკოლის მიერ მიღებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.ისევ და ისევ საგანმანათლებლო შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთა შემთხვევების პრევენციის მიზნით.

კითხვა 23

საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების სტანდარტები განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების ცოდნასა და უნარებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. როგორ აფასებენ თავად მოსწავლეები საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების სტანდარტებთან შეფასების დონეს და რა სახის უკმაყოფილებებთან გვაქვს საქმე მათი მხრიდან?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თამარ თქვენთვის მომინდვია. თქვენ ხართ ყველაზე ობიექტური შემფასებელი თითოელი თქვენი მასწავლებლის.

კითხვა 24

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გარდა, გაქვთ თუ არა დამატებითი მოთხოვნები დასურვილები მოსწავლეების მიმართ?

ძალიან დიდი სურვილი მაქვს მოსწავლეს ვუთხრა, ვურჩიო: ისწავლონ სწავლა!

უღრმესი მადლობა ბატონო ჯეირან მეტად საინტერესო და საფუძვლიანი ინტერვიუსათვის!

ქ. ქუთაისი, 7 აპრილი, 2020 წელი

ს ი მ ღ ე რ ა წ ვ ი მ ა შ ი

ნოდარ კიკნაძე
(პრეზიდიუმის წევრი,
კავშირის თავმჯდომარე
2013 – 2017 წლებში)

ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი პირველი, ძლიერი შთაბეჭდილება უკავშირდება ორ საოცარ ადამიანს, ორ ქუჩის მომღერალს. ერთი მათგანი კაცი იყო, მეორე_ქალი. ერთად არასოდეს მინახავს, მონაცვლეობით მოდიოდნენ ჩვენს ეზოში, ასე, თვეში ერთხელ. უფრო, დღის მეორე ნახევარში. კაცი ორმოცდათხუთმეტი-სამოცი წლის. ჩასუქებული, ტანდაბალი, უკან გადატკეცილი შევერცხლილი თმით. ეცვა გახუნებული, ერთდროს, უეჭველად, გამორჩეულად კარგი ტანსაცმელი. განსაკუთრებით თვალში გეცემოდათ თუმც გახუნებული, მაინც კარგად შენახული, მწვანე ფერის, ხავერდის პიჯაკი.

თავაწეული, ყელმოღერებით მღეროდა ჩემთვის უცნობ საოპერო არიებს. ჰქონდა საოცრად რბილი, ბოხი ხმა. იმ პერიოდში (ექვსი-შვიდი წლის ვიქნებოდი), გარდა „მენახშირეს" და „ბაში-აჩუკის" სიმღერისა, გატაცებით გავჰკიოდი რამდენიმე საოპერო არიას. ამ კაცის გამოჩენა ჩემთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. მგონი, მისი ერთადერთი ყურადღებიანი მსმენელი მე ვიყავი: ბავშვები განაგრძობდნენ ფეხბურთის თამაშს, უფროსები თავიანთი ბინის კედლებში მოქცეულნი საქმიანობდნენ, სადილობდნენ, ან ისვენებდნენ... მხოლოდ მე ვიდექი პირდაღებული და მოჯადოებული ვისმენდი ამ საოცარ კონცერტს! ახლა რომ ვიხსენებ, ასე მგონია, ის კაცი, თუმც სადღაც მაღლა, ცაში იცქირებოდა, პირველ რიგში, სწორედ ჩემთვის მღეროდა. დაამთავრებდა თუ არა სიმღერას, მამაკაცი თავს ჩაქინდრავდა და იდგა ასე მორჩილად, მოწყალების მოლოდინში. ჩვენი დედები დროებით სწყდებოდნენ საოჯახო საქმეებს, მამები დინჯად დგებოდნენ სავარძლიდან და გაზეთით ხელში მიდიოდნენ ფანჯარასთან, ზოგი აივანზეც კი გამოდიოდა და ცვიოდა ეზოს ასფალტზე ხურდა ფული. ბავშვები ვეხმარებოდით მომღერალს ფულის შეგროვებაში. მერე კაცი მიდიოდა და მეც ვუბრუნდებოდი ბურთაობას.

იგივე მეორდებოდა ქალის მოსვლისას. კაცისგან განსხვავებით, ქალი მაღალი და ავადმყოფურად სუსტი იყო. ეცვა გულამოღებული, სიძველისგან გალეული, ყაყაჩოსფერი კაბა. ისიც, ჩემთვის უცნობ საოპერო არიებს მღეროდა, მასაც მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. მღეროდა თვალდახუჭული, არ ვიცი სირცხვილის, თუ გრძნობათა მოზღვავების გამო. ეგებ ერთიც იყო და მეორეც. ეგებ ამ დროს თავი სცენაზე წარმოედგინა. აკი ვიღაცამ თქვა კიდევაც: ეგენი ერთ დროს ოპერის თეატრში მღეროდნენ, მაგრამ ანტისაბჭოთა საქმია-ნობისთვის დააპატიმრესო. რამდენად შეეფერებოდა ეს სიმართლეს, ან რა კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან ამ ორ ადამიანს, ჩემთვის უცნობი დარჩა.

ვერ ვიტყვი ვერც იმას, თუ რა ეროვნებისანი იყვნენ. ჯერ ერთი, მაშინ ამ საკითხებში საერთოდ ვერ ვერკვეოდი;

მეორე ის, რომ მღეროდნენ მხოლოდ იტალიურ ენაზე, უსიმღეროდ კი სიტყვაც არასოდეს წარმოუთქვამთ და მესამეც, ახლა რომ ვიხსენებ, ისეთი იერის იყვნენ, კარგ მცოდნესაც გაუჭირდებოდა ამის დადგენა. ან კი რა საჭირო იყო? მთავარია, რომ მომღერლები იყვნენ, ნამდვილი, ოპერის მომღერლები!

ცხელი ზაფხულის ერთ საღამოს, ის იყო ქალმა სიმღერა დაიწყო, რომ უეცრად საშინლად დაიქუხა და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. ჩვენ თავი სადარბაზოებს შევაფარეთ. დაიხურა ფანჯრები, აივნების კარები. ქალი ეზოს შუაგულში იდგა და მღეროდა! თმები სახეზე, მხრებზე მიეკრო, კაბა ტანზე შემოეტმასნა, ფეხსაცმელებზე ნიაღვარმა გადაუარა... ის კი მღეროდა, თვალებდახუჭული, ხელებგაშლილი, საოცარი აღტკინებით, თითქოს წვიმას ეჯიბრებოდა, რომელიც სახურავებზე, ფანჯრის მინებზე არახუნებდა, იფიქრებდი: ქალის ხმის ჩახშობას ცდილობსო! ჭექა-ქუხილიც მასვე ეხმარებოდა. ან იქნებ პირიქით: ეგებ ეს ზეციური ორკესტრის აკომპანიმენტი იყო დიდებული მომღერლისთვის ნაბოძები?! სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა ფანტასტიური კონცერტი. ჩაათავა თუ არა ქალმა სიმღერა, წვიმა შეწყდა, ბუნება დამშვიდდა, მზემ გამოანათა! გაიღო ფანჯრები, კარები და ხურდა ფულის წკრიალთან ერთად მქუხარე ტაში და შეძახილები გაისმა: ბის! ბრავო!!!

დანამდვილებით ვერ ვიტყვი (წვიმით გალუმპულს რა შეეტყობოდა), მაგრამ მგონი ქალი ტიროდა. მადლობის ნიშნად რევერანსი გააკეთა, სწორედ ისეთი, დიდი სცენის მომღერლებმა რომ იციან, შემდეგ შეტრიალდა და ეზოდან გავიდა.

ფული ბავშვებმა ავკრიფეთ და ერთ-ერთ მშობელს შევანახინეთ, მაგრამ ის ქალი და არც კაცი მას შემდეგ აღარ გვინახავს.

მ გ ე ლ ი

არ იყო ადვილი ხაფანგში მოყოლილი საკუთარი თათის სახსარში გადაღრღნა, მაგრამ განა შესაძლებელია ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება ადვილად?!

ტკივილისგან გონება ებინდებოდა, ჭრილობიდან სისხლი ჯერაც ჟონავდა. სამი თათით რაიმეს მონადირება კი არა, გადადგილებაც უჭირდა.

შეუჩნდა თანამოძმე: „ქალაქის სამხეცეს პატრონს ვებერთელა ჯილდო დაუწესებია შენი ცოცხლად მიგვრისთვის.

„- ასეთი ბინადრის სანახავად მომსვლელი არ გამომელევაო“- უთქვამს თურმე. იარას მოგიშუშებენ. საჭმელ-სასმელი არ გამოგელევა, სითბო და ყურადღება არ მოგაკლდება.

სჯობს, თავად მიხვიდე. აბა, აქ რა გელოდება: ან ეგ ჭრილობა გადაგიყოლებს, ან მონადირის ტყვია შეგიწირავს, ან სულაც, შიმშილით ამოგძვრება სული“.

სევდიანი თვალებით მიაშტერდა. მერე გულნატკენი გაეცალა ერთ დროს მეგობარს.

P.S.

„გურჯი“ სპარსული სიტყვაა და „მგელს“ ნიშნავს.

ნოდარ კიკნაძე. 21ნოემბერი, 2019 წ.

პ ი რ ჯ ვ რ ი ს წ ე რ ა

„როცა ეს ყველაფერი არყოფნაში გადაინაცვლებს,
როცა გაყვავილდება ცხოვრება და ჩვენ აღარ ვიქნებით,
გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ნამდვილად იყო!“

ბესიკ ხარანაული

მაინც რატომ ვლოცულობთ და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვის დროს

„ლოცვა ღმერთთან საუბარია" – ასე განიმარტება ლოცვა, თუმცა რატომ ვლოცულობთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვის დროს და სად უნდა ვილოცოთ?!

ლოცვისთვის სპეციალური სახელმძღვანელო არ არსებობს. ლოცვა ისწავლება ლოცვით.

ერთ-ერთ მოძღვარს მოწაფეები ეკითხებიან, თუ რას აკეთებს ის ლოცვის დაწყების წინ, მოძღვარი პასუხობს“ „ – ვლოცულობ, რათა კარგად ვილოცო“.

სულ სამი ძირითადი ლოცვაა ცნობილი: 1. დიდებისმეტყველება, ანუ როცა ადამიანი ლოცვას იწყებს, მან ღმერთს დიდება და მადლობა უნდა შესწიროს; 2. მეორე არის სინანული, რომ ის არის ცოდვილი და სჭირდება შემწეობა; 3. მადლიერება.

მაცხოვარი ბრძანებს, ითხოვეთ და მოგეცემათ, დააკაკუნეთ და გაგეღებათ, სამწუხაროდ ბევრი ქრისტიანი ამას პირდაპირ იგებს და ყველაფერს მატერიალურ სათხოვარს მიაწერს, ეს კი არასწორია. ადამიანმა უნდა ითხოვოს სასუფეველი ცათა, ანუ ცხონება და სიმართლე მისი, დანარჩენი ყოველივე მიეცემა.

ლოცვა მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. არც ერთი რელიგია ლოცვისა და მარხვის გარეშე არ არსებობს. ლოცვის გარეშე ადამიანის სული მკვდარია. როგორც სხეულს სჭირდება საკვები, ასევე სულს სჭირდება ლოცვის სახით საკვები. ადამიანის სული ლოცვას, ანუ უფალთან ურთიერთობას თუ არ ითხოვს, ის უკვე დასნეულებულია. მაგალითად, ადამიანს თუ საკვების მიღება არ სჭირდება, ხორციელად ის უკვე სნეულია, სხეული დაუძლურდება და გარდაიცვლება, ასევეა სულიც, თუ ადამიანი არ ლოცულობს, სული უფალს განეშორება, თანდათანობით სნეულდება და კვდება.

რელიგია ნიშნავს ადამიანის განახლებულ კავშირს ღმერთთან და ადამიანისთვის ყველაზე მთავარი კავშირი ღმერთთან წარმოჩინდება ლოცვით ურთიერთობაში. თუ შენ ქრისტიანი ხარ ღმერთთან კავშირი უნდა გქონდეს, კავშირი არა მარტო სანთლის ანთებით და ეკლესიაში სიარულით, არამედ ლოცვით.

რა თქმა უნდა, არსებობს დადგენილი კანონები, თუ რა და როგორ უნდა წაიკითხოს ადამიანმა ლოცვის დროს, მაგრამ სასურველია ადამიანმა პირადი სიტყვებითაც ილოცოს. უფალმა მოციქულებს მამაო ჩვენო ასწავლა, რომელსაც მოციქულებმა მრავალი ლოცვა დაამატეს – ლოცვითი კანონები, როგორიცაა დილის, საღამოს ლოცვები და ა. შ.

ზოგჯერ, როცა მოძღვარი ადამიანებს ეკლესიაში სიარულისკენ და ლოცვისკენ მოუწოდებს, ისინი პასუხობენ, რომ დრო არ აქვთ. როგორ შეიძლება თქვა, რომ უფალთან შესახვედრად დრო არ მაქვს.

ყველაზე მთავარი და დიდი ლოცვა არის უფალო შემიწყალე, რომელსაც ადამიანი ამბობდა. როცა ადამიანი ამბობს, რომ ლოცვისთვის დრო არ აქვს, ის ცრუობს იმიტომ, რომ მაგალითად იესოს ლოცვას სულ რამდენიმე წამი სჭირდება – „უფალო იესო ქრისტე, ძე ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". ასეთი ადამიანი კი მე მგონი არ არსებობს, რომ ერთი წუთი არ ჰქონდეს ამის სათქმელად. გვაქვს დრო ჭამისთვის, ტელევიზორის ყურებისთვის, განკითხვისთვის, ჩხუბისთვის, ლოცვის გარდა დრო ყველაფრისთვის გვაქვს. ფაქტობრივად, ქრისტიანების 80% ან სწორად არ ლოცულობს, ან ლოცვა არ იცის, ანდაც ლოცულობს, მაგრამ მისი გონება ლოცვისგან ძალიან შორსაა. ეკლესია კრძალავს ვულგარულ ჩაცმულობას, ბავშვების ხმაურს, აყალ-მაყალს. როცა ადამიანი ეკლესიაში შემოდის, მლოცველი ყურადღებას მასზე გადაიტანს, ტაძარში კი მთავარი

ყურადღებაა. ლოცვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ყურადღება და რწმენა. იოანე სინელი ბრძანებს, იმაზე ნუკი ბრაზდებით, რომ გონება გეფანტებათ, არამედ გიხაროდეთ, რომ გონების შემოკრება შეგიძლიათ. ადამიანი სულისა და სხეულის ერთობლიობაა და გონება გაფანტულობა ხორცის თვისებაა. ანგელოზს ლოცვის დროს გონება არ ეფანტება, რადგან მას მატერიალური სხეული არ გააჩნია. გონების გაფანტვა ჩვეულებრივ დაშვებულია, მაგრამ გონებაგაფანტულები არ უნდა დავრჩეთ. როგორც სერიალების ყურებისას და საერო რომანის კითხვის დროს არ გვეფანტება გონება იმიტომ, რომ ძალიან გვაინტერესებს, უფალთან ურთიერთობა იმდენად უნდა გვაინტერესებდეს და მასთან დიალოგისას იმდენად მოწესრიგებულები უნდა ვიყოთ, რომ გონება არ უნდა გვეფანტებოდეს. ამავდროულად რწმენაც მნოშვნელოვანია. თუ ადამიანს არ გწამს და რაღაცას ითხოვ ე. ი. ითხოვ ბუნების რაღაც ძალისაგან, ისეთი არსებისგან, რომელსაც საერთოდ არ იცნობ და ასეა ხშირად, ყველა ადამიანი ამბობს, რომ მე ჩემი რწმენა მაქვს, ჩემი დამოკიდებულება მაქვს ღმერთთან და სამწუხაროდ, რას ითხოვენ არ იციან და ბუნებრივია, ვერ იღებენ. უხერხულია ითხოვო მატერიალური, დროებითი და არ ითხოვო მარადიული. შეიძლება ყურადღება მოვიკრიბო, ვილოცო, მაგრამ ღმერთის არსებობის რწმენა არ მქონდეს, ეს დაუშვებელია.

წარმართი ქალბატონი მიდის ქრისტესთან და ეუბნება, რომ მისი ქალიშვილი ავად არის, ქრისტე პასუხობს, რომ მე ჯერ ებრაელების განსაკურნად მოვედიო. ჩვენ რომ იმ ქალბატონის ადგილას ვყოფილიყავით, ვიტყოდით რომ რანაირი ღმერთი ხარ, თხოვნას რატომ არ მისრულებო, თუმცა ქალბატონი იცდის და ეუბნება, მერე რა მოხდა, ძაღლებიც ხომ იკვებებიან სუფრიდან ჩამოცვენილი ნამცეცებიდანო. ამ ადამიანმა თავი დაიმცირა და შვილი განიკურნა, ქრისტე მოციქულებს მიუბრუნდა და უთხრა, ასეთი სარწმუნოება მე ისრაელშიც კი არ მინახავსო.

ღმერთი ყველგან არის და ლოცვა ყველგან შეიძლება სახლშიც, სამსახურშიც, ტრანსპორტშიც და ქუჩაშიც, თუმცა ტაძარში, ხატებთან ლოცვა უმჯობესია. კინოს მოყვარული ფილმის საყურებლად კინოში მიდის, თეატრის მოყვარული თეატრში, სპორტის მოყვარული სტადიონზე, ასევეა უფლის მოშიში და მოყვარული ტაძარში ლოცულობს. როცა ადამიანს რაღაც ცუდი დაემართება, ამბობს, რომ ღმერთი ჩემზე გაბრაზებულიაო. უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი სიყვარულია და არ ბრაზდება.

ზოგი ფიქრობს, ახლა ბევრ სანთელს დავანთებ, ბევრ ცხვარს დავკლავ და ღმერთი დამშვიდდებაო, ეს არასწორია, ადამიანს მის მიერ ჩადენილი ცოდვა სჯის. თუ ადამიანი 24 საათი სასმელს სვამს, რაც არის ცოდვა, დროთა განმავლობაში ეს მისი ღვიძლის დაშლას გამოიწვევს. თუ ადამიანი თამბაქოს ეწევა, მას სხვადასხვა დაავადების გამოწვევა შეუძლია. ეს კი ნიშნავს, რომ ღმერთმა კი არა, მის მიერ ჩადენილმა ცოდვამ დასაჯა.

ლოცვის დროს მთავარი ის კი არ არის, რომ ლუარსაბივით ვიძახოთ, ღმერთო ამდენი სანთელი დაგინთე, ამდენი რამ შეგწირე და დამეხმარეო. ზოგს ჰგონია, რომ დიდი ზომის თაფლის სანთლის დანთებით და ცხვრის შემოტარებით ქვეყანას რომ შეყრის, რადგან ვიღაცას დაეხმარა, დახმარებს ელოდება. ეს სულიერი ბიზნესი უფროა, როცა ჰგონიათ, რომ ციდან დოლარები ჩამოცვივა, ასე სულაც არ არის. ჩვენ ვლოცულობთ იმიტომ, რომ გადავრჩეთ და სამოთხე დავიმკვიდროთ, ყოველ შემთხვევაში პირველი ეს უნდა გვინდოდეს, დანარჩენი კი ღმერთმა იცის, რა გვჭირდება და ყველაფერს მოგვცემს, რაც ჩვენთვის აუცილებელია.

ფსალმუნთა კრებული მეფე წინასწარმეტყველმა, დავითმა შექმნა. ის ღვთის მიმართ დიდი რწმენით გამოირჩეოდა და მეფედაც ღვთის მიერ იქნა არჩეული. დავითის მამის, იესეს სახლში მისულ წინასწარმეტყველ სამუელს იესეს შვილებს შორის ღვთის კარნახით მეფე უნდა გამოერჩია. სამუელმა იესეს თავისი ვაჟების გამოყვანა სთხოვა, მაგრამ ყველაზე უარი თქვა და დაეკითხა, კიდევ თუ ჰყავდა შვილი. იესემ უპასუხა, რომ მას ჰყავდა უმცროსი შვილი, რომელიც სამწყემსად იყო წასული. როდესაც სამუელმა დაბრუნებულ დავითს შეხედა, მიხვდა, რომ ის რჩეული იყო, რომელზეც ღმერთმა უკარნახა და მეფედაც აკურთხეს.

დავით მეფესაც ჰქონდა ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, როდესაც ცოდვისკენ განსაკუთრებით იყო მიმართული. მან, ასე ვთქვათ, სხვისი ცოლი მიისაკუთრა. შემდეგ მეფეს შვილიც აუმხედრდა და გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა, მაგრამ ყველა განსაცდელს მორჩილად შეხვდა და უფლის კარნახით შეასრულა ყველაფერი.

მეფე წინასწარმეტყველი დაახლოებით 40 წელი უძღვებოდა თავის სახელმწიფოს და ებრაელ ხალხს. ის 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების წინ კი დატოვა საღმრთო წერილი, ანუ ფსალმუნები, რომელიც დაყოფილია კანონებად. ფსალმუნთა კრებულში 20 კანონი და 150 ფსალმუნია.

ფსალმუნებში მოთხრობილია ღვთის დიდება, ძირითადად ყველა ის წინასწარმეტყველება, რაც მაცხოვრის, იესო ქრისტეს დაბადებისკენ არის მიმართული. ამასთან, თუ რატომ მოევლინება ის ჩვენს ქვეყანას. სინანულის გამო კი მან დაწერა 50–ე ფსალმუნი და თუ გულმოდგინედ

წაიკითხავ და დააკვირდები, მიხვდები, რამდენად დიდი სინანულია მასში გამოხატული.

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, ვიცით, რომ განსაკუთრებით ვკითხულობთ ერთ ფსალმუნს, მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად, ეს არის მე–17 კანონში. ხშირია, როდესაც იკრიბება 20, 30 ან 40 ადამიანი და ფსალმუნებს მორიგეობით კითხულობენ. ამ პროცესში შესაძლებელია სასულიერო პირიც ჩაერთოს. კანონებს, ფსალმუნებს ინაწილებენ და ყოველდღიურად უწყვეტლივ კითხულობენ. ფსალმუნებში მოიხსენიება მთელი მართლმადიდებელი სამყარო, გარდაცვლილი, თუ ცოცხალი ადამიანები.

ახლა მხედრული დამწერლობით ვკითხულობთ, მსახურებაზე კი სახარებიდან თავებს ძველი ქართულით ვკითხულობთ. როდესაც ადამიანს გაუჩნდება სურვილი, ჩაუღრმავდეს სახარებას, ფსალმუნებს, თუ ნებისმიერ ტროპარ–კონდაკს, არსებობს მათი განმარტებანი, ასევე სხვადასხვა განმარტებები „წმინდა მამების“ მიერ. გამარტივებული ენით მათი წაკითხვა კი შინაარსის უკეთ გაგებაში გვეხმარება.

ფსალმუნთა კითხვას მორწმუნეთათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანისა და საერთოდ ერისთვის. იმდენად ბრძნული და ღმერთთან დამაახლოებელი სიტყვებია გამოყენებული მათში, რომ აუცილებლად იქნება შესმენილი. ყველა მოძღვრისაგან მრევლს აქვს კურთხევა, ნებისმიერ დროს წაიკითხოს თითო კანონი ამ ფსალმუნებიდან და ეს კანონები იკითხება მუდმივად, განსაკუთრებით კი – როდესაც მარხვა იწყება.

<u>მეტანია</u>

ეკლესიური ცხოვრება გარკვეული წესების ცოდნას მოითხოვს. მაგალითად, მორწმუნეთაგან შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, სწორად როგორ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი, ან რა შინაარსი აქვს მას.

ამ დროს, მნიშვნელოვანია მეტანიის ცნება. მეტანია ბერძნული სიტყვაა და გონების ცვლილებას, გონების განახლებას და ერთ–ერთი მნიშვნელობით მიძღვნასაც ნიშნავს. არსებობს მცირე და დიდი მეტანია. მცირე მეტანია მცირე სინანულს ნიშნავს, როცა ადამიანი წელში იხრება და ხატის წინაშე თაყვანისცემას გამოხატავს. ხოლო დიდი მეტანის დროს, ადამიანი მუხლზე იჩოქება და მიწას ემთხვევა. დაჩოქება და ადგომა გარეგნული ქმედებაა, ამ დროს შინაგანი მდგომარეობა კი ნიშნავს, რომ მე ვიჩოქები და წელში ვიხრები იმიტომ, რომ ჩემი ცოდვების გამო სინანულს გამოვხატავ.

ნუ ვიფიქრებთ, რომ მეტანია სასჯელია. როცა ექიმი ადამიანს წამალს გამოუწერს, წამალი სასჯელი არ არის, ის განკურნების საშუალებაა, ასეა მეტანიაც. გონების განახლება სასჯელი არ არის, პირიქით, ჩვენი დაბინძურებული გონება უნდა განიწმინდოს და აზროვნება ნათლად დაიწყოს, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ბევრი ქრისტიანი მეტანიების რაოდენობას უფრო აქცევს ყურადღებას. ჯობია ცოტა მეტანია გავაკეთო და მოვინანიო, ვიდრე ათასი მეტანიის გაკეთებით დავიღალო, ვიფიქრო, რომ ღმერთმა მაპატია და უკვე კარგი ადამიანი ვარ. აქაც სიფრთხილეა საჭირო, ღმერთი ყველა შემთხვევაში შინაგანს აქცევს ყურადღებას, რომელიც გარეგნულად პირჯვრისწერაში და მეტანიაში გამოიხატება. თუ მეტანია და პირჯვრისწერა შიგნით არ აღწევს, ეს უკვე ფარისევლობაა. გონების განახლება იმას ნიშნავს, რომ თუ განიკითხავდი, ან ჩხუბობდი, მეტანიების მერე ეს აღარ უნდა გააკეთო.მეტანიის შესრულება ყოველთვის როდია მიზანშეწონილი, რამეთუ, მას თავისი დანიშნულება აქვს.

მეტანია და პირჯვრის წერა უძველესი ტრადიციაა. ადამიანში დევს, რომ განსაკუთრებული მოვლენისა და რაღაცის წინაშე ქედი მოიდრიკოს და ამით თავისი თაყვანისცემა, მოკრძალება გამოხატოს ამ მოვლენის, ან პიროვნების მიმართ. ეკლესიაში მეტანიას ადამიანი ოდითგან ასრულებს. თავად სახარებაშიც არაერთგზისაა აღწერილი გარეგნული სახით დამხობა, თუნდაც მოციქულთა დამხობა ფერისცვალების დროს და ა.შ. ეს არის უძველესი წესი, რაც თაყვანისცემას გამოხატავს.

მის შესრულებას აუცილებლად სჭირდება საგანგებო ლოცვა–კურთხევა სასულიერო პირისგან. მეტანია არის სხეულის, ფიზიკური მდგომარეობის გარკვეულწილად დაუძლურება იმისათვის, რომ აქცენტირება ადამიანის სულიერებაზე მოხდეს.

ქრისტიანულ ეკლესიაში კვირაობით მეტანიის შესრულება პირველივე საუკუნიდან აიკრძალა, რადგან ყოველი კვირადღე არის აღდგომის დღე, უფლის დღე. თვითონ სიტყვა „კვირა" ბერძნული სიტყვა კირიოსიდან, ანუ უფლიდან მომდინარეობს, ანუ ესაა საუფლო დღე, როდესაც მოხდა აღდგომა და ყოველი წირვა, რომელიც შესრულდება, ესაა აღდგომა. წირვა, როგორც წესი, კვირას სრულდება და ყოველი წირვა, თუნდაც სხვა დღეს სრულდებოდეს, ესაა

კვირა. პირველივე საუკუნიდან კვირადღეს აიკრძალა მუხლთდრეკა, ანუ ქედის მოხრა, რადგან ამ დროს შენ ხარ აღმდგარი, გამოხსნილი, ამაღლებული და ზეცისკენ აღმართული.

საეკლესიო ტიპიკონი კრძალავს საზოგადო ღმრთისმსახურების დროს განსაკუთრებული მეტანიების შესრულებას, აგრეთვე დიდხანს მუხლებზე დგომას, რაც ხელს უშლის ღმრთისმსახურების წესსა და მიმდინარეობას. თუ ტაძარში სივიწროვეა, უმჯობესია, დაწესებული მეტანიებიც არ შევასრულოთ, რომ ჩვენ გვერდით მდგომთა ლოცვითი განწყობა არ დავარღვიოთ.



კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ მეტანია და პირჯვრისწერა უძველესი ტრადიციაა. ადამიანში დევს, რომ განსაკუთრებული მოვლენისა და რაღაცის წინაშე ქედი მოიდრიკოს და ამით თავისი თაყვანისცემა, მოკრძალება და მოწიწება გამოხატოს ამა თუ იმ მოვლენის, პიროვნების ან სხვა რაიმეს მიმართ. ეკლესიაში მეტანიას ადამიანი ოდითგან ასრულებს.

მეტანია, ეს არის გარკვეული მიძღვნა, ერთგვარი ფიზიკური საფეხური, სულიერებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. ადამიანის სურვილია, რომ თავისი ფიზიკურით გამოხატოს თავისი სულიერი მდგომარეობა. მეტანიის შესრულებას აუცილებლად სჭირდება საგანგებო ლოცვა-კურთხევა სასულიერო პირისგან, მოძღვრისგან. რადგან მეტანია, ეს არის გარკვეულწილად საკუთარი სხეულის, ფიზიკური მდგომარეობის დაუძლურება იმისათვის, რომ ადამიანის შინაგან ბუნებაში აქცენტირება სულიერებაზე მოხდეს.

ამრიგად, კვირა დღეს აიკრძალა მუხლთდრეკა, ანუ, ქედის მოხდა, რადგან ამ დროს შენ ხარ აღმდგარი, გამოხსნილი, ამაღლებული და ზეცისკენ ზეაღმართული. ხოლო, რაც შეეხება პირჯვრისწერას – თავად ქართული სიტყვა „პირჯვარი" გვაუწყებს, რომ ის სრულდებოდა არა დღევანდელივით მთელს სხეულზე, არამედ სახეზე. უძველეს წყაროებში გვაქვს მითითებები, რომ ადამიანები პირჯვარს იწერდნენ სახეზე, სხეულის სხვადასხვა ორგანოებზე, ვთქვათ გულზე, ბაგეებზე, თვალებზე, ყურებზე, ანუ, ხდებოდა სმენის ორგანოების, გრძნობის ორგანოების აღბეჭდვა.

თავად ჯვარი არის მაცხოვრის მიერ ადამიანთათვის გამხსნისა და ბოროტის ძლევის იარაღი, ამიტომაც პირჯვრის გამოსახვა ადამიანის მხრიდან გულისხმობს ბოროტებისგან განდგომას და ბოროტებისგან განშორებას. ყოველი ბოროტება უფრთხის და კრთის წმინდა ჯვრის წინაშე, რომელიც არის მაცხოვრის წმინდა სისხლით გაპოხიერებული და ჩვენთვის მოცემული როგორც დაცვისა და ძლევის იარაღი. სწორედ ამიტომ სიწმინდეებთან მიახლებამდე ადამიანების მიერ პირჯვრის გამოსახვა, იქნება ეს ხატის მთხვევა, ზიარების წინ ხელის გადაჯვარედინება, ჯვრის მთხვევისას პირჯვრის გამოსახვა, გულისხმობს იმას, რომ მე, როგორც უწმინდური, ჩემი ცოდვების გამო გაუწმინდურებული ადამიანი მივეახლები წმინდას და უშუალოდ სიწმინდესთან შეხებამდე ვისახავ პირჯვარს და ამით განვაგდებ ყველანაირ სიბოროტეს, რაც კი ჩემშია.

პირჯვრისწერა და მეტანიების შესახებ ღმრთისმსახურების დროს მართლმადიდებელი ეკლესიის ტიპიკონი ითვალისწინებს პირჯვრისწერის წესებს მეტანიის გარეშე, მცირე ან სრული მეტანიით.

პირჯვრის გამოსახვა საჭიროა: საღმრთო წერილის კითხვის დასაწყისსა და დასასრულს; ტროპარის ან ფსალმუნის კითხვისა თუ გალობის დასაწყისში; ექვსფსალმუნების შუაში „ალლელუიას" დროს; სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) კითხვისა თუ გალობისას სიტყვებზე: „მრწამს", და „ერთი უფალი იესო ქრისტე", „და სული წმიდა", „განტევებისას", „ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმა ჩვენმან", „ძალითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა", დღის წმინდანების მოხსენიებისას და დიაკვნის ვედრებისას: „აცხოვნე, უფალო".

„ქრისტინებისათვის ჯვარი უდიდესი ძალაა და დიდებაა, რადგან მთელი ჩვენი ძალა ჯვარცმული ქრისტეს ძალაშია, ხოლო მთელი ჩვენი დიდება „ქრისტეს სიმდაბლეში"" (ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი). „ყოველთვის ჯვარით დაიბეჭდე თავი და ბოროტი ვერ შეეხება შენს სულს. ფარის ნაცვლად პატიოსანი ჯვარით აღიჭურვე, ყოველი შენი ასო და თვით გული ამ მძლავრი იარაღით დაიცავი, და თუ ამას შეასრულებ, მაშინ ვერავინ ვერაფერს გავნებს" (ღირსი ეფრემ ასური).

რატომ ვიწერთ პირჯვარს და როგორ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი სწორად

ეკლესიის, ხატის, ჯვრის დანახვაზე მორწმუნეები პირჯვარს იწერენ, ამას გარდა, ბევრი ადამიანი ტრანსპორტში ყოფნისას, გზაზე გადასვლისას, საკვების მიღებისას, ან საქმის დაწყებისას იწერს პირჯვარს.

პირჯვარის გამოსახვა ქრისტიანულ ცხოვრებაში გარეგნულ წეს-ჩვეულებას მიეწერება. პირ-ჯვრისწერა სათავეს პირველი საუკუნიდან იღებს, მაგრამ იმ დროს პირჯვარს სხვანაირად იწერდნენ – შუბლზე ხელის დადება, პირზე, ყელზე და ა.შ. იყო დრო, როცა ადამიანი თუ პირჯვარს გამოისა-ხავდა და თავის აღმსარებლობას გარეგნულად გამოხატავდა, ამის გამო ისჯებოდა.

იმასაც ამბობენ, დღევანდელი ფორმით პირჯვარის გამოსახვა მე-12, მე-13 საუკუნეებში შე-მოვიდაო. სამი თითი ერთად, ორი მოხრილი, შუბლი, მუცელი, მარჯვენა და მარცხენა მხარი, რაც ნიშნავს იმას, რომ სამი ერთად შეერთებული თითი არის ერთარსება სამპიროვანი ღმერთი, ორი მოხრილი თითი ეს არის ქრისტეს ორი ბუნება, ზეციდან ჩვენი ცხონებისთვის გარდამოსული დედა-მიწაზე. ეკლესიური სწავლებით, მარჯვენა მხარე არის ცხონების მხარე, ამაღლების, სასუფევლის, ანუ აღმოსავლეთის მხარე, ხოლო მარცხენა უარყოფით ძალთა სამყოფელია. მაგალითად ადრე ქრისტიანებს პირდაპირ ავალებდნენ, რომ ჯვარი ყველაფერზე უნდა გამოესახათ. რა თქმა უნდა, დღესაც ასეა, მაგრამ არ შეიძლება თანამედროვე ქრისტიანმა ყოველ წამს გამოისახოს პირჯვარი, ხანდახან ეს წარმართების და ურწმუნო ხალხის დამაბრკოლებელიც ხდება.

როცა ტაძარს დავინახავთ, ან ვლოცულობთ, რა თქმა უნდა, პირჯვარის გამოსახვა საჭიროა, მაგრამ კარგად უნდა დავუკვირდეთ, რომ ჩვენ იმ ფარისევლებივით არ მოვიქცეთ, რომლებიც მა-ცხოვრის მოსვლის ჟამს გარეგნულად ღმერთს ადიდებდნენ, მაგრამ შინაგანად მტაცებელნი და ცხოველები იყვნენ. ძალიან ბევრი თანამედროვე ქრისტიანი გარეგნულად იმ ძველი საუკუნის ფა-რისევლებს ემსგავსება. გარეგნული ქრისტიანული წესების აღსრულება შინაგანი მდგომარეობის გა-მოხატულებაა. თუ შინაგანად არ აღიარებ ჯვარცმულ იესო ქრისტეს და შენი ცხოვრების წესი არ არის ქრისტიანულ-მართმადიდებლური, მაშინ ჯვრის გარეგნულ გამოსახვას, შეიძლება დამაბრკო-ლებლური და ფარისევლური გამოვლინება ჰქონდეს.ამიტომაც არის ხოლმე, რომ ნაკლებად მორ-წმუნე ხალხი როცა ხედავს ქრისტიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, რომელიც არ ცხოვრობს, არ აცვია ისე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს და იცვამდეს, ეს ადამიანები უკვე დამაბრკოლებლები ხდებიან.

პავლე მოციქული კორინთოს ეკლესიას მიმართავს, რომ თქვენი ქმედებებით წარმართებში იდიდება ღმერთი და თქვენი ქმედებით იგმობა ღმერთი. თუ ადამიანი სწორად გამოისახავს პირ-ჯვარს, არის თავმდაბალი, აცვია შესაბამისად და წარმართი დაინახავს, რომ ქრისტიანი ხარ, ამით ის ღმერთს ადიდებს, მაგრამ თუ თამბაქოს ეწევი, ჩხუბობ, ცუდად იქცევი, ბუნებრივია ამით წარმარ-თებში ღმერთი იგმობა.

ჯვრის გამოსახვა ბოროტთან შერკინებას ნიშნავდა. როცა გზაზე დგახარ, ავტომობილით და-დიხარ, ან სახლიდან გამოდიხარ, პირჯვარი უნდა გამოისახო. მშობლებმა შვილებს ჯვარი უნდა გა-დასახონ, თავზე დაადონ ხელი. ჩვენი წინაპარები ასე აკეთებდნენ და შვილებიც მშობლებს ხელზე ეამბორებოდნენ. სამწუხაროდ, დღეს როცა ვინმე მოძღვარს ხელზე ეამბორება, უკვირთ და ხანდა-ხან ღიზიანდებიან, თუმცა არა მარტო მოძღვარს, მშობლები შვილებს ჯვარს გამოსახავდნენ, და-ლოცავდნენ. როცა ბავშვებს ვნათლავთ და ემბაზიდან ამოგვყავს, ნაკურთხ ჯვარს ვკიდებთ, რად-განაც ის გახდა მხედარი ქრისტესი და მას გადაეცა საჭურველი, ანუ იარაღი ბოროტებასთან საბ-რძოლველი. ეშმაკი ჯვრის გამოსახვას ვერ იტანს და თუ ადამიანი ჯვარს რწმენით გამოისახავს, მისგან არაწმინდა სული გავა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მექანიკური ქმედება. პირჯვრის გამოსახვისას უნდა ვთქვათ „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა". მოძღვარი ამ სიტყვებს ამ-ბობს ყოველთვის, როცა იწყებს წირვას, ქადაგებას, რამე საგნის კურთხევას და ა.შ.

პირჯვრის გადაწერის დროს, როცა ხელს შუბლზე მივიდებთ, აუცილებლად მუცელზე, კუჭამ-დე უნდა ჩამოვიტანოთ და არა შუაში გავაჩეროთ იმიტომ, რომ ამ დროს ჯვარი შეიძლება ამობრუ-ნებულად გამოისახოს. ხდება როცა ადამიანს პირჯვრის გამოსახვა ერიდება ან ვერ ახერხებს, ამი-ტომ ჯვრის გამოსახვა თვალებითაც შეიძლება.მთავარი რწმენაა, რომ ადამიანს ჯვარცმული ღმერ-თის ცოცხალი რწმენა ჰქონდეს.

პირჯვრისწერა ჯვარცმული ღმერთის აღიარებას ნიშნავს. ჯვრის გარეშე არ არსებობს ქრის-ტიანობა, ცხონება და ეშმაკთან ბრძოლა. ჯვრის გამოსახვა ნიშნავს მზაობას, რომ მე ვარ ქრისტიანი, ვარ ბედნიერი, მიხარია და ვირიცხები ქრისტეს სამწყოში.

პირჯვარის გადაწერა ყველგან შეიძლება რამეთუ ადამიანს საფრთხე ყველგან ემუქრება, მაგრამ საჭირო არ არის ტრანსპორტში ასვლისას და ჩასვლისას პირჯვარის წერა, თუმცა რომც

გადავიწეროთ, ეკლესია ამის წინააღმდეგი არ არის. ადამიანი გონიერი არსებაა და თვითონ გადაწყვეტს, როდის არის საჭირო პირჯვარის გადასახვა. ეკლესია ადამიანს არ მიუთითებს, რომ პირჯვარი ამა და ამ დროს უნდა გადავისახოთ, ლოცვებში არის მითითება, მაგრამ როცა საზოგადოებაში ვართ, ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ, რომ ჩვენი ზედმეტად რელიგიურობით და გარეგნული გამოხატულებით ვინმეს დასაცინები არ გავხდეთ. ჯობია ყურადღება თავმდაბლობითა და უბრალოებით მივიქციოთ, ვიდრე ვულგარულად გვეცვას და ყოველ წუთას პირჯვარი გამოვისახოთ და ამით ადამიანები დავაბრკოლოთ.

როგორც ზემოთ ვამბობდით, თავად ქართული სიტყვა „პირჯვარი" გვაუწყებს, რომ ის სრულდებოდა არა დღევანდელივით მთელ სხეულზე, არამედ სახეზე. ჯვარი არის მაცხოვრის მიერ ადამიანთათვის გამოხსნისა და ბოროტის ძლევის იარაღი, ამიტომაც პირჯვარის გამოსახვა ჩვენი მხრიდან გულისხმობს ბოროტებისგან განდგომას. ყოველი ბოროტება კრთის წმინდა ჯვრის წინაშე, რომელიც არის მაცხოვრის წმინდა სისხლით გაპოხიერებული და ჩვენთვის მოცემული, როგორც დაცვისა და ძლევის იარაღი. სწორედ ამიტომ სიწმინდეებთან მიახლებამდე ადამიანების მიერ პირჯვარის გამოსახვა (ხატის მთხვევა, ზიარების წინ ხელის გადაჯვარედინება, ჯვრის მთხვევისას პირჯვრის გამოსახვა) გულისხმობს იმას, რომ მე, უწმინდური, ჩემი ცოდვების გამო, მივეახლები წმინდას და უშუალოდ სიწმინდესთან შეხებამდე ვისახავ პირჯვარს და ამით განვაგდებ ყველანაირ ბოროტებას, რაც კი ჩემშია. პირჯვრის გამოსახვა საჭიროა საღმრთო წერილის კითხვის დასაწყისსა და დასასრულს, ტროპარის, ან ფსალმუნის კითხვისა, თუ გალობის დასაწყისში.

და მაინც, რატომ ვიწერთ და რას ნიშნავს პირჯვარის გადაწერა?!

უპირველესი არის ჯვრის საიდუმლო, რითაც, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ზღვარგამყოფი ნიშა იქმნება – კაცობრიობის ისტორია ვიდრე ჯვრის გამოჩინებამდე და ჯვრის გამოჩინების შემდეგ. ქრისტიანისთვის ყველა სხვა იარაღი უარყოფილია, გარდა ჯვრისა, რომლითაც ხდება უკლებლივ ყველა მოწინააღმდეგის – ხილულისა და უხილავის სრული შემუსვრა და განადგურება. მას შემდეგ რაც მაცხოვარი ზეცად ამაღლდა, ადამიანთათვის ყველაზე უფრო საიმედო, რაც მან დატოვა, ეს არის ჯვარი. მანამდე ჯვარცმა იყო ყველაზე სამარცხვინო სასჯელი ადამიანისთვის, რაგდან ჯვარს ეცმოდა მხოლოდ მძიმე დამნაშავე. მაცხოვრის მღვდელმოქმედება მთელი სისრულით იწყება მის მიერ ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებით და სრულყოფას იძენს ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის დროს.

კაცობრიობისთვის აქედან იწყება ახალი ეპოქა– ეს არის ჯვრის ძლევამოსილების გამოჩინების ეპოქა – ჯვარი, რომელიც ადამიანის ყველაზე დიდი საჭურველი ხდება ამის შემდეგ.
როდესაც ამ სიტყვებს ვამბობთ, ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, ჯვრით რა უნდა დავამარცხოთ. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებრივ ხარისხს. ადამიანს შეუძლია ხილული და უხილავი მტერს სძლიოს ისე, როგორც ამის გაკეთებას ვერ შეძლებს ყველაზე ძლიერი ამქვეყნიური საჭურველისგან.

ჯვრის საიდუმლო არ მდგომარეობს იმაში, რომ ხორციელად გაანადგუროს მტერი. მაცხოვარს ვინმეს ფიზიკური განადგურება რომ სდომოდა, ამაზე თავად იზრუნებდა, მაგრამ თავად აუკრძალა პეტრეს ხმლის გამოყენება, რადგან ხორციელება არ არის სათავე უკეთურებისა.
ჯვარზე დასრულდა ეშმაკის ტირანია. თუ საკუთარი ნებით არ გაუხსნი გულს ეშმაკს, ის მძლავრებითად შენი ნების საწინააღმდეგოდ ვერ დაგიმონებს, რადგან შენი მეუფე გყავს, რომელსაც თავი დაუმონე – ანუ ქრისტე.

ერთადერთი რაობა, ფუნქცია და დანიშნულება ჯვრისა– დაგვიცვას და გადაგვარჩინოს უხილავი მტრისგან და ამ მტრის ხორცშესხმული გამოვლინებებისგან. განსაკუთრებით გვხვდება ეს ბრძოლები „მეუდაბნოე მამებში", რომლებიც პირისპირ ეკვეთებიან ჯვრით უხილავ ძალებს. ის კვეთებულის ლოცვა, რომელიც ეკლესიის წიაღში არსებობს, სწორედ იმიტომ არის, რომ უკეთური ეკვეთება ადამიანს პირდაპირი გაგებით. არის შემთხვევები, როდესაც ტაძარშიც კი კვეთებია ამა თუ იმ პირს. ეს არის პირდაპირი ბრძოლა და ასეთ დროს პირიდაპირი თავდაცვითი იარაღია ჯვარი.

პირჯვრის გარდასახვას აქვს ერთადერთი – თავდაცვითი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ჩვენ თავს ვიცავთ უკეთური ძალისგან – პირჯვრის გადასახვას ამის გარდა სხვა მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც სიწმინდის წინაშე პირჯვარს ვიწერთ, თუ არ ვაცნობიერებთ ამას რატომ ვაკეთებთ, ძალიან დიდ მკრეხელობამდე შეიძლება მივიდეთ ჩვენდაუნებურად. როდესაც პირჯვარს ვიწერთ, ამით ჩვენ უკეთურს განვირიდებთ. მაგალითად, როდესაც შევდივართ საკერპოში და სიბილწეში, იქ შესვლის წინ პირჯვარს გადავიწერთ, რათა ამ საკერპოსა და სიბილწის უკეთურება ჩვენ არ შეგვეხოს. ასევე, სიწმინდეთა წინაშე ჯვრისწერისას, ჩვენში დაბუდებული უკეთურებანს ვდევნით ჩვენგან, რომ ღირსნი გავხდეთ სიწმინდესთან მიახლებისა. საკუთარი თავიდან განვიდევნით

უკეთურებას, რომ მივეახლოთ სიწმინდეს. პირჯვარს ვიწერთ მხოლოდ უკეთურებისგან განრიდებისა და თავდაცვის მიზნით. ლოცვის წაკითხვის წინაც აუცილებელია პირჯვრის გადაწერა, რათა ლოცვისთვის გონება განწმინდო და მოამზადო, რათა არა მხოლოდ ბაგისმიერად გამოთქვა ლოცვა, არამედ შენში იყოს.

რადგან ეს ასეა, რომ პირჯვრის წერის ერთადერთი დანიშნულებაა უკეთურებისგან განრიდება, ამისგან არის გულსაკიდი ჯვარიც და პირჯვრის გადაწერის ის წესი, რაც თავისი ისტორიის მქონეა, თუმცა არსით ერთი და იგივეა.

რაც შეეხება პირჯვრის გადაწერას: ჩვენ ვიწერთ პირჯვარს უკეთურების განსადევნად და მივდევთ მას კვალში რომ განვდევნოთ: – ჯერ შუბლიდან, ანუ გონებიდან, შემდეგ ქვემოთ – სხეულიდან, მერე უკეთურ, ბოროტ ძალას მარჯვნიდან მარცხნივ ვუშვებთ, სადაც მისი სამკვიდრებელია.

მართლმადიდებლური სწავლებით დასავლეთი, ანუ მარცხენა მხარე, ეს არის წარწყმედა და სიბნელე – ჩვენ ეშმაკს მივდევთ კვალში ჯვრით და განვდევნით მას. აღმოსავლეთში ეშმაკს ვერ გაუშვებ – ანუ როდესაც პირიქით იწერენ პირჯვარს (კათოლიკეები და სხვა კონფესიები) მარცხნიდან მარჯვნივ – მარჯვენა აღმოსავლეთია და ცხონება. კათოლიკეები ამბობენ, რომ ჩვენ თითონ მივდივართო აღმოსავლეთისკენ, ანუ ღმერთისკენ. ასეთ შემთხვევაში ჯვრის ფუნქცია იკარგება, რადგან ჯვრის გარდასახვით ჩვენ კი არ მივდივართ დასავლეთისკენ, ან აღმოსავლეთისკენ, არამედ ჯვარს რომ ვისახავთ ბრძოლაში ვართ – ვებრძვით და მივდევთ მოწინააღმდეგეს – უკეთურ ძალას, რომ ის ჩვენ სხეულში არსად დავტოვოთ.

როგორც იოანე ოქროპირი გვაუწყებს, მხოლოდ იმ პირჯვრის გადაწერას აქვს მადლი, როდესაც ჩვენთვის ჯვარცმულ მაცხოვარს წარმოვიდგენთ, ვიხსენებთ, რომ ჯვარს რომელსაც გამოვისახავთ, ეცვა მაცხოვარი. ამიტომაც, არ არის აუცილებელი ყოველწამიერად, მითუმეტეს ამის შეგნება თუ არ გვაქვს, პირჯვრის გადაწერა. სჯობს, დღეში ერთხელ გამოისახო პირჯვარი ისე, როგორც საჭიროა რომ გამოისახო, ვიდრე ბევრჯერ და არც ერთხელ არ გაგახსენდეს ჯვარცმული ქრისტე. უკეთური ძალისგან განრიდებას მხოლოდ ხელის ქნევა არ განაპირობებს, არამედ იმ შინაარსის დატვირთულობა, რაც ჯვარცმულ მაცხოვარს უკავშირდება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღსრულდება უკეთურების შემუსრვა ჩვენთან მიმართებაშიც.

ამრიგად, ჯვარი შემმუსვრელია დემონთა, ჯვარი ძლევაა და გამარჯვება, ამიტომაც პირჯვარი ყოველთვის უნდა გადავიწეროთ, რათა ბოროტმა ძალამ არ შემუსროს ჩვენი სული. პირჯვრის გადაწერისას ადამიანს უნდა ახსოვდეს გოლგოთა და აღდგომა.

კვლავ და კვლავ გავიმეორებთ, რომ პირჯვარის გადასახვით ჩვენ აშკარად ვაღიარებთ რწმენას ჯვარცმული უფლისადმი, ვადიდებთ მას ჩვენი სხეულით. მოციქულთა დროსაც რომ არსებობდა წეს–ჩვეულება ლოცვის დროს ხელების გამოყენებისა, რწმენის გამოხატვის საშუალებად, მოწმობს პავლე მოციქული: „მსურს რომ ყველგან ილოცონ, და აღაპყრან სუფთა ხელები რისხვისა და ეჭვის გარეშე“. ფსალმუნშიც წერია: „ხელთა აღპყრობა – შესაწირავად მწუხრის ჟამისა“ (ფს. 140, 2).

ჩვენი შესაწირავი – ქრისტეა, რომელიც ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ე. ი. როდესაც აღვაპყრობთ ხელებს ჯვრის გამოსახვისას, გამოვხატავთ რწმენას ჩვენთვის ჯვარცმული ქრისტეს მიმართ. ძველი ქრისტიანები ლოცვის დროს მარჯვენა ხელით გადაისახავენ ხოლმე ჯვარს. ამაზე მოწმობს წმ. იუსტინე წამებული (165 წ.) „ქრისტიანები უნდა ლოცულობდნენ სახით აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ჯვარი უნდა გადასახონ მარჯვენა ხელით და არა მარცხენათი, რათა უკეთ აღავლინონ ლოცვა ღმრთისადმი“.

ტერტულიანე, რომელიც გარდაიცვალა 220 წელს, წერს: „მოციქულთა სწავლების თანახმად, ყოველი კეთილი საქმის დაწყებისას და დამთავრებისას, ყოველი გასვლისა და შემოსვლის დროს, ჩაცმისას, ბანაობისას, მაგიდასთან, კანდელთან, საწოლთან, სავარძელთან მისვლისას, მოკლედ, ყოველთვის ჩვენ უნდა ვიცავდეთ თავს ჯვრის გადასახვით. ამით ისინი შთააგონებენ თავის მოწაფეებს, ხოლო მათი მეშვეობით – ყველა მორწმუნეს, რათა სარწმუნოების აღიარების ნიშნად, ჯვრის გადასახვით დაესვათ ბეჭედი სახეზე და მკერდზე“.

პირჯვრის გადაწერისას ხელს მივიტანთ პირველად შუბლზე, მეორედ მუცელზე, მესამედ მარჯვენა მხარზე, მეოთხედ კი – მარცხენაზე, ამით გამოისახება ჯვარი, რომელზეც ეცვა ჩვენთვის უფალი იესო ქრისტე. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ პირჯვრის გადაწერისას ჯვრის ქვედა ბოლო ზედაზე მოკლე არ გამოვიდეს, რომ ამობრუნებული ჯვარი არ გამოვისახოთ, როგორც ეს ქვემოთ ნახატზეა ნაჩვენები:

პირჯვარის წერით, ჩვენ ასოებივით ვიწერთ სხეულზე ჩვენს სარწმუნოებას. ასეთი წეს-ჩვეულება უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა ქრისტეს ეკლესიაში, რაზეც მოწმობს კირილე იერუსალიმელიც (IV ს.): „დიაღ არ გვრცხვენია ჯვრის გადასახვისა შუბლზე და ყველაფერზე“.

და რაც მთავარია, ჯვრის გადასახვისას, სიტყვებით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, ჩვენ ვაკურთხევთ ყოველს ჩვენს კეთილ საქმეს და ვიცავთ თავს ბოროტისაგან.

ამიტომაც ცდილობს ეშმაკი, სხვადასხვა სექტების მეშვეობით დაგვაეჭვოს ჯვრის გადასახვის მართებულობაში და ამით გაგვაგდებინოს ხელიდან ის მძალვრი იარაღი, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას ჩვენი მოჯადოებისა და შეპყრობისა.

რას აღნიშნავს ორი და სამი თითით პირჯვრისწერა და ლოცვა „მამაო ჩვენო"

ქრისტიანული სიმბოლიზმის მიხედვით, პირჯვრისწერა მარჯვნიდან-მარცხნივ აღნიშნავს ფაქტს, რომ ღვთის კურთხევას იძენენ და რადგანაც ამ სიმბოლიზმის მიხედვით, მარცხენა მხარეზე კავშირი აქვს ეშმაკს და ამით აღიარებენ ცოდვისკენ მიდრეკილებას და ითხოვენ შველას.



კათოლიკეების სიმბოლიზმის მიხედვით კი, ასევე მარცხნივ ეშმაკის არსებობა მარცხდება და მარჯვნივ მთავრდება პირჯვრის გადაწერა, რაც ეშმაკზე გამარჯვებას მიუთითებს. ანუ ისინი პირჯვარს მარცხნიდან-მარჯვნივ იწერენ.

XVI საუკუნემდე ყველაფერი სხვაგვარად იყო – კათოლიკეები მრავალი წლის მანძილზე პირჯვარს ორივე მიმართულებიდან იწერდნენ და ორივე შემთხვევა სრულიად მისაღები იყო. ცვლილებები კი 1570 წელს რომის პაპმა პიუს V-ემ შეიტანა და კათოლიკეებისთვის პირჯვრისწერის წესი მხოლოდ მარცხნიდან-მარჯვნივ გახდა მისაღები.

ბიზანტიური ტრადიციებიდან აღსანიშნავია ასევე, რომ პირჯვრის წერის დროს სამი თითი წმ. სამებას გამოხატავს, ხოლო ორი მოხრილი თითი კი – ქრისტეს ორმაგ ბუნებას – ღვთაებრივსა და კაცობრივს. თითებს პირველად შუბლზე იდებენ, რათა აზრი განიწმინდოს, შემდეგ გულზე – გულის გასაწმენდად, მერე მხრებზე, რათა ქრისტეს გულში გაძლიერდნენ. ჯვარს იმიტომ ისახავენ, რომ ჯვარცმულმა ღმერთმა იესო ქრისტემ დაიცვას და დაიფაროს

მლოცველი. ბიზანტიაში თავდაპირველად პირჯვარს მხოლოდ ორი თითით ისახავდნენ, თუმცა ეს ჟესტი მოგვიანებით სამმა თითმა ჩაანცვლა. ძველმორწმუნეებში შეიძლება დღესაც შეხვდეთ მას, ვინც კვლავ ორი თითით განაგრძობს ჯვრის გამოსახვას.

ორი თითით პირჯვრის წერა არის ძველმართლმადიდებლური წესი, იგი უკვე ბევრმა მართლმადიდებულმა საპატრიარქომაც აღიარა და მისაღებად ჩათვალა.

მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე არასწორია და შეჩვენებას იმსახურებს სამი თითით პირჯვრის გადაწერის წესი.

საიდანაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა – ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს ორი თითით მართებს პირჯვრის გამოსახვა. ვაერთებთ ცერა, ნეკა და არათითს ნიშნად იმისა, რომ გვწამს წმ. სამება: მამა, ძე და სულიწმიდა, ორ დანარჩენს კი – საჩვენებელსა და შუათითს ვტოვებთ გამართულად, ქრისტეს ორბუნებოვნების – ღვთაებრივის და კაცობრივის, – სიმბოლოდ. ოდნავ მოხრილი შუათითი მოგვანიშნებს ღვთაებრიობაზე მაცხოვრისა, რომელმან მოსდრიკა ზეცა და განკაცდა დედამიწაზე. აღმართული თითი კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვრის ამაღლებაზე მიანიშნებს. აქ ჯვართან მიმართებაში მთავარი არის ორი თითი, რადგანაც ქრისტეა ჯვარცმული და არა სამება. ვფიქრობ, სადავო და საკამათო არ უნდა გახდეს ის, თუ რას ეწოდება აქ „ორი თითით პირჯვრისწერა". აი, ეს არის ის წესი, რომელსაც ძველმართლმადიდებლები მისდევენ.

ასე, რომ მლოცველებს პირჯვრისწერა მართებთ ორი თითით: ჯერ უნდა დაიდონ თავზე, შემდეგ მკერდზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე და მერე მარცხენაზე. ერთი თითის მოხრა (ორიდან – ძვმ.) ნიშნავს ქრისტეს გარდამოსვლას ციდან, ხოლო სწორად მდგომი თითი მის ამაღლებაზე მიანიშნებს, სამი თითი კი ერთად უნდა შევკრათ, რითაც განუყოფელ სამებას ვაღიარებთ. ეს არის ჭეშმარიტი პირჯვრისწერის წესი.

შედეგად ვიმეორებთ, რაც შეეხება სიტყვებს „ჯვართან მიმართება", ან „ჯვარცმა", აქ არის ასეთი განმარტება – „ჯვართან მიმართება" ნიშნავს, რომ პირჯვარს სწორედ ამ ორი თითით ვიწერთ და არა იმ სამით, რომელიც ამასთანავე შეკრული გვაქვს სამების ერთობის აღსანიშნავად, ჯვარცმული იყო თავად ქრისტე და არა სამება. თუ სამი თითი გამოხატავს სამების ერთარსობისადმი რწმენას, გამოდის რომ ჯვარცმულია წმ. სამება (ღმერთო მომიტევე!) და არა მაცხოვარი.

ვფიქრობთ, მართებულია, ჯვარცმულის აღსარება ორი თითით უნდა გამოვსახოთ, ხოლო წმიდა სამებისა სამით და სრულიად ცხადად არის ნათქვამი და გასაგებიცაა, თუ რატომ არის წინა პლანზე ორი თითი, რატომ ედება ის სხეულის იმ ნაწილებს, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ზეციდან გარდამოსვლას, განკაცებას, აღდგომას და ამაღლებას...

. . . არ ვიცი რამდენად მართებულია, როცა მართლმადიდებლური ეკლესია კონკრეტულ კანონებს ღებულობს კონკრეტულ დროში წამოყენებული პრობლემიდან გამომდინარე . . .

. . . თუმცა, როგორც ცნობილია, წმ. მოციქულთა 50–ე კანონში გადმოცემულია ნათლობის ფორმა, სამგზის შთაფვლა და აკრძალულია ერთგზისი. ცხადია, რომ ნათლობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ შთაფვლით და ეს კანონი მიღებულია ყველა დროისთვის. იმისათვის, რათა ეკლესიამ წარამარა არ მიიღოს კანონები ყველა იმ არასწორ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება მწვალებლებმა ათასგზის გადააკეთონ და სულ სხვადასხვა ინტერპრეტაციით შესთავაზონ ეკლესიას, მართლმადიდებელმა მოძღვრებმა გადმოსცეს და დააკანონეს ის, თუ როგორ უნდა იქნეს შესრულებული სწორი ნათლობა, თუმცა იქვე მიანიშნეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეს კანონი მიღებული იყო ერთგზის შთაფვლის წინააღმდეგ.

მართლმადიდებელი ფიქრობს, რომ 50–ე კანონში მოცემულია ის, თუ როგორ უნდა მოინათლოს ქრისტეანი და ვინც ასე არ მონათლავს, ის არ არის ნათელღებული. ზუსტად იგივე უნდა ითქვას ორი თითით პირჯვრისწერის შესახებაც. ამდენად, სამი თითით (და ნებისმიერი სხვა წყობით) პირჯვრისწერის უარყოფა დევს თვით ორი თითით პირჯვრისწერის შესახებ კანონში: „ვინცა ვინ არა დასწერდეს ჯუარსა, ვითარ ეგრე ქრისტეცა, შეჩუენდება!"

XII საუკუნის ერთი ბერძენი ამხელს ლათინ მღვდელმთავრებს იმაში, რომ ისინი აკურთხებენ ხუთი თითით, ხოლო პირჯვარს, მონოთელიტთა მსგავსად, იწერენ ერთი თითით, „მაშინ, როდესაც თითები ჯვრის ნიშის გამოხატვისას ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მით აღინიშნებოდეს ქრისტეს ორი ბუნება და ღვთაების სამი იპოსტასი". აქაც ხაზგასმულია, რომ თითებით ჯვრის ნიშის გამოხატვისას უნდა აღინიშნებოდეს როგორც ქრისტეს ორი ბუნება, ისე სამებაც...

წმიდა წერილში ნათქვამია: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე. უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს ეგევითარი იგი და ცოდავს და არს იგი თვით დაშჯილ" (ტიტ. 3:10–11).

განვიხილავთ წყაროებს:

1. ამ მიმართულების უპირველესი არგუმენტია წმინდა არსენ იყალთოელის „დოგმატიკონიდან" სიტყვები: „ვინცა ვინ არა დასწერდეს ჯუარსა ორითა თითითა, ვითარ–იგი ქრისტეცა, შეჩუენება!".

ეს წესი არსენ იყალთოელის „დოგმატიკონშია" მოცემული და მას ეწოდება „შეჩუენებაი იაკობიტთა და ყოველთა ერთ ბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა". ტექსტში, რომელიც ბერძნულიდან არის თარგმნილი, ჩამოთვლილია იაკობიტური (და მონოფიზიტური) ცთომილებანი, რომელთაც ანათემას უთვლის ამ მწვალებლობიდან მართლმადიდებლობად მოქცეული ქრისტეანი. მასში ნათქვამია: „რომელი საძაგელისა მისგან წვალებისა იკობიტთა და ხაჩეცართაისა უბიწოსა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა სარწმუნოებასა ყოვლითა სულითა და გულითა მოუხდებოდის, შეჩუენებაი თანაც ყოველთავე აქა მოხსენებულთაი". მათ შორის: „ვინცა ვინ არა ნათელსცეს სამითა შთაფლვითა სახელსა ზედა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, შეჩვენებულ იყავნ!" „ვინცა ვინ არა დასწერდეს ჯუარსა ორითა თითითა, ვითარ იგი ქრისტეცა, შეჩუენება!"

აქედან კი გამომდინარეობს, რომ არსენ იყალთოელის დროს ორი თითით ჯვრის გამოსახვა როგორც პირჯვრისწერისთვის, ასევე კურთხევის გასაცემად დოგმატური შინაარსის მატარებელი და ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი იყო. სწორედ ამ წესს უარყოფდნენ მონოფიზიტები და, როგორც სჩანს, თავიანთი დოგმატური შეხედულებისამებრ, კერძოდ ქრისტეს ერთბუნებოვნების აღსანიშნავად, ერთი თითით გამოხატავდნენ ჯვარცმული ქრისტეს აღსარებას. ანუ სრულიად ნათელია, რომ ეს წესი მიღებულია სწორედ დოგმატური შინაარსის ცვლილების საწინააღმდეგოდ (ქრისტეს ერთი ბუნების საწინააღმდეგოდ). ეს წესი საერთოდ არ მსჯელობს სამი თითით პირჯვრის გადაწერის საკითხზე, რადგან როგორც ჩანს ეს საკითხი, მაშინ უცნობი იყო.

ამრიგად, დიდება ღმერთს, რომ XI–XII საუკუნეებში სამი თითით პირჯვრისწერა არ არსებობდა (არსენ იყალთოელი ცხოვრობდა ამ საუკუნეების მიჯნაზე).

2. საგულისხმოა, რომ წესი სამი თითით პირჯვრის წერისა, ჯერ კიდევ 13–14 საუკუნის დროინდელი ყოფილა და თანაც ბერძნული წარმომავლობის. ამბობენ, ასმუხლიანმა კრებამ ორი თითით პირჯვრისწერის დამამტკიცებელი და ყოველი სხვაგვარი პირჯვრისწერის უარმყოფელი ფორმულა მიიღო სამი თითით პირჯვრისწერის წინააღმდეგ, რომელიც იმხანად და შემდგომ ვრცელდებოდა რუსეთშიც.

ამდენად, საინტერესო უნდა იყოს, როგორ მოხდა საბერძნეთში სამი თითით პირჯვრის წერის გავრცელება და ბერძნული ეკლესია, რომელიც მანამდე კბილებით იცავდა ეკლესიას მონოფიზიტებისაგან, რატომ მიიღო ეს „მკრეხელური" წესი.

3. ხატებზე მითითებას რაც შეეხება, დანარჩენი თითების წყობიდან სახელობითი კურთხევის წყობა ასევე არის უცნობი, ხოლო სხვა წყობები, (მაგ. ანჩისხატისა) არ გამოხატავს საკურთხეველ, ან პირჯვრისსაწერ კომბინაციას. ისინი, მეცნიერთა აზრით, არის მოქმედების, დინამიურობის, მქადაგებლური ჟესტის გამოხატულება....

რაც შეეხება იესუს სახელის გამოსახვას თითებით, ეს არის აბსურდი, რომელიც ნიკონ პატრიარქის რეფორმების დროს დაამკვიდრეს ბერძნებმა რუსეთში, შემდეგ კი რუსმა ეგზარქოსებმა საქართველოში.

სახელობითი წყობა – Ic XC, რომელიც ქრისტეანობის ადრინდელ ძეგლებში, არსად, არ მოიხსენიება, ეს სიმბოლო შემოვიდა დაახლოებით 16–ე – 17–ე საუკუნეების საბერძნეთში და მისგან დამკვიდრდა დანარჩენ მსოფლიოში. საზოგადოდ, აქ ლაპარაკია არა ხატებზე გამოსახულ ანაგრამაზე, არამედ თითების კომბინაციაზე, რომლითაც „აკურთხებენ" მღვდლები და ეს სხვადასხვა რამეა...

4. და ბოლოს, როგორც ცნობილია რუსეთში რეფორმის პერიოდში ძველმართმადიდებლები და რეფორმის მიმდევრები მთელი 10 წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ევქარისტიულ კავშირს (სანამ კრება ჩატარდებოდა), ანუ 10 წლის განმავლობაში ერთი სამი თითით იწერდა პირჯვარს, მეორე 2–ით მაგრამ მათ შორის ევქარისტიული კავშირი არ შეწყვეტილა... და ვინ იცის ის კრება რომ არ ჩატარებულიყო და ორი თითი პირჯვრის გადამწერები არ შეეჩვენებიათ, დარჩებოდა ისე როგორც იყო – ანუ ნაწილი ორი თითი დაიწერდა პირჯვარს ნაწილი სამით, მაგრამ ყველანი იქნებოდნენ ერთი წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შვილები.

აქედან გამომდინარე ისმის ორი კითხვა, თუ სამი თითით პირჯვრის წერა მწვალებლობაა, მაშინ რით აიხსნება ასეთი ევქარისტიული ერთობა (თუნდაც ფორმალურ დონეზე)?!

ეს არანაირად არ აკნინებს ძველმართლმადიდებლობას, პირიქით, თუ ევქარისტული ერთობა ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა, ძველმორწმუნეთა კეთილ ნებას უფრო წარმოაჩენს, თუმცა ევქარისტული ერთობა რომც გაეწყვიტათ არც ეს იქნებოდა დანაშაული... ამის უფლებას იძლეოდა საეკლესიო კრებათა დადგენილებები...

ამჯერად, კიდევ ერთხელ შევეხოთ პირჯვრის გადაწერისა და კურთხევის გაცემის შესახებ არსებულ ძველბერძნულ წყაროებს.

უპირველესად, საკუთარ თავზე პირჯვრის გადაწერის შესახებ:

ჯვრის გამოსახვის პრაქტიკა საყოველთაოდ გავრცელებულია ქრისტიანთა შორის უკვე II ს-ში. უძველესი წყაროები ცხადყოფენ, რომ თავდაპირველად მორწმუნენი უმთავრესად მხოლოდ შუბლზე, ან პირისახეზე იწერდნენ პირჯვარს. ტერტულიანე (დაახლ. 160–220) გვაუწყებს: „ყოველი წინსვლისა, თუ დაწინაურების ჟამს, ყოველი შესვლისა, თუ გამოსვლის ჟამს, ჩაცმისას, დაბანისას, ჭამისას, განთიადისას, დაწოლისას, დაჯდომისას, აგრეთვე, ყოველგვარი საუბრის ჟამს შუბლი გარდავისახოთ ჯვრით».

წმ. კვიპრიანე კართაგანელი (დაახლ. 200–258) ასე მიმართავს მორწმუნეებს: „შუბლი (აღბეჭდილი) ღვთის წმიდა ნიშნით (იგულისხმება ჯვარი) ვერ მიიღებს ეშმაკის გვირგვინს, რადგანაც ღვთის გვირგვინისათვის ინახავს იგი თავს”.

ამასვე გვაუწყებს ზემოხსენებული ღმერთშემოსილი მამა წმ. კირილე იერუსალიმელი (დაახლ. 313–387): „ამგვარად, ნუ შეგვრცხვება აღიარება ჯვარცმულისა და შუბლებზე აშკარად ვქმნათ თითებით ბეჭედი – ჯვარი, აგრეთვე ყველაფერზე: საჭმელ პურებზე, დასალევ სასმისებზე, შესვლისას, გამოსვლისას, ძილის წინ, დაწოლისას, ადგომისას...”

ჯვარს შუბლზე გამოისახავდა, აგრეთვე, წმ. იოანე ოქროპირი, რომელიც გვაუწყებს:

„ეს დაწყევლილი საგანი (იგულისხმება ჯვარცმის ძელი), რომელსაც გაურბოდა ყველა და რომელიც იყო უკიდურესი დასჯის სიმბოლო, აწ გახდა საწადელი და საყვარელი. სამეფო გვირგვინზე მეტად განამშვენებს თავს ჯვარი, რომელიც მთელ სამყაროზე უფრო ძვირფასია. რაც გუშინ შიშს იწვევდა, დღეს მის გამოსახულებას ეძიებს ყველა ისე, რომ ყველგან მას ვხედავთ: მთავართა და ქვეშევრდომთა, ქალთა და კაცთა, ქალწულთა და ქორწინებულთა, მონათა და აზნაურთა შორის, რადგანაც აღბეჭდავენ მას ჩვენი ნაკვთების ყველაზე უფრო ღირსეულ ნაწილზე – შუბლზე, და როგორც სვეტზე, ყოველდღე მასზე გამოსახულს დაატარებენ”. სხვა შრომაში წმ. იოანე ოქროპირი ასე მიმართავს ცრუმორწმუნე ადამიანს: „ღმერთმა პატივი დაგდო შენ, ხოლო შენ შეურაცხყოფ შენსავე თავს, რამეთუ გმართებს რომ ჯვარი გადაიწეროო შუბლზე, რომელიც მომნიჭებელია უძლეველი სიმტკიცისა, შენ კი უგულებელყოფ მას და ვარდები სატანურ უგუნურებაში”.

წმ. იოანეს მოწმობა „თითით” მარტოდენ შუბლზე, ან პირისახეზე პირჯვრისწერის შესახებ ეთანხმება ძველბერძნულ მართლმადიდებლობას.

ექვთიმესეული თარგმანიდან უდიდესი მნიშვნელობისაა შემდეგი ადგილი: „არა თითითა ხოლო ჯერ-არს გამოსახვაჲ ჯუარისაჲ, არამედ პირველად გონებითა და სარწმუნოებითა და წამებითა საქმეთაჲთა და ესრეთ თითითაცა ესევითარითა გამოსახვითა გამოჰსახო სასწაული ჯუარისაჲ პირსა შენსა”.

ეს ტექსტი ახალქართულად ასე იქნება: „არ არის გამართლებული ჯვრის გამოსახვა უბრალო თითით, არამედ, უპირველესად, გონებით, სარწმუნოებით, საქმისმიერი დადასტურებით. ამის შემდეგ თითითაც გამოისახე ამგვარი გამოსახვით ჯვრის ნიშანი შენს პირზე”.

ასეთია პირჯვრის წერის ისტორია პირველი საუკუნიდან VII ს-ის ჩათვლით.

რაც შეეხება პირჯვრის წერის მომდევნო პერიოდის ისტორიას, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ როგორც დიდი ხანია გარკვეულია, VIII ს-ის დამდეგიდან სამონაზვნო წრეში შემდეგ კი საერთოდ საეკლესიო ცხოვრებაში ერთი თითისა და უმთავრესად მხოლოდ შუბლზე პირჯვრისწერის ნაცვლად მკვიდრდება სამი თითით პირჯვრისწერა შუბლზე, შემდეგ კი შუამკერდზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე, ბოლოს კი მარცხენაზე (ეს საკითხი დაწვრილებითაა წყაროდმცოდნეობითად

შესწავლილი ცნობილი ბერძენი მკვლევრის ბერნარდაკისის მიერ).

ამგვარი წესი დღემდეა შენარჩუნებული ბერძნულ-ქართულ ეკლესიაში. რაც შეეხება რომაულ ეკლესიას, ისიც XIII ს-ის დამდეგამდე პირჯვრის ხსენებულ წესს მისდევდა, მაგრამ XIII ს-ის დამდეგს შეცვალა იგი და დაამკვიდრა პირჯვრისწერა მთელი ხელით (მჭიდროდ მიტყუპული თითებით) მარცხენა მხრიდან მარჯვნივ. სხვათაშორის, კათოლიკური აღმსარებლობის მეცნიერები არც მალავენ, რომ მათი წესი პირჯვრისწერისა XIII ს-ზე ადრინდელი არ არის და წარმოადგენს სამი შეკრული თითით პირჯვრისწერის ბიზანტიური წესის შეცვლად.

მაგალითად, ცნობილი წყაროდმცოდნე ჰ. ლეკლერი აღნიშნავს: „პირჯვრის წერის თანამედროვე სახე არის VIII ს-ზე ადრინდელი და მისი შემოტანა მიეკუთვნება მონაზვნებს. ამ დროიდან პირჯვრისწერა სრულდება მარჯვენა ხელის პირველი სამი შეკრული თითით, როდესაც ბოლო ორი მოკეცილია და ეს სამი თითი დაიდება ჯერ შუბლზე, შემდეგ მკერდზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე, ბოლოს კი მარცხენაზე. ეს წესი დღემდე არსებობს ბერძნულ ეკლესიაში. ლათინურ ეკლესიაში, პირიქით, XIII ს-ის დამდეგს მოხდა ცვლილება, სადაც დამკვიდრდა წესი, რომელიც გულისხმობს თითებშემჭიდროებული გაშლილი ხელის შეხებას ჯერ მარცხენა მხარზე, შემდეგ მარჯვენაზე".

ამგვარია პირჯვრისწერის წყაროდმცოდნეობითი ისტორია დასაბამიდან დღემდე. როგორც ვნახეთ, VII ს-ის ჩათვლით (ე. ი. იმ ეპოქაში, როდესაც გაიმართა შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება) „წმიდა მამები" პირჯვარს იწერდნენ მარტოდენ თითით შუბლზე (იშვიათად, სხვა ნაწილებზე). VIII ს-ის დამდეგიდან მკვიდრდება მარჯვენა ხელის პირველი სამი შეკრული თითით პირჯვრისწერა შუბლზე, მკერდზე, მარჯვენა მხარზე და მარცხენაზე. ეს წესი დღემდეა დაცული ბერძნულ-ქართულ ეკლესიებში. როგორც ვთქვით, ამავე წესს XIII ს-ის დამდეგამდე იცავდნენ ლათინებშიც, რომლებმაც XIII ს-ის დამდეგიდან გადააკეთეს იგი.

როდესაც მორწმუნე ადამიანი თითებით პირჯვარს იწერს, ჯვრის ფორმას გამოსახავს მთელი ხელის მტევანი. ორი თითით პირჯვრისწერის გადამწერნი სამ შეკრულ თითს (ცერი, არათითი, ნეკი) სამების სიმბოლოდ რაცხენ, მაგრამ განა ეს სამი თითიც ასევე არ შემოწერს ჯვრის ფორმას, როგორც ორი დანარჩენი? რა წყობისაც არ უნდა იყოს ხელის თითები, პირჯვრის წერის ჟამს ყველა მათგანი ბუნებრივი აუცილებლობით გამოსახავს ჯვრის ფორმას. შეიძლება მოგვიგონ, რომ ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ თითებს, რომლებიც უშუალოდ ეხება სხეულს. ამგვარი შეპასუხება არ იქნება მართებული, რადგანაც მაგალითად, კურთხევის გაცემის ჟამს მოძღვარი მხოლოდ ჰაერში გამოსახავს ჯვარს და ეს ჯვარი ბუნებრივი აუცილებლობით, ცხადია, გამოისახება ყველა თითის მიერ, მოკეცილია ის თუ აღმართული, რადგანაც ჯვრის გამოსახვაში მონაწილეობს მთელი ხელის მტევანი.

ამგვარად, „ჯუარი", როგორც მარადიულად აღმბეჭდელი საუფლო ხორცთა ცხოველსმყოფელი ვნებისა, საღვთო მადლით თავად არის მორწმუნეთა ცხოველმყოფელი, უზენაესი ჭეშმარიტებისაკენ მათი ხელამპყრობელი და მომნიჭებელი ერთარსება სამების წარუვალი მფარველობისა.

ერთი თითით პირჯვრისწერა ტრიადოლოგიური აზრით იგივეა, რაც სამი თითით პირჯვრისწერა, რადგანაც ორივე შემთხვევაში სწორედ ერთარსება სამება აღინიშნება. კერძოდ, ერთი თითი მოასწავებს ერთარსებას ღვთისას, სამი კი სამპიროვნებას, ხოლო მართლმადიდებლობაში ერთარსება ყოველთვის სამებაა და სამება ყოველთვის ერთარსებაა. სწორედ ამ აზრით, ერთი თითით პირჯვრისწერა იგივეა, რაც სამი თითით პირჯვრისწერა და ამ ორ ფორმობრივ სახესხვაობას სრულიად ერთი ძალი, ერთი შინაარსი, ერთი სახისმეტყველება აქვს.

ერთი თითის და სამი თითის ერთმნიშვნელოვნება, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ყველას თვალწინ წარმოაჩინა დიდმა მელეტიმ, რომელმაც ჯერ სამი თითი აღმართა, რითაც სამება ცხადყო, შემდეგ კი აღმართა ერთი თითი და ამით იმავე სამების ერთარსება გამოაცხადა.

კონკრეტულად ჯვრის ნიშის გამოსახვასთან დაკავშირებით ერთი თითისა და სამი თითის ერთმნიშვნელოვნება სრულიად არაორაზროვნად გააცხადა წმ. დიდმოწამე ბარბარამ: III ს-ის II ნახევარში ერთ-ერთ წარჩინებული წარმართის ასულმა, ბარბარამ ქრისტესმიერი ცხოვრების გზა აირჩია. ამის შესახებ არაფერი უწყოდა მისმა მამამ, რომელიც თვალისჩინივით უვლიდა თავის შვილს. ერთხელ მამამ განიზრახა ბარბარასათვის მდიდრული აბანოს აშენება და რადგანაც თვით იგი მშენებლობას ვერ დაესწრებოდა, გამგზავრების წინ კირითხუროებს ეს ამცნო, რომ კედელში ორი სარკმელი დაეტანებინათ. აბანო რომ აშენდა, ბარბარა შევიდა შიგ. ესათნოვა ქალწულს კეთილშენებული კედლები, მაგრამ როდესაც ორი სარკმელი იხილა მან, კირითხუროებს მესამე სარკმლის ქმნაც დაავალა. ხელოსნებმა იუარეს ეს, რადგანაც ეშინოდათ სახლის პატრონისა. მაშინ ბარბარამ ერთად უჩვენა მათ სამი თითი, რითაც სამება მოასწავა, სიტყვით კი ეს უთხრა: „სამი, სამი სარკმელი გამოკვეთეთ, ხოლო მამას მე დავარწმუნებ, რომ ასე ჯობდა". კირითხუროები აასრულებენ ბარბარას ბრძანებას. შემდეგ, გამშვენებულ აბანოში წყლის სადინართან მიდის ღვთივსულიერი ქალწული და ემბაზის მარმარილოზე თითით გამოსახავს ჯვარს. წმინდანის თითით გამონიშული ჯვარიიმდენად მადლმოსილი აღმოჩნდება, რომ სამარადისოდ აღიბეჭდება იგი მარმარილოს ქვაზე... როდესაც მგზავრობიდან დაბრუნებული სახლის პატრონი სამ სარკმელს ნახავს, განრისხდება იგი, მაგრამ გაიგებს რა, რომ ბარბარას ნება იყო ამგვარი, მოინახულებს თავის ასულს და სამი სარკმლის შესახებ ჰკითხავს. ბარბარა მამას

ემბაზის მარმარილოზე თავისი თითით ქმნილ ჯვარს დაანახებს, შემდეგ კი სიტყვიერად გააცხადებს სამებას და ასევე, როგორც კირითხუროებს, მამასაც თითების მიერ სამებას წარმოუჩენს, თანაც ამავე თითებით ჯვარს გამოსახავს და წარმოთქვამს: „მამა, ძე და სულიწმიდა, – ეს სამი ნათობს მთელ ქვეყანაზე, ხოლო სამი იგივე ერთია".

მოტანილი თხრობა სრულიად აშკარად ასაჩინოებს, რომ წმ. ბარბარა სამი სარკმელის ჭეშმარიტებას, ანუ ერთარსება სამების საიდუმლოს სამი თითის ერთობლიობით წარმოაჩენს კირითხუროთა წინაშე; უფრო ადრე იმავე საიდუმლოს ერთი თითითჯვრის სახედ აღბეჭდავს ემბაზის მარმარილოზე და მამასთან სიტყვისგების ჟამს ჯერ ერთი თითით ქმნილ ჯვარს დაანახებს მას, შემდეგ კი, როგორც ადრე კირითხუროებს, მამასაც სამი სარკმლის ჭეშმარიტებას ანუ სამების საიდუმლოს თითებით წარმოუჩენს და იმ თითებითვე სრულიად უშიშრად და აშკარად გამოსახავს ჯვრის ნიშანს, თანაც პირდაპირ იტყვის, რომ სამი იგივე ერთია.

ამჯერად, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ კურთხევის გაცემის ჟამს ჯვრის გარდასახვის წესს. ამ წესის ისტორია დიდ ხანია საფუძვლიანადაა შესწავლილი. ცხადყოფილია, რომ უძველესი დროიდანვე ეს წესი ხელის თითების წყობის მიხედვით ძირითადად ოთხი სახისა იყო.

აი, ეს ოთხი სახე:

პირველი მათგანი უძველესი დროიდანვე ცნობილია, როგორც სპეციფიკურად ქრის-ტიანული სახე. საქმე ისაა, რომ თითების წყობის დანარჩენი სამი სახეობა გარეგნულ ანალოგს პოულობს ქრისტიანობამდელ ეპოქაშიც. საგულისხმოა ისიც, რომ ხსენებული პირველი სახე თითთა წყობისა, ამავე დროს, იწოდება კონკრეტულად ძველბერძნულ წესად, რადგანაც ძველბერძნული მართლმადიდებლური ხატები უმთავრესად სწორედ ამ სახეს გვიჩვენებს, თუმცა მის გვერდით თავს იჩენს დანარჩენი სამი სახეც.

ისმის კითხვა: კურთხევის გაცემის წესის ამ ოთხი სახეობიდან რომელია ჭეშმარიტი? ამ კითხვის საპასუხოდ შეგვიძლია დავსვათ ასეთი კითხვა: რომელია ერთი ლიტურგიის ოთხი სახესხვაობიდან (წმ. იაკობის, წმ. პეტრეს, წმ. ბასილის, წმ. იაკობის) ჭეშმარიტი? რომელია ოთხი სახარებიდან (წმ. მათეს, წმ. მარკოზის, წმ. ლუკას, წმ. იოანეს) ჭეშმარიტი?

სამივე კითხვაზე ერთი პასუხი არსებობს: ჭეშმარიტია ამათუიმ წესისა თუ აღწერილობის ყველა ის სახესხვაობა, რაც კი შეიწყნარა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ.

ზემოთქმული, ვფიქრობთ, სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ სამი აღმართული და ორი (არათითი და ცერი) შეკრული თითით კურთხევის გაცემის წესი ჭეშმარიტად მართლმადიდებლურია. დავძენთ მხოლოდ, რომ მოგვეპოვება ამ წესის მართებულობის ლიტერატურული დადასტურებაც.



პირჯვარი ასე გამოვისახოთ: მარჯვენა ხელის პირველი სამი თითი შევაერთოთ იმის ნიშნად, რომ ღმერთი არის ერთი და თანასწორპატიოსანი სამება, ორი თითი კი ხელისგულთან მივიტანოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ იესო ქრისტე არა მარტო ღმერთია, არამედ კაციც. ერთად შეკრული სამი თითი მიგვაქვს ჯერ შუბლთან (რათა უფალმა გაანათლოს ჩვენი გონება), თან გულში ვამბობთ: „სახელითა მამისათა", შემდეგ გულთან (რათა უფალმა განწმინდოს ჩვენი გული და გრძნობები) და ვამბობთ: „და ძისათა", და ბოლოს მარჯვენა და მარცხენა მხართან (ჩვენს საქმეთა საკურთხებლად) ვამბობთ: „და სულისა წმიდისათა, ამინ".

პირჯვრისწერას თან ახლავს მცირე მეტანია: კვერექსის ყოველი თხოვნისას. კვერექსი დროს გადმოიცემა მუხლობრივად სხვადასხვა საკითხები, პუნქტობრივად აყალიბებს ლოცვას მთელი კაცობრიობისთვის. კვერექსის თხოვნისას მღვდლის, ან მედავითნის სიტყვებზე, როდესაც იგი დიდებას აღუვლენს ღმერთს, როდესაც გალობენ ან კითხულობენ „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ"-ს, „წმინდაო ღმერთო"-ს, „ალლელუიას"-ს, დავითნის ყოველი „დიდების" ბოლოს და ჟამნობისას ფსალმუნების შემდეგ; სტიქარონის, ტროპარის, ან ფსალმუნის გალობის დასასრულს; ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელის ხსენებისას; როდესაც აღევლინება ვედრება „აცხოვნე, უფალო"; ცისკარზე ღმრთისმშობლის საგალობლის გალობის დროს ყოველი ჩასართავის შემდეგ; სადიდებლის გალობის დროს; განტევებისას; „მრწამსის" დასასრულს; წირვის ასამაღლებელზე: „ვსდგეთ კეთილად", „ძლევისა გალობისა"; „მიიღეთ და ჭამეთ", „სუთ ამისაგან", „შენნი, შენთაგან"; ასამაღლებლებზე: „უფლისა მიმართ ვილოცოთ" და „წმიდისა მიმართ ვილოცოთ", რომლებიც რაიმე ვედრებას უძღვნიან წინ.

წმ. სახარებაზე, ჯვარზე, წმ. ნაწილებსა და ხატებზე მთხვევისას აუჩქარებლად უნდა მივიდეთ, ორი მეტანია მანამდე შევასრულოთ და ერთი მის შემდეგ.
ტაძარში ერთი მხრიდან მეორისკენ გავლისას პირჯვარს ვიწერთ და მცირე მეტანიას ვასრულებთ აღსავლის კარის წინაშე.

ეკლესიის წესდება მკაცრად მოითხოვს, რომ ტაძარში მეტანია გულმოდგინედ, აუჩქარებლად და თავის დროზე კეთდებოდეს. მეტანიები და მუხლმოდრეკა უნდა შევასრულოთ კვერექსის ყოველი მოკლე თხოვნის ან ლოცვის შემდეგ და არა მისი გალობისა თუ კითხვისას. არ შეიძლება პირჯვრისწერისა და მეტანიის ერთდროულად შესრულება (ჯერ პირჯვარს ვიწერთ და მერე მეტანიას ვასრულებთ).

თავს ვიდრეკთ პირჯვრის გამოსახვის გარეშე მღვდლის ასამაღლებლის დროს: „მშვიდობა ყოველთა", „კურთხევა უფლისა თქვენ ზედა", „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა ზედა", და „იყუნენ წყალობანი დიდისა ღმრთისა თქვენ ყოველთა ზედა", აგრეთვე დიაკვნის სიტყვებზე: „და უკუნითი უკუნისამდე" – „წმიდაო ღმერთო"-ს წინ.

არ არის საჭირო ხელისგულების შეტყუპება და, მით უმეტეს, მათი კოცნა, როდესაც მღვდელი ხალხს აკურთხებს.

არ არის საჭირო პირჯვრის გამოსახვა ფსალმუნებისა და სტიქარონების კითხვისას, პირჯვარს არ იწერენ მგალობლები გალობის დროს. მათ ეს გალობის წინ, ან მის შემდეგ უნდა გააკეთონ. არ არის საჭირო პირჯვრის გადაწერა ბარძიმთან მისვლისას, ხელები გულზე უნდა გვქონდეს დაკრეფილი ჯვარედინად მარჯვენა ხელი მარცხენის ზემოთ. ზიარების შემდეგ ნურც პირჯვარს გადავიწერთ, ნურც მეტანიას შევასრულებთ.

ღმრთისმსახურების დროს თავს ვიდრეკთ წმ. სახარების კითხვისას და დიდ შესვლაზე. დიდი შესვლის დროს სიტყვებზე: „თქვენ და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი მოგიხსენოთ უფალმა ღმერთმან სასუფეველსა თვისსა", თავს ვიდრეკთ და ვამბობთ: „(ან დეკანოზობა, მღვდელმონაზვნობა, იღუმენობა, არქიმანდრიტობა, მღვდელმთავრობა) შენი მოიხსენოს უფალმა ღმერთმა სასუფეველსა თვისსა".

პირჯვრის გამოსახვას თან ახლავს მუხლმოდრეკა (გარდა ქვემოთ მითითებული განსაკუთრებული დღეებისა): წირვის ასამაღლებელზე: „ჰმადლობდეთ უფალსა"; წმ, საიდუმლოთა გარდაქცევის დროს – „შენ გიგალობთ"-ის ბოლოს; "ღირს არს"-ის ან მისი წილი საგალობლის შემდეგ: „მამაო ჩვენო"-ს გალობის დროს (კვირა დღეებისა და დიდი დღესასწაულების გარდა), წმ. საიდუმლოთა პირველი და მეორე გამობრძანებისას ზიარებისათვის და მის შემდეგ. ვინც ეზიარა, წმ. საიდუმლოთა მეორე გამობრძანებისას მცირე მეტანია ასრულებს; ვისაც ამ დროს მდუღარება ჯერ კიდევ არ მიუღია, ის პირით ბარძიმისაკენ მიბრუნდება და ამით გამოხატავს თავის მოწიწებას.

არ იკრძალება დიდი მეტანიის შესრულება ასამაღლებელზე „წმიდა წმიდათა".

დიდმარხვის დროს ტიპიკონის, ჟამნისა და ტრიოდიონის (მარხვანის) მითითებით დიდი მეტანიები სრულდება: საცისკრო კანონების კითხვისას – სამი მეტანია (ჟამნებისა და მწუხრის კანონებზე – მცირე მეტანიები); ცისკარზე – ღმრთისმშობლის საგალობლის ყოველ ჩასართავზე, `ღირს არს~-ზე; დიდი სერობის დროს ასამაღლებელზე "ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო" და მის შემდგომ მუხლებზე; მწუხრზე და ჟამნობისას სინანულის ტროპარების გალობის დროს – თითო მეტანია, სადილის ჟამნის დროს სიტყვების – "მომიხსენენ ჩუენ, უფალო" – ბოლოს სამი მეტანია; დიდი მეტანიები სრულდება აგრეთვე ეფრემ ასურის ლოცვის დროს.

პარასკევის მწუხრიდან კვირის მწუხრამდე დიდმარხვის მეტანიები უქმდება. ტიპიკონით იკრძალება მუხლმოდრეკა კვირა დღეებში, ქრისტეშობის წინადღესასწაულიდან ნათლისღების წარგზავნამდე, ვნების შვიდეულის ხუთშაბათის ცისკრიდან (წმ. გარდამოხსნის წინაშე მუხლის მოყრის გარდა) სულთმოფენობის მწუხრამდე, როდესაც მუხლმოდრეკის განსაკუთრებული ლოცვები იკითხება; ყველა ათორმეტთაგან დღესასწაულზე მათ წარგზავნამდე (ჯვართამაღლების დღესასწაულის გარდა, როდესაც თაყვანს ვცემთ პატიოსან ჯვარს), აგრეთვე იმ დღეს, როდესაც უფლის წმიდა საიდუმლოებებს ვეზიარეთ. მეტანიები წყდება მწუხრზე, შესვლისას, სადღესასწაულო ღამისთევის ლოცვაზე და განახლდება თვითონ დღესასწაულის დღეს, მწუხრზე – „და ღირს მყუენ"-ის შემდეგ.

საეკლესიო ტიპიკონი კრძალავს საზოგადო ღმრთისმსახურების დროს დაწესებულის გარდა სხვა განსაკუთრებული მეტანიების შესრულებას, აგრეთვე დიდხანს მუხლებზე დოგმას, რაც ხელს უშლის ღმრთისმსახურების წესსა და მიმდინარეობას. თუ ტაძარში სივიწროვეა, უმჯობესია დაწესებული მეტანიებიც არ შევასრულოთ, რათა ჩვენს გვერდით მდგომთა ლოცვითი განწყობა არ დავარღვიოთ.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ტაძარში შესვლისას ტრადიციულად გუნებაში ან ძალიან ხმადაბლა კითხულობენ ფსალმუნის სიტყვებს „შევიდე სახლსა შენსა" (ფსალმ. 5,8–9), შემდეგ 50–ე და 90–ე ფსალმუნებს. მორწმუნე ეკლესიაში ნელა, უხმაუროდ, მოწიწებით უნდა შედიოდეს, რადგანაც ტაძარი ღმერთის სახლია, ზეციური მეუფის სამყოფელი. ხმაური, სიცილი და ლაპარაკი შეურაცხყოფს ტაძრის სიწმინდეს და მასში დამკვიდრებულ ღმერთს. ტაძარში შესვლისას კარებთან უნდა შეჩერდე, შეასრულო სამი მეტანია და თქვა: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას" (მეტანია), „ღმერთო, განმწმინდე მე ცოდვილი და შემიწყალე" (მეტანია), „რომელმან შემქმენ, უფალო, მიწყალე მე" (მეტანია). შემდეგ ტაძრის ორივე მხარეს მცირე მეტანია შეასრულე შენამდე მოსულ ხალხის წინაშე.

სამი მცირე მეტანიის შესრულების შემდეგ ლოცვითურთ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი" მოწიწებითა და ღმრთის შიშით მიაპყარი ყური დაწყებულ ღმრთისმსახურება.

რა საერთოდ აქვთ პირჯვრისწერის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ წესებს?!

ალბათ ბევრი ადამიანი დაინტერესებულა, როგორ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი სწორად. ამ საკითხთან დაკავშირებით ეკლესიის დაარსების დღიდან იყო სხვადასხვა შეხედულება. შესაძლოა გაგჩენიათ ასეთი კითხვაც: ცოდვაა თუ არა პირჯვრის არასწორად გადაწერა? საერთოდ, რას ნიშნავს სწორად გადაწერა?

პირჯვარი ის სიმბოლური ჟესტია, რომელიც მართლმადიდებელთა მსგავსად, კათოლიკეებსაც ერთარსება ღმერთის სამბუნებოვნებისა და მაცხოვრის ქვეყნად მოვლინების შესახებ შეახსენებს. კათოლიკეები პირჯვრის გადაწერას იწყებენ ორი ხელის (ხელის გულების) შეერთებით, შემდეგ მარჯვენა ხელს შუბლთან მიიტანენ, ხელის თითები ისეა შეერთებული, როგორც ზოგიერთ დღევადელ მართლმადიდებელ ეკლესიაშია მიღებული: ცერა, საჩვენებელი და შუა თითი ერთად, საქორწინო თითი და ნეკი ხელის გულს ეხება. კათოლიკეთათვის სამი შეერთებული თითი სამებას აღნიშნავს, ხელის გულს დაყრდნობილი ორი თითი მაცხოვრის ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების შესახებ მიუთითებს. მარჯვენა ხელი იმას აღნიშნავს, რომ ძე მამის მარჯვნივაა მჯდომარე.

აქვე არსებობს კიდევ ერთი განმარტება, რომ სამი თითის შეერთებით მიიღება ამ ასოების კომბინაცია: I X C (Iesus Christus Soter), რაც ნიშნავს „იესო ქრისტე – მხსნელი, საჩვენებელი თითი აღნიშნავს I–ის, ცერა და შუათითის შეხებით მიიღება X, ხოლო ოდნავ მოხრილი შუათითი C–ს მოგვაგონებს.

კათოლიკე ქრისტიანი შეერთებული თითების შუბლთან მიტანისას წარმოთქვამს სიტყვებს „სახელითა მამისათა", შემდგომ დაიდებს მკერდთან და იტყვის „და ძისათა", მარცხენა და მარჯვენა მხრების შეხებისას წარმოთქვამს „და სულისა წმიდისათა", მერე ისევ მკერდთან დაიდებს და დაასრულებს სიტყვებით „ამინ".

პირჯვრის გადაწერის ამგვარი ტრადიცია სავარაუდოდ „დიდი სქიზმის" პერიოდში, მე–11 საუკუნის პირველი ნახევარიდან უნდა დამკვიდრებულიყო, შესაძლოა ამ წესმა დასავლურ ეკლესიაში უფრო ადრეც დაიწყო გავრცელება. წყაროებში მითითებულია, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე, კათოლიკეებიც მართლმადიდებელთა მსგავსად იწერდნენ პირჯვარს. პაპის, ინოკენტ მე–3–ის (1198–1216) სწავლებაში აღნიშნულია შემდეგი: „პირჯვრის გამოსახვა სრულდება ზემოდან (შუბლიდან) ქვემოთ (მკერდის მიმართულებით), მარჯვენა მხრიდან მარცხენა მხრისკენ. ეს წესი სიმბოლურად მაცხოვრის ციდან მიწაზე მოვლინებასა და მარჯვნიდან, ანუ იუდეველებიდან მარცხნივ – წარმართებისკენ გადაადგილებას გულისხმობს.

პაპი ინოკენტი იქვე დასძენს, რომ მიუხედავად დასავლთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებული პირჯვრის გამოსახვის მსგავსებისა, დასავლეთში ახალი წესიც გავრცელდა. „თუმცა სხვები პირჯვარს მარცხნიდან მარჯვნივაც იწერენ, რადგან ტანჯვიდან (მარცხნიდან) დიდებაში (მარჯვნივ) უნდა ავმაღლდეთ, როგორც ქრისტე ამაღლდა სიკვდილიდან

– სიცოცხლეში, ჰადესიდან – სამოთხეში. და რადგანაც ზოგიერთი (მღვდელი) პირჯვარს სწორედ ასე იწერს, მათ მორწმუნეებიც ბაძავენ“.

პირჯვრისწერის შესახებ სასულიერო, თუ არასასულიერო მოღვაწეთა არაერთი წყარო მოგვეპოვება, მაგალითად გთავაზობთ ციტატებს ტერტულიანეს და კირილე იერუსალიმელის ჩანაწერებიდან, რაც ერთნაირად მისაღებია როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი მორწმუნისთვის.

ტერტულიანე (II–III ს.ს.) გვაუწყებს: „ყოველი წინსვლისა, თუ დაწინაურების ჟამს, შინ შესვლისა, თუგამოსვლის ჟამს, ჩაცმისას, დაბანისას, ჭამისას, განთიადისას, დაწოლისას, დაჯდომის ას, აგრეთვე, ყოველგვარი საუბრის ჟამს შუბლზე გამოვისახოთ ჯვარი“.

იმავეს იუწყება წმინდა კირილე იერუსალიმელი (IV ს.): „ნუ შეგვრცხვება აღიარება ჯვარცმულისა და შუბლებზე აშკარად ვქმნათ თითებით ბეჭედი – ჯვარი, აგრეთვე ყველაფერზე: საჭმელ პურებზე, სასმისებზე, შესვლისას, გამოსვლისას, ძილის წინ, დაწოლისას, ადგომისას, მოგზაურობისა თუ მოსვენების ჟამს...”

ჯვრის გამოსახვის პრაქტიკა გავრცელებულია ქრისტიანთა შორის უკვე მე–2 საუკუნეში. მე–7 საუკუნისის ჩათვლით მამები პირჯვარს იწერდნენ ერთი თითით შუბლზე. მე–8 საუკუნის დამდეგიდან მკვიდრდება მარჯვენა ხელის პირველი სამი შეკრული თითით პირჯვრისწერა შუბლზე, მკერდზე, მარჯვენა მხარზე და მარცხენაზე, რასაც მე–13 საუკუნის დამდეგამდე ლათინებიც იცავდნენ.

ჯვარს შუბლზე გამოისახავდა წმ. იოანე ოქროპირი, რომელიც გვაუწყებს: „აღბეჭდავენ მა ს ჩვენი ნაკვთების ყველაზე უფრო ღირსეულ ნაწილზე – შუბლზე, და როგორც სვეტ– ზე, ყოველდღე მასზეგამოსახულს დაატარებენ.” გარდა შუბლისა ან პირისახისა, ზოგჯერ ჯვარს გამოისახავდნენ სხვა ნაწილებზეც, კერძოდ გულზე, პირზე, თვალებზე.

ქრისტიანი პოეტის აურელიუს პრუდენციუსის (გარდაიცვალა მე–5 საუკუნის დასაწყისში) ერთ ლექსში ვკითხულობთ:

„შუბლსა და გულის ადგილსჯვრის სახით აღიბეჭდავს“.

აი, კიდევ გრიგოლ ნოსელის სიტყვები:„და პირჯვარი დაიბეჭდა მანთვალზე, პირზე და გუ ლზე”.

საეჭვო არ არის, რომ შუბლზე და სხეულის ცალკეულ ნაწილებზე პირჯვარს იწერდნენ ერთი თითით. იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებისას წერს შემდეგს: „არ არის გამართლებული ჯვრის გამოსახვა უბრალო თითით, არამედ, უპირველესად, გონებით, სარწმუნოებით, საქმისმიერი დადასტურებით; ამის შემდეგ თითითაც გამოისახე ჯვრის ნიშანი შენს პირზე”.

მიუხედავად წესების ცვლილებისა, შინაარსი არ შეცვლილა. ეს ქრისტიანული ჟესტი კათოლიკე თუ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ღმერთის გახსენებისკენ მოუწოდებს. ალბათ შემთხვევითი არ არის პირველ ქრისტიანთა მიერ პირჯვრის შუბლზე, თვალზე, პირზე თუ გულზე გამოსახვა, რისი მიზანიც ბოროტი აზრების, თვალით ცდუნებისა თუ ისეთი მეტყველების თავიდან არიდება უნდა იყოს, რაც ადამიანს სიკეთეს არ მოუტანს.

იოანე ოქროპირსაც თუ ვერწმუნებით, „არ კმარა მხოლოდ გარეგნული გადა– წერაჯვრისა, არამედ მასთან უნდა ახლდეს შინაგანი განცდა, სარწმუნოება და გახსენება იმი სა, თუ რისთვის ეცვა მაცხოვარიჯვარს.“

პირჯვრისწერისა და კურთხევის გაცემის შესახებ

ყველამ კარგად იცის, რომ ძველი მართლმადიდებლები, გაბატონებული ახალმოწესეებისგან განსხვავებით, პირჯვარს იწერენ ძველი წესით: ხუთთითიანი წყობით, იგივე ე. წ. ორთითიანი წესით (შეერთებულია ცერი, ნეკი და არათითი წმ. სამების ერთობის აღსარების სიმბოლოდ, ხოლო აღმართულია ორი: საჩვენებელი და შუათითი, ქრისტეს ორბუნებოვნების ნიშნად), რომელიც უფრო ორი თითით პირჯვრისწერის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამავე წყობით გაიცემა კურთხევაც ძველმართლმადიდებელ მღვდელმსახურთა მიერ.

გაბატონებულ ეკლესიაში კი პირჯვარს იწერენ სამი თითით (შეერთებული ცერით, საჩვენებელი და შუათითით), ხოლო კურთხევას გასცემენ ხუთთითიანი წყობით, სადაც აღმართულია საჩვენებელი თითი, მოხრილია შუათითი, ცერი გადაჯვარედინებულია არათითთან, და აღმართული და მცირედ მოხრილია ნეკა თითი. გაბატონებული ეკლესიის ადეპტების შეხედულებით ეს წყობა სლავურ (ზოგიერთის აზრით ბერძნულ-სლავურ) ენაზე გამოხატავს მაცხოვრის სახელს – IC XC.

პატრიარქ ნიკონის დროიდან, როდესაც ბერძენი იერარქების წაქეზებით მეფე ალექსი მიხეილის ძემ და თვით პატრიარქმა დაიწყეს საეკლესიო რეფორმა ბერძნებთან სრული უნიფიკაციის მიღწევის მიზნით, ორი თითით პირჯვრისწერის წესი გამოცხადდა მართლმადიდებლობისთვის უცხო და მწვალებლურ გადმოცემად, რის გამოც ის დაიწყევლა. ასევე დაიწყევლა და ეკლესიიდან მოკვეთილ იქნა ამ ჭეშმარიტად ძველი და მართლმადიდებლური, საეკლესიო ჩვეულების მიმდევარი.

XIX საუკუნის მიწურულს და XX-ის დასაწყისში, რუსეთის ეკლესიაში დაიწყო ერთგვარი მოძრაობა სამეცნიერო და სასულიერო წრეებში, რომელთა მიზანი იყო ისტორიული სიმართლის, სამართლიანობის დადგენა. ამ მოძრაობამ გამოიღო ის შედეგი, რომ საბოლოოდ დადგინდა პირჯვრისწერის ძველი წესის მართებულობა და ის, რომ ნიკონ პატრიარქის რეფორმას, რომელმაც მწვალებლობად გამოაცხადა ძველი საეკლესიო წესები, არ გააჩნდა აბსოლუტურად არანაირი საღვთისმეტყველო, ლიტურგიკული და კანონიკური საფუძვლები. ნიკონის არგუმენტები მის მიერ დაწუნებული და დაწყევლილი ძველი წესების წინააღმდეგ არ დადასტურდა არც ისტორიული მონაცემებით. პირიქით, ისტორიულ და ლიტურგიკულ წყაროებში აღმოჩნდა მრავალი მასალა, რომელმაც დაადასტურა ძველი წესების (მათ შორის პირჯვრისწერის ძველი წესის) სრული მართლმადიდებლურობა. ამავე მოძრაობის შედეგი იყო ის, რომ 1971 წელს, რუსეთის ადგილობრივმა, გაბატონებულმა ეკლესიამ, პატრიარქ პიმენის მეთაურობით, მოიწვია ადგილობრივი კრება (თუმც ამ კრებაზე მიწვეული იყვნენ სხვა ადგილობრივ ეკლესიათა და თვით ძველმართლმადიდებლურ კონფესიათა მწყემსმთავრები. მათ შორის იყო საქართველოს დღევანდელი პატრიარქი ილია II-ც), რომელმაც აღიარა პატრიარქ ნიკონის შეცდომა და მოხსნა ყველა ანათემა, თუ წყევლა-კრულვა გამოთქმული მოსკოვის 1667 წლის კრების მიერ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში და თვით რუსეთშიც, დღემდე ძლიერია მიდრეკილება სამი თითით პირჯვრისწერისადმი. თანაც იმ დონეზე, რომ პრინციპულად არ სურთ აღიარება ორი თითით პირჯვრისწერის და ეწინააღმდეგებიან პრაქტიკაში მის დანერგვას.

ძველმართლმადიდებლურ და გაბატონებულ ეკლესიებს შორის მრავალი საწესჩვეულებო, ლიტურგიკული და დოგმატური შინაარსის სწავლა-მოძღვრებითი განსხვავებაა, მათ შორის ერთ-ერთია პირჯვრისწერისა და კურთხევის გაცემის წესები. ძველმართლმადიდებლური ეკლესია პირჯვრისწერას ასწავლის ძველი, საეკლესიო გადმოცემის თანხმიერად.

თუ როგორ უნდა გამოისახოს პირჯვარი მართლმადიდებელმა ქრისტეანმა. ეს შესანიშნავად არის გადმოცემული რუსეთის პატრიარქის, იობის წერილში ქართველი მიტროპოლიტის, ნიკოლოზისადმი:

„ყოველ მართლმადიდებელ ქრისტეანს ორი თითით მართებს პირჯვრის გამოსახვა. ვაერთებთ ცერა, ნეკა და არათითს ნიშნად იმისა, რომ გვწამს წმ. სამება: მამა, ძე და სულიწმიდა; ორ დანარჩენს კი – საჩვენებელსა და შუათითს ვტოვებთ გამართულად, ქრისტეს ორბუნებოვნების –ღვთაებრივის და კაცობრივის, – სიმბოლოდ. ოდნავ მოხრილი შუათითი მოგვანიშნებს ღვთაებრიობაზე მაცხოვრისა, რომელმან მოსდრიკა ზეცა და განკაცდა დედამიწაზე. აღმართული თითი კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვრის ამაღლებაზე მიანიშნებს".

პირჯვრისწერა მართლმადიდებლური ქრისტეანული სარწმუნოებით აღმსარებლობითი ნიშანია, რომლის უმთავრეს დოგმატებს ყოვლადწმიდა სამების (მამის, ძისა და სულიწმიდის) და მისი მეორე იპოსტასის, – განკაცებული ძე ღმერთის მაცხოვნებელი მსხვერპლისა და მკვდრეთით აღდგომისადმი რწმენა წარმოადგენს. სწორედ ამ ფუძემდებლურ ჭეშმარიტებათა გამოსახატავად უძველესი დროიდან მოგვეცა ქრისტეანთ პირჯვრის საწერი თითების განსაკუთრებული წყობა.

როგორც პირჯვრის საწერი თითების წყობა, ასევე მათი მოძრაობის მიმართულება (ზემოდან ქვემოთ, შემდეგ კი მარჯვნიდან მარცხნივ) დოგმატური შინაარსის შემცველია და მათში ცვლილებების შეტანა ყოვლად დაუშვებელია. ვიმეორებთ – წმიდა მამათა განმარტებებით, პირჯვრისწერა აღნიშნავს ჯვარცმული ქრისტეს და წმიდა სამების აღიარებას. წმ. ბასილი დიდი ბრძანებს, რომ პირჯვრისწერის წესი ეკლესიას მიეცა ზეპირი გადმოცემით: „სასწაული ჯუარისა სახელისა მიმართ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მორწმუნეთა ზედა დაბეჭდუაი ვინ გუასწავლა ჩვენ წერით?" (დიდი რჯულისკანონი, „მეცნიერება", თბილისი, 1975 წ., გვ. 506). წმ. ეპიფანე კვიპრელი კი აღნიშნავს, რომ პირჯვრისწერა არის მაცხოვრის ნიშანი, რომელიც ყოველთვის იქადაგება ჯვრის ნიშით „რამეთუ ქრისტე არს თავ და ეკლესიაი ასოი მისა და სძალ მის დიდისა, რომელი ქადაგის ყოველსა ჟამსა ნიშითა მით ჯუარისაითა".

პირჯვირსწერა არის ჯვარცმული ქრისტეს აღიარება და მისი ჯვარცმით კაცობრიობის ცოდვის წყევისაგან გამოხსნის რწმენის გამოხატულება, ამიტომაც წმ. კირილე იერუსალიმელი გვასწავლის: „ნუ შეგვრცხვება აღიარება ჯვარცმულისა და შუბლზე აშკარად ვქმნათ თითებით, ბეჭედი ჯვარი".

პირჯვრისწერის ძველმართლმადიდებლური წესი ცნობილია პირველი საუკუნეებიდანვე. სადღეისოდ უკვე უეჭველად დამტკიცებულია, რომ ეს არის სწორედ მოციქულთა გადმოცემა და ქრისტეს ეკლესიის უცვალებელი წესი. ორი თითით პირჯვრისწერა, განსხვავებით სამი თითით პირჯვრისწერისგან, სწორია იმიტომ, რომ მასში მოცემული სწავლა–მოძღვრებითი შინაარსი სრულ თანხმობაშია მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატურ სწავლებასთან. სამი შეკრული თითით (ცერით, ნეკით და არათითით) გამოვხატავთ ჩვენს რწმენას წმ. სამებისადმი, ხოლო ორი აღმართული თითით (საჩვენებელი და შუათითით), რომლებსაც ვიდებთ შუბლზე, ჭიპზე, მარჯვენა და შემდეგ მარცხენა მხარზე, – აღსარებას მაცხოვრის განკაცებისა, ჯვარცმისა, მკვდრეთით აღდგომისა და მეორედ მოსვლისა.

სამი თითით პირჯვრისწერა კი არის მწვალებლობა, რადგან მასში მოიაზრება არა ჯვარცმული ქრისტეს კაცობრივი ბუნება, არამედ წმინდა სამება. ამის შესახებ არსებობს 1666–1667 წლების კრების (რომელსაც ესწრებოდნენ აღმოსავლელი პატრიარქები და სასულიერო იერარქები სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე, არსებობს ცნობა, რომ ამ კრებას ესწრებოდნენ ივერიის წარმომადგენლებიც). განსაკუთრებული დადგენილება: „პირჯვრისწერისას სამი თითი უნდა შევაერთოთ, რითაც მივანიშნებთ სამებას, ბოლო ორი თითი კი გვაქვს უქმად" (ანუ არაფერს ნიშნავს).

ნიკონიანელი რეფორმატორები გვიან მიხვდნენ ამგვარი პირჯვრისწერის აბსურდულობას და XVIII–XIX საუკუნეებში ამ ორ მოკეცილ თითს მიანიჭეს ქრისტეს ორბუნებოვნების სიმბოლური მნიშვნელობა. ეს სწავლება (მოკეცილი ორი თითის შესახებ) კერძო პირებმა შეადგინეს და კრებითად მიღებული არ ყოფილა.

კეთილმსახურსა და მართლმადიდებელ ქრისტეანსა მართებსო, – ვკითხულობთ მათ განმარტებაში, – პირჯვრის დასაწერად შეაერთოს ხელის თითები ესრეთ: პირველად უნდა შეაერთოს თავისი მარჯვენა ხელის სამი თითი, სახედ წმიდისა სამებისა. დიდი თითი, ე. ი., ცერი და შემდგომ მისი ორი თითი: ამით ცხადად ვაჩვენებთ წმიდისა სამებისა თანასწორობას და ერთარსობას და ამასთანავე შეურევნელობასო... შემდეგ კი ნათქვამია: და ესრეთ, ამ ნაირად ჯვრის პირზედ გამოსახვითა სამითა თითითა, როგორცა ვთქვით ზემოთ,ჭეშმარიტად პატივის იცემების და იდიდების ჯვარცმული მაცხოვარი და პატიოსანი ჯვარი".

საინტერესოა, მაინც რომელი სწავლების საფუძველზე „იდიდების" სამი თითით ჯვარცმული მაცხოვარი, თუკი სამი თითი სამების ერთარსობის სიმბოლოდ არის შეკრული? – ვუპასუხებთ: ხაჩეცართა და მონოფიზიტ იაკობიტთა სწავლების საფუძველზე, რამეთუ სწორედ ამ სწავლებასთან არის დაკავშირებული ერთი თითით პირჯვრისწერის ადრინდელი, მონოფიზიტური ჩვეულება და მისი გვიანდელი სახეცვლილება – ხაჩეცარი, რომელიც წმიდა სამების, ანუ ღვთაებრივი ბუნების ჯვარცმულად გამოცხადებას ასწავლის სამწმიდაო ლოცვაში („წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო") – სიტყვების „რომელი ჯვარს ეცვი ჩვენთვის", – დამატებით. ვერ ვიტყვით, თითქოსდა გაბატონებული, ნიკონიანური ეკლესია ღვთაებრივი ბუნების ჯვარცმას ასწავლიდეს, მაგრამ აქ დამკვიდრებული პირჯვრისსაწერი თითების წყობა აშკარად ზემოთ ხსენებულ მწვალებლურ შეხედულებებს იმეორებს.

ძველმართლმადიდებელ ქრისტეანებთან წერილობით პოლემიკაში, გაბატონებული „მართლმადიდებელი ეკლესიის", როგორც ძველ, ასევე თანამედროვე ადეპტთაგან სამი თითით პირჯვრისწერისა და თითების განსაკუთრებული მოყვანილობით (რომელიც ვითომცდა სლავური ლიტერებით იესუს სახელის აბრევიატურას IC XC – ს მიანიშნებს) კურთხევის დასაცავად ასეთი არგუმენტები გვესმის:

თურმე პირველი საუკუნიდან პირჯვარს იწერდნენ ერთი თითით, რომელიც მოგვიანებით (დაახ. IX საუკუნისთვის) შეიცვალა ორი თითით (როგორც დღემდე იწერენ პირჯვარს ძველმართლმადიდებლები) და საბოლოოდ კიდევ ერთხელ შეიცვალა სამი თითით. ხოლო სიტყვიერ პოლემიკაში ნიკონიანელი (ასე ვუწოდებთ ჩვენ ქართველ და რუს ახალმოწესე

„მართლმადიდებელთ") ახალმოწესეები ამბობენ, რომ საერთოდ მნიშვნელობა არა აქვს, როგორ, ან რომელი თითებით გადაიწერს პირჯვარს ქრისტეანი; თუ პირჯვრისსაწერ, ან კურთხევის გასაცემ რომელიმე კონკრეტულ წესში ჩადებულია მართლმადიდებლური სწავლება, შეიძლებაო, – ბრძანებენ ისინი, – მუშტითაც გადაიწეროსო კაცმა პირჯვარიო.

არსებობს ასეთი შეხედულებაც: თურმე ორი თითით პირჯვრისწერა და კურთხევა არის მღვდელმსახურთა პრეროგატივა და უბრალო ერისკაცს უფლება არა აქვს, ასე გადაიწეროს პირჯვარი.

სხვები კიდევ უფრო შორს მიდიან და მიიჩნევენ, რომ პირჯვრისწერა საერთოდ არ არის მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის აუცილებელი ელემენტი, ვინაიდან, მასზე რომ იყოს დამოკიდებული მართლმადიდებელი ადამიანის სულის ცხოვნება, მაშინ ვერ ცხონდებოდნენო მარჯვენა ხელის, ან საერთოდ უხელო ადამიანებიო.

გამომდინარე აქედან, გაბატონებული ახალმოწესეობრივი „მართლმადიდებლობის" ადეპტები ორი თითით პირჯვრისწერისა და კურთხევის გაცემის მყარ და მტკიცე ჩვეულებას ძველმართლმადიდებელ ქრისტეანთა გაუნათლებლობასა და სიჯიუტეს მიაწერენ.

ახალმოწესეთა წარმოდგენილ არგუმენტებს მოკლედ ასე შეიძლება ვუპასუხოთ: კურთხევის გასაცემი თითების წყობა შეუძლებელია იკითხებოდეს სლავურ, ან ბერძნულ ენებზე, ვინაიდან ის ბოძებულია მაცხოვრის მიერ. ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „განიყვანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე და აღიპყრნა ხელნი თვისნი და აკურთხნა იგინი. და იყო კურთხევასა მას იესუისსა მათა მიმართ და განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად" (ლუკა 24 : 50, 51).

„აღიპყრნა ხელნი თვისნი და აკურთხნა იგინი" რას ნიშნავს თუ არა იმას, რომ უფალმა თვითონვე ასწავლა მოციქულებს წესი ერის კურთხევისა?! ნეტ. თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით: უფალმა აკურთხა მოწაფეები, რათა, მიენიჭებინა ძალა, რომელიც მათ სულიწმიდის გარდამოსვლამდე დაიცავდა, და ჩვენს დასამოძღვრადაც, რათა, როდესაც ჩვენც განვეშორებით ჩვენს ქვეშევრდომთ, კურთხევის ძალით დავიფაროთ ისინი განსაცდელთაგან (იხ. ნეტ. თოფილაქტე ბულგარელის განმარტება ლუკას სახარებაზე. ლკ 24 : 50, 51).

სწორედ აქედან იწყება მღვდელმსახურთა მიერ ერისა და იერარქიულად მათ ქვემდგომთა კურთხევის ჩვეულება. სწორედ ქრისტესმიერი კურთხევიდან იღებს დასაბამს წესი ვაკურთხოთ ქრისტეანი რაიმე საქმის დაწყების, ან მოგზაურობის, ან განსაცდელის ჟამს და იგი (თუ არ

ვიგულისხმებთ საკურთხებელ თითებს შორის განსხვავებას) საერთოა ძველმართლმადიდებელთა და ახალმოწესე ნიკონიანელთათვის.

გარდა ამისა, ჩვენს ოპონენტებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ ქრისტე მოვიდა ისრაელის ძეთა შორის და მოციქულებიც ყველანი ებრაელები იყვნენ. გამომდინარე აქედან, გაუგებარია, რატომ უნდა დაევალებინა ქრისტეს თავის მოციქულთათვის მსოფლიო ხალხების კურთხევა და მათშიც ამ წესის დამკვიდრება მათთვის უცნობ, არამშობლიურ ენებზე. ამიტომაც ვფიქრობ, არც არავინ უნდა შემოგვედავოს იმაში, რომ ლიტერები IC XC, შეუძლებელია ქრისტეს ეგულისხმა თავის კურთხევაში და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თუკი ალოგიკურია ბერძნულად მოციქულთა კურთხევა, საერთოდ არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება ზოგიერთთა მოსაზრება, თითქოს ქრისტემ მოციქულები აკურთხა იმ დროს არ არსებული დამწერლობის (ანუ, სლავურის) მიხედვით. რადგან ვიცით, რომ სლავური ანბანი, რომელიც ბერძნული ასოების საფუძველზე ჩამოაყალიბეს სლავთა განმანათლებლებმა კირილემ და მეთოდემ, შეიქმნა ქრისტეს ამაღლებიდან ათი საუკუნის შემდგომ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ, პირჯვრისწერისგან განსხვავებით, კურთხევის ეს წესი, როგორც ნიკონიანელთა თხზულებებიდან ჩანს, რატომღაც არ დაქვემდებარებია არავითარ ცვლილებას. მეტიც, გამოდის, რომ მთელი ათი საუკუნე მართლმადიდებელი მოძღვრები მათთვის სრულიად უცხო ენობრივი შინაარსის მქონე და გაუგებარი იეროგლიფებით აკურთხებდნენ მორწმუნეებს. თანაც არც ერთხელ არც ერთი წმინდა მამა არ დაინტერესებულა ამ უცნაური „კურთხევის" შინაარსით და არ მოუცია არანაირი განმარტება.

რაც შეეხება პირჯვრისწერისას მღვდელმსახურთა პრეროგატივას მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არავითარი ამდაგვარი პრეროგატივა არ იცის. ჩვენთვის უცნობია რომელიმე წმინდა მამის შეხედულება, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ მღვდლებმა, ერისკაცებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული წესით – ორი თითით უნდა გადაიწერონ პირჯვარი, ხოლო ერისკაცებმა სამით. არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ მღვდელმსახურებში საერთოდ არ არსებობს სამი თითით პირჯვრისწერის წესის განმარტება, მარტო ის გარემოება, რომ 1667 წლის მოსკოვის კრებამ, რომელიც მოეწყო ბერძენი იერარქების წაქეზებით და რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ. ღაზის პატივაყრილი „მიტროპოლიტი" ბერძენი პაისი ლიგარიდი, ორი თითით პირჯვრისწერა შერაცხა მწვალებლობად და დასწყევლა ისიც და ყველა მისი მიმდევარიც, აჩვენებს, თუ რამდენად წინააღმდეგობრივი და აბსურდულია თანამედროვე ახალმოწესე „მართლმადიდებლების" მცდელობა, პირჯვრისწერის ყველა წესი აღიარონ თანასწორად.

ახალმოწესეთა სამღვდელოება კი, მიუხედავად ამისა, თავის მრევლს ასწავლის, თითქოს ორი თითით პირჯვრისწერა ეს არის სასულიერო პირთა პრეროგატივა. ასევე, თითქოსდა ორი თითით გასცემენ ისინი კურთხევასაც, რიგით ერისკაცთ კი ამისი უფლება არა აქვთ და მათ, პირჯვარი სამი თითით უნდა დაიწერონ.

1667 წლის ახალმოწესეთა მოსკოვის კრებამ, რომელსაც პატივაყრილი თუ პატივაუყრელი აღმოსავლელი იერარქებიც ესწრებოდნენ, დააკანონა არა ორი თითით კურთხევა, არამედ უცნაურად, ხუთი თითით, რომელიც ვითომცდა გამოხატავს ქრისტეს სახელს. ორთითიანი პირჯვრისსაწერი წყობა ამ კრებამ, და მისი მიღებით, – მთელმა აღმოსავლეთის ეკლესიამ, გამოაცხადა მწვალებლობად. ანუ, თუ დავუჯერებთ გაბატონებული ეკლესიის სასულიერო პირებს და მათ ადეპტებს, გამოდის, რომ ახალმოწესე სამღვდელოება ერს აკურთხებს მწვალებლობად შერაცხილი დაწყევლილი თითების წყობით...

კურთხევის გაცემის წესით, კურთხევა იმით განსხვავდება პირჯვრისწერისგან, რომ, თუ პირჯვრისწერის უფლება ნებისმიერ ქრისტეანს გააჩნია, კურთხევის გაცემა მხოლოდ მღვდელმსახურთა პრეროგატივაა. მღვდელმსახურს, ერისკაცისაგან განსხვავებით, სხვათა სულების პატრონობაც ევალება, ამიტომ, გარდა იმისა, რომ საკუთარი თავის ცხონებაზე უნდა იზრუნოს და ჯვრით მოიზღუდოს თავი ეშმაკის მზაკვარებისგან, სხვასაც უნდა გადაწეროს ჯვარი და ამ ქმედებით აკურთხოს იგი. ამ შემთხვევაში, სრულიად გაუგებარია, რა საჭირო იყო ეშმაკის დასათრგუნი ახალი ფორმული მოგონება?! ანუ, თუ პირჯვრისწერისთვის განწესებული თითების წყობით ითრგუნება ეშმაკი, იგივე წყობას კურთხევისას ძალა არა აქვს (რომელი წმინდა მამა იუწყება ამგვარ რასმე)? ან, პირიქით: თუ კურთხევის გასაცემ იმ წყობებსა აქვს ძალა, რომელთაც ჭეშმარიტ საკურთხებელ თითთამიერ წყობად მიიჩნევენ, რატომ ამგვარადვე არ იწერენ პირჯვარს?

თუკი ერთიც (პირჯვრისწერა) და მეორეც (კურთხევა) თრგუნავს ეშმაკს და ღვთიურ წყალობას აზიარებს მორწმუნეს, რა საჭიროა მათ შორის განსხვავება, განა პირჯვრისწერისა და კურთხევის წესები ორივე ერთი და იმავე მაცხოვრისგან არ გვებოძა?

ხოლო თუ პირჯვრისსაწერ და კურთხევის გასაცემ თითების წყობებს შორის არ არის არავითარი სხვაობა მადლმოსილებისა და ძალმოსილების თვალსაზრისით, რაღა საჭიროა თითების წყობის შეცვლა ამ ორი პირჯვრის გარდასახვით? განა, რა საღვთისმეტყველო მნიშვნელობაა ჩადებული ამგვარ ცვალებადობაში?

ჭეშმარიტად, როგორც პირჯვრისწერა, ასევე კურთხევის გაცემა მაცხოვრისგან მოგვეცა, რომელმაც თავადვე დაგვიდგინა გარკვეული დოგმატური აზრის მატარებელი წყობა თითებისა და მათი მოძრაობის წესიც. როგორც ვთქვით, ეშმაკის დასათრგუნად და ღვთიური მადლისა და ძალმოსილების მისანიჭებლად, ხოლო კურთხევის გაცემასა და პირჯვრისწერას შორის არსებობს მხოლოდ ერისკაცთა და მღვდელმსახურთა ფუნქციებისგან გამომდინარე უფლებრივი განსხვავება (ანუ ერისკაცს არა აქვს უფლება, გასცეს სამღვდლო კურთხევა მაშინ, როდესაც მღვდელმსახურს თვით უფალმა მიანიჭა ეს უფლება).

კურთხევის გასაცემი თითების წყობა, სადაც თითების განლაგებაში, როგორც ოფიციალური ეკლესია ასწავლის, იკითხება მაცხოვრის სახელის დასაწყისი და ბოლო ასოები, კერძოდ: IC XC.

საკუთარ მრევლზე ჯვრის გამოსახვის (ანუ კურთხევის) ასეთი წესი, რომელიც უცნობია ძველი მართლმადიდებლობისთვის, დააკანონა ნიკონიანური რეფორმების დამაგვირგვინებელმა მოსკოვის 1667 წლის კრებამ რომელსაც ესწრებოდნენ აღმოსავლელი პატრიარქები და სასულიერო იერარქები სხვადასხვა ქვეყნიდან (არსებობს ცნობა, რომ ამ კრებას ესწრებოდნენ ივერიის წარმომადგენლებიც). ასე გადმოსცემია თურმე ეს ჩვეულება ეკლესიას თვით მოციქულთაგან. მოციქულებსვე მიუღიათ კურთხევის ზემოთხსენებული ჩვეულებაც, რომელშიც თითები განსაკუთრებული წყობით იკითხება როგორც IC XC.

აი, ამ კრების განჩინებაც:

ასევე, მთელ სამღვდელო დასს ერის კურთხევას ასე ვუბრძანებთ: მარჯვენა ხელის ორი თითი შეაერთონ, საჩვენებელი თითი აღმართონ, ხოლო საშუალო ოდნავ მოხარონ, რაც იესუს (IC) მიანიშნებს. შემდეგ, ორი თითი: ცერი და არათითი გადააჯვარედინონ, რითაც ასო X აღინიშნება. და კვლავ, მათ ნეკა თითიც მიუერთონ, რომელიც ოდნავ უნდა მოხარონ, რითაც გამოსახავენ ასო – C –ს და ამ სამი თითით გამოხატონ XC. და ყველა ამ თითებით, რომლებითაც გამოისახება იესუ ქრისტე IC XC. ქრისტეანთა კურთხევის წესს გამცნებთ:...თუკი ვინმე ჩვენგან ნაბრძანებს არ შეისმენს და ჩვენს წინააღმდეგობას შეუდგება, შევაჩვენებთ და ყოველგვარ სასულიერო პატივს ავყრით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გაბატონებული ეკლესია და მათი „სულიერი მამები“ მრევლს ორი თითით კი არ აკურთხებენ, არამედ ხუთი თითით, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ, მათივე თქმით, მაცხოვრის სახელის სლავურენოვან დაწერილობას (Иисус Христос) – ს მიანიშნებს. ეს წყობა დააკანონა რეფორმატორულმა ეკლესიამ და წყევლა-კრულვით, შეჩვენებით და პატივის აყრით დაემუქრა ყველას, ვინც არ შეასრულებდა ამ წესს. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ისინი ამ წესს არავითარ შემთხვევაში ორი თითით კურთხევის გაცემას არ უწოდებენ!

თუ ოპონენტების ეკლესია, მათი საეკლესიო კრებები და „წმინდანები" "არ შეიწყნარებენ ამ ჯვარს" (ანუ ორი თითით პირჯვრისწერას და კურთხევის გაცემას), მიიჩნევენ მას ერეტიკულად და მრავალგვარი შეურაცხმყოფელი ეპითეტითაც კი „ამკობენ", სრულიად ამოაგდეს თავიანთი საეკლესიო პრაქტიკიდან და ამგვარი წყობით კურთხევას თავიანთ სასულიერო პირებს პატივის აყრითა და სამარადისო შეჩვენების მუქარით უკრძალავენ, მტკნარი სიცრუე ყოფილა ოპონენტების მტკიცება, თითქოსდა მათი მღვდლები მრევლს ჯვარს ორი თითით გადასახავენ. ისმის კითხვა: რომელია უტყუარი – თანამედროვე ახალმოწესეთა შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება 1667 წლის კრების დადგენილებას, თუ 1667 წლის კრება, რომელიც წყევლა-კრულვას უთვლის ყველას, ვინც არ გაიზიარებს კრების შეხედულებას სამი თითით პირჯვრისწერის მოციქულთამიერ წარმომავლობაზე?

და მაინც, რატომ არ შეიწყნარებენ ძველმოწესეები სამი თითით პირჯვრისწერას?

თუკი, როგორც უკვე ვნახეთ, ერთი თითით პირჯვრისწერა მონოფიზიტ-იაკობიტთა წესი იყო, რომლითაც ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ, ხოლო, „...ერთი თითით პირჯვრისწერა ტრიადოლოგიური აზრით იგივეა, რაც სამი თითით პირჯვრისწერა, რადგანაც ორივე შემთხვევაში სწორედ ერთარსება სამება აღინიშნება... და ამ ორ ფორმობრივ სახესხვაობას სრულიად ერთი ძალი, ერთი შინაარსი და ერთი სახისმეტყველება აქვს". გამოდის, რომ ვეთანხმებით ჯვარცმული ღვთაებრივი ბუნების შესახებ მონოფიზიტურ სწავლებას, რომელიც უკვე სამი თითით პირჯვრისწერის წესში მოიაზრება და, თუკი პირჯვრისსაწერი თითებით პირჯვრის გარდასახვა, წმ. ბასილი დიდისა და კირილე იერუსალიმელის განმარტებით, ჯვარცმულის აღსარებას ნიშნავს, ცხადია, რომ ის, ვინც ან ერთი, ან სამი თითით პირჯვრისწერას ასწავლის, მონოფიზიტური მწვალებლობის მქადაგებელია და ღვთაებრივი ბუნების ჯვარმცმელი ღვთისმბრძოლი და შეჩვენებული პეტრე კნაფევსის მსგავსად, რომელმაც სამწმიდაოს ლოცვაში („წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო") დაამატა სიტყვები „რომელი ჯვარს ეცვი ჩვენთვის" და ამით ჯვარს აცვა ღვთაებრვი ბუნება.

ჯვარი, კლიმენტი ალექსანდრიელისა და თეოდორიტეს განმარტებით, არის საუფლო ნიშნისა და ძლევის სახე. მასში ჯვარცმული ქრისტე იქადაგება, როგორც ამას ეპიფანე კვიპრელი ბრძანებს: „აღიბეჭდვის ნიშითა მის ცხოვრებისათა... რამეთუ ქრისტე არს თავ და ეკლესიაი ასო მისა და სძალ სიძისა მის დიდისა, რომელი (ე. ი., ქრისტე – ეპ. პ.) იქადაგების ყოველსა ჟამსა ნიშითა ჯუარისაითა", ამიტომაც არის ეს ბეჭედი ქრისტესი უფლის ვნებისა და აღსარების ნიშანი, ხოლო ნათლისღება მოცემული გვაქვს ჯვარცმული მაცხოვრის სამდღიანი სიკვდილის (დაფლვის) სახედ: „ისმინე პავლესი, რასა იტყვის, ვითარმედ: დავეფლენით მის (ქრისტეს და არა სამებას – ეპ. პ.) – თანა ნათლის-ღებითა სიკუდილად" და ვითარმედ „ძველი იგი კაცი ჩუენი ჯუარს ეცვა". აი, რატომ არის, რომ „არა თუ ოდენ ნათლისღებასა ჯუარ-ცუმა ეწოდების, არამედ ჯუარ-ცუმასა ნათლის-ღებაი...", რამეთუ მიგვანიშნებს თუ ვისი მაცხოვნებელი მსხვერპლის გამო მოგვეცა ნიშად სამგზის დაფლვა წყალში სულთა განსაწმენდად.

როგორც უკვე ვთქვით და წმ. მამებიც დავიმოწმეთ, ჯვარი თითებით ქრისტეს სახელის მიმართ (ანუ ქრისტეს აღსარების ნიშნად) უნდა იქნეს გამოსახული. ქრისტეა ჯვარცმული (ადამიანური ბუნებით) და არა სამება და, რადგანაც ჯვარცმული მაცხოვარი „სამ დღე იყო საფლავსა შინა" (წმ. იოანე ოქროპირი) ნათლისღებისას სამგზისი დაფლვის წესიც სწორედ ამ ნიშნის გამოა ბოძებული. სწორედ ამიტომ იწოდება ჯვარი ნათლისღებად და ყოველივე ეს წმ. სამების მფარველობითი ბეჭდით აღიბეჭდება, ამიტომ ინათლება მოსანათლავი სამგზის დაფლვისას სამების სახელზე და იწერს პირჯვარს ორი თითით (საჩვენებელი და შუათითი), სამი თითი კი (ცერი, ნეკა და არათითი) შეკრული აქვს სამების მფარველობითი აღბეჭდვის ნიშნად.

მაშასადამე, თითების წყობაც და ნათლისღებაც ჯვარცმულის აღსარებისა და მისი სამი დღის განმავლობაში საფლავში დების ნიშად გვაქვს ბოძებული. ამიტომაც არსებობს პირჯვრისწერასა და ნათლისღებას შორის ასეთი აღმსარებლობითი კავშირი. იგივე წმ. მამათა განმარტებებიდან გამომდინარე, რომლებიც თითებით ჯვარცმულის აღსარებას ითხოვენ, სამი თითით პირჯვრისწერა ჯვარცმულის აღსარებას გულისხმობს, და, თუკი ჯვარი იგივე ნათლისღებაა, გამოდის, რომ ჯვარზე ღვთაებრივი ბუნება მომკვდარა და, ნათლისღებაში სამგზისი დაფლვაც, რომელიც „სამების მიმართ აღესრულება", ღვთიური ბუნების სამდღიანი დაფლვის სახედ ყოფილა ბოძებული და მართალი ყოფილა პეტრე კნაფევსი, რომელიც სამწმიდაო ლოცვაზე („წმიდაო ღმერთო...") სიტყვების – „რომელი ჯვარს ეცვი ჩვენთვის" დამატებით იმავეს ამბობდა. კნაფევსმა შეჩვენება დაიმსახურა, რას იმსახურებენ სამი თითით პირჯვრისწერის მიმდევრები, თავად განსაჯეთ.

მაშასადამე, თუ თითების წყობით, როგორც წმ. მამები განმარტავენ, – უნდა გამოვხატავდეთ აღსარებას იმისა, ვინც ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ხოლო ყველა ახალმოწესე ამ აღსარების ნიშნად ჰკრავს სამ თითს, რაც, მათივე მტკიცებით, წმ. სამების ერთარსობის სიმბოლოს წარმოადგენს, და ასე გამოხატავენ ჯვარცმულის აღსარებას, გამოდის, ჯვარცმულად ღვთაებრივ ბუნებას მიიჩნევენ.

ამრიგად, სამი თითით პირჯვრისწერა ჯვარცმაა სამებისა, არა იმიტომ, რომ „მთელი ხელის მტევანი ჯვრის ფორმას შემოწერს", არამედ იმიტომ, რომ ჯვარცმულს სამი თითით განადიდებენ და ჯვარცმულად ღვთაებრივ ბუნებას წარმოაჩენენ".

რაც შეეხება ძველ ხატებს, რომლებზეც ორი თითი – საჩვენებელი და შუათითი – აღმართულია, ხოლო ცერი და ნეკა ერთმანეთთან მიერთებული, ამასთან, ნეკა გამართულია, ძველ ავტორთა უმრავლესობა მათ (თითების წყობას – არქიეპ. პ.) ყურადღების მისაქცევ ორატორულ, სამქადაგებლო ჟესტად მიიჩნევს, თუმცა გამართული ნეკა თითი, ძველ ხატებში გვხვდება გვიან, დაახლ. მე-6, მე-7 საუკუნეებიდან. ყველაზე ძველ ქრისტეანულ გამოსახულებებზე

– სარკოფაგებზე, დიპტიქებზე და პიკსიდებზე გვხვდება მხოლოდ ორი თითით პირჯვრისწერისა და კურთხევის გაცემის სიმბოლოები. ორატორული ჟესტის ნიშანი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ამ პერიოდში ანტიკური საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის ზეგავლენასთან. შემთხვევები გვაქვს დასავლეთის ეკლესიაშიც. იქ ხატმწერები გამართულ ორ თითს ამატებენ ასევე გამართულ ცერა თითს. ვინც გულდასმით შეისწავლის დასავლეთის ხატმწერლობის ისტორიას შეამჩნევს, რომ XI–XV საუკუნეებში ორი თითი თანდათანობით გადადის ახალ, ე. წ. „სამოციქულო" კურთხევაში. აქაც, ისევე როგორც აღმოსავლეთში, გვხვდება ფრესკები და ხატები, რომლებზედაც ერთნი წმინდანთაგან აკურთხებენ მკაცრად ორი თითით, სხვები კი ორი თითით, მაგრამ იმ ვარიაციით, რომ გაშვებული აქვთ ნეკა თითი (აღმოსავლეთში) ან ცერა თითი (დასავლეთში).

რას ასწავლის გაბატონებული ეკლესია კურთხევის გაცემის ჟამს ორთითიან წყობასთან დაკავშირებით? როგორც ადრეც ავღნიშნეთ, უძველესი დროიდანვე ეს წესი ხელის თითების წყობის მიხედვით ძირითადად ოთხი სახისა იყო". აი ეს ოთხი სახე გრაფიკულად:



პირველი მათგანი უძველესი დროიდანვე ცნობილია, როგორც სპეციფიკურად ქრისტიანული სახე. საქმე ისაა, რომ თითების წყობის დანარჩენი სამი სახეობა გარეგნულ ანალოგს პოულობს ქრისტეანობამდელ ეპოქაშიც (მხოლოდ ქრისტეანობისთვის არის დამახასიათებელი და ქრისტეანობამდელ ეპოქაში ის არ გვხვდება –ეპ. პ.). საგულისხმოა ისიც, რომ ხსენებული პირველი სახე თითთა წყობისა, ამავე დროს, იწოდება კონკრეტულად ძველბერძნულ წესად, რადგანაც ძველბერძნული მართლმადიდებლური ხატები უმთავრესად სწორედ ამ სახეს გვიჩვენებენ, თუმცა მის გვერდით თავს იჩენს დანარჩენი სამი სახეც".

უნდა განვმარტოთ, რომ ხატებზე გამოსახული თითები ყოველთვის არ გულისხმობს პირჯვრისსაწერ და კურთხევის გასაცემ კომბინაციებს. ცნობილი ბიზანტიოლოგი და მეცნიერ-მკვლევარი, ე. გოლუბინსკი აღნიშნავდა, რომ თითების წყობა ძველ ფრესკებსა და ხატებზე, ხშირად გამოიყენებოდა როგორც ორატორული ჟესტი. ასე რომ, წარმოდგენილ ვარიანტებს თითების წყობისა, ძველმართლმადიდებლური წესის გარდა მხოლოდ პირობითი, სიმბოლური მნიშვნელობები აქვთ და კურთხევის გაცემის წესებს არ წარმოადგენენ. თანაც გაბატონებულ ნიკონიანურ ეკლესიებში კურთხევა სწორედ ამ მწვალებლური, „ბერძნულენოვანი" თითთამიერი წყობით გაიცემა და არა ნახატზე მოცემული პირველი ვარიანტის მიხედვით, როგორც ოპონენტები ამტკიცებენ, თუმცა კურთხევის გაცემა არც ამ ვარიანტით არის მიღებული, რამეთუ ის, თვით ნიკონიანელი აკადემიკოსის აღიარებით, მხოლოდ და მხოლოდ ქადაგების სიმბოლოს, ორატორულ ჟესტს წარმოადგენს და არავითარ სარწმუნოებრივ-დოგმატურ შინაარს არ შეიცავს. დანარჩენი ფორმით, განსაკუთრებით კი წმიდა მართლმადიდებლური წესით, ნიკონიანელებს კურთხევა არასოდეს გაუციათ და არც დღეს გასცემენ.

რაც შეეხება ქართულ ხატებსა და ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს, უნდა ითქვას შემდეგი: ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატზე, „პორტაიტისაზე", მაცხოვარს

თითები შეკრული აქვს სწორედ ორთითიანი წესით და არა ისე, როგორც ოპონენტი ამას წარმოაჩენს. ყველას არ შეუძლია ათონზე გამგზავრება და ივერიის ღვთისმშობლის ხატის ადგილზე ნახვა. თუ ხელთ არა გვაქვს ამ ხატის (ვგულისხმობთ დედანს) ფოტოსურათი. მაშინ უნდა ვნახოთ სოლოვეცკელი ბერების მიერ XVII საუკუნეში დაწერილ ზუსტ ასლს ივერიის ღვთისმშობლის ხატისა, რომლის ასლსაც აქვე გთავაზობთ და სადაც ნათლად ჩანს, რომ მაცხოვარს თითები შეკრული აქვს ორთითიანი წყობით. გარკვევით გაარჩევთ იმასაც, რომ ყრმა მაცხოვარს ცერა თითი არათითსა და ნეკაზე გვერდიდან აქვს მიდებული.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ნიკონიანური რეფორმების ზეობის ჟამს მრავალი ძველმართლმადიდებლური ხატი, რომელზეც გამოსახულია მაცხოვარი, წმინდანი, ან ანგელოზი და თითების იმგვარი წყობა, რომელსაც აღიარებენ ძველმართლმადიდებელი ქრისტეანები, მწვალებლებმა გადააკეთეს.

არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ამ ძველი მართლმადიდებლური ჩვეულების მიმართ (და საერთოდ, იმ საკითხების თარგმანისას, რომელიც ეხება ძველმართლმადიდებელთა და გაბატონებული ეკლესიას შორის არსებულ განსხვავებებს) იჩენენ ქართველი მთარგმნელებიც ოფიციალური „მართლმადიდებლობის" მხრიდან. ასე მაგალითად, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის მიერ ახალქართულ ენაზე გამოცემულ „ლიმონარში" ხსენებული ადგილი მოცემულია ძველქართული წყაროს შესაბამისად, მაგრამ მღვიმევის დედათა მონასტრის მონაზონთა გამოცემაში (იოანე მოსხი „ლიმონარი, ანუ სამოთხე". რუფინუსი. „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება". თბილისი 2005 წ.) თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ მონასტრის მონაზვნებს ხელთ ჰქონიათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოანე მოსხის ძველი ქართული ტექსტი, შეუსრულებიათ რუსული "Луг духовный" – დან. ცხადია, მღვიმევის დედათა მონასტრის თარგმანში ორი თითით ჯვრის გამოსახვის მოწმობა იოანე მოსხის „ლიმონარიდან" ამოღებულია.

მეორე მიზეზი, რომელიც შესაძლებლობას არ გვაძლევს გავიზიაროთ შეხედულება – თითქოსდა პირველი ქრისტეანები პირჯვარს იწერდნენ ერთი თითით და ორი თითით პირჯვრისწერა საბერძნეთსა და დასავლეთში IX საუკუნიდან დამკვიდრდა, გახლავთ კატაკომბური კედლის მხატვრობისა და პირველქრისტეანული ხატმწერლობის ნიმუშები. ასევე სხვადასხვა დოკუმენტური მასალა, რომელიც ათვალსაჩინოებს, რომ ორი თითით პირჯვრისწერა არათუ ცნობილი იყო პირველქრისტეანთათვის, არამედ გამოიყენებოდა კიდეც პრაქტიკაში.

იმპერატორ იუსტინიანე II-ს (527-565) სოლიდუსი (ლათ. სოლიდუს – მყარი, მტკიცე, მასიური – რომის ოქროს მონეტა. პირველად 309 წ. დაბეჭდა იმპ. კონსტანტინე დიდმა. სოლიდუსმა შეცვალა მანამდე არსებული ავრეუსი. 314 წ. შემოვიდა რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილში, ხოლო 324 წლიდან მთელს იმპერიაში).

ამრიგად, ძველმართლმადიდებლური ეკლესია ასე განმარტავს პირჯვრისსაწერად და საკურთხებლად შეკრული თითების წყობას და მათი მეშვეობით შესასრულებელ ქმედებას. ვაერთებთ ცერა, ნეკა და არათითს ნიშნად იმისა, რომ გვწამს წმ. სამება: მამა, ძე და სულიწმიდა. ორ დანარჩენს, საჩვენებელსა და შუათითს ვტოვებთ გამართულად, ქრისტეს ორბუნებოვნების – ღვთაებრივის და კაცობრივის – სიმბოლოდ. შუათითი ოდნავ მოხრილი უნდა იყოს (თუმცა

ხატმწერლობაში ეს წესი ყოველთვის ზედმიწევნით დაცული არ არის), რაც მაცხოვრის ღვთაებრიობაზე მიგვანიშნებს, რომელმაც მოდრიკა ზეცა (ფსალმ.) და განკაცდა დედამიწაზე. მართლმადიდებლური დოგმატური სწავლებიდან გამომდინარე, წმ. ეკლესია ერთმანეთისგან განცალკევებულად ითხოვს წმ. სამების ერთპიროვნობისა და წმ. სამების მეორე იპოსტასის, ძე ღმერთის განკაცებისა და მისი ორბუნებოვნების აღსარებას, რაც ზემოთ მოტანილ მაგალითებშიც ცხადად არის წარმოჩენილი. აქედან გამომდინარე, ცალკე სამ თითში არაფრით არ შეიძლება მოაზრებულ იქნას განკაცება მაცხოვრისა, რამეთუ სამი თითი აქ წმიდა სამების ღვთაებრივ პირთა ერთობისადმი რწმენას გამოხატავს და, საღვთისმეტყველო განმარტებათა თანახმად, მასში არ არის მოაზრებული ქრისტეს განკაცება. ამ საიდუმლოს (ე. ი. განკაცებას მაცხოვრისა) ცალკე აღმართული ორი თითით (ან დიკირიით, როგორც ეს სამღვდელმთავრო წირვაზე სრულდება) გამოხატავენ, რაც სრულიად მართლმადიდებლურია.

მაშასადამე, პირჯვრისწერისა და კურთხევის გაცემას მათში ჩადებული უნდა იყოს სრული სარწმუნოებრივი განსაზღვრება, კერძოდ, ის, რომ ჯვარცმულია წმ. სამების მეორე იპოსტასი, რომელიც განკაცდა ჩვენ ცოდვილთათვის და ჩვენივ ცხოვნებისთვის ჯვარს ეცვა თავისი ადამიანური ბუნებით. ეს დოგმატი ხუთივე თითის გარკვეული წყობით არის გამოხატული (სამი შეკრული და ორი ზეაღმართული). მასშია მოცემული ის სარწმუნოებრივი განსაზღვრება, რომლისადმი რწმენა (ანუ რწმენა ღმრთის სამპიროვნობისა და ერთობისა და მეორე პირის განკაცებისა და ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა) ანიჭებს პირჯვრისწერას საიდუმლო მადლიან ძალმოსილებას. თითების სწორედ ამ წყობაში დევს ის ინფორმაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უცვლელად და შეურყვნელად მოდის და რომლისადმი მორწმუნის მიმართებაც პირჯვრისსაწერ და კურთხევის გასაცემ თითთა წყობას საიდუმლო მადლმოსილებისა და ძალის შენარჩუნებას განაპირობებს.

ამრიგად, პირჯვრისსაწერ თითების წყობას იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მასში ჩადებლია უმთავრესი დოგმატური შეხედულებანი. პირჯვრისწერით, ანუ იმ საკრალური ინფორმაციის მოგონებით, რომელიც თითების წყობასა და შესაბამის მოძრაობაშია ჩადებული და რომლის მიმართაც გამოხატავს თავის რწმენას მართლმადიდებელი ქრისტეანი, – ითრგუნება ეშმაკი.

კერძოდ კი, პირჯვრისწერა – ეს არის წმ. სამების მეორე იპოსტასის განკაცების, ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომის, ამაღლების, მამის მარჯვენით ჯდომისა და მეორედ მოსვლისადმი და საერთოდ, ადამიანთა ცოდვის წყევისაგან გამოსყიდვის სიმბოლური გამოხატულება. თითების წყობის შეცვლით შეიცვალა მთელი ინფორმაცია, რის შედეგადაც ადამიანის რწმენა და სასოება ყალბი, სულისწარმწყმედელი მწვალებლური სწავლებისადმი იქნა მიმართული. ამგვარი პირჯვრისწერა, თუ კურთხევა ვერ ანიჭებს ადამიანს საიდუმლო მადლმოსილ ძლიერებას.

მადლი და ძალა ძველმართლმადიდებლური პირჯვრისსაწერი და საკურთხებელი თითების წყობისაგან განსხვავებულ ნებისმიერ წყობას იმიტომ ეკარგება, რომ თითების წყობა გამოხატავს დოგმატურ სწავლებას, რომლისადმი რწმენითა და სასოებით არის განმსჭვალული ყოველი ჭეშმარიტი ქრისტეანი. ახალმოწესეთა გაბატონებული, ე. წ. „მართლმადიდებელი" ეკლესია თავად აღმოჩნდა მწვალებლური, ვინაიდან არათუ ერეტიკოსი და მართლმადიდებელი ვერ განუსხვავებია ერთმანეთისგან (გავიხსენოთ თუნდაც როგორ „ამორიცხეს" წმინდანთა დასიდან ნიკონმა და მისმა მომხრეებმა წმ. ანნა კაშინსკაია (XIIIს.) მხოლოდ იმიტომ, რომ მის უხრწნელ გვამს თითები შეკრული ჰქონდა ორთითიანი კომბინაციით), არამედ დავიწყნია უძველესი მართლმადიდებლური გადმოცემები, რომელიც 1667 წელს, რეფორმის „დამაგვირგვინებელ" კრებაზე, დასწყევლა როგორც მწვალებლობა და ამით საკუთარი თავი შეუყენა ანათემას.

P. S. წერილი მზად იყო, როცა ერთ-ერთმა მორწმუნემ დამატებით გამოგვიგზავნა არარელიგიური, არამედ სუფთა მეცნიერული ახსნა ჯვარისა და ცნებისა. მის ამ დასკვნას თან ვურთავ სტატიას და დამატებით გამოგვაქვს თქვენდამი განსასჯელად.

მეცნიერების გამაოგნებელი დასკვნა ჯვართან დაკავშირებით?!

რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამაოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. მალე შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

აი, რა აღიარა მეცნიერმა:

„ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ ჯვარი ერთადერთი მექანიზმია მთელს პლანეტაზე, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის უზრუნველჰყოფს ელექტრულ კვებას, რომლის გარეშეც არც ერთ ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია არსებობა.

ყველაზე საინტერესო, აი, რა არის – ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთებიან, ჩვენს ბიოსფეროში მთელი სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად... დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს კი ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება.

მერე ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხვდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება უზარმაზარ მანძილზე ვრცელდება და, ფაქტიურად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნაც მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება....

ჯვრები თვით მიტოვებულ ტაძრებშიც კი გამოასხივებენ ენერგიას. ყველა ჯვარი სხვადასხვა ხარისხისას გამოასხივებს. ყველაზე ძლიერად ოქროსი, ლითონის – შედარებით ნაკლებად... გამოასხივებს ხის ჯვარიც.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას ღებულობს, ჰორიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერი გამოსხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისას, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არაა საკმარისი.

ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი – ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი არ არსებობს ბუნებაში“.

სტატია მოამზადა ნუკრი ბაღდავაძემ

ყვავი ერთადერთი ფრინველია, რომელიც ბედავს შეაჯდეს არწივს ზურგზე და ჩაავლოს კისერში ნისკარტი. არწივი არც კი ცდილობს ჩამოაგდოს იგი, არც ებრძვის, არ ხარჯავს მასზე დროსა და ენერგიას. იგი აფრინდება, ადის სულ უფრო მაღლა და მაღლა, და რაც უფრო მაღლა ადის, მით ნაკლები ჰაერი რჩება ყვავს სასუნთქად, იგი თანდათან კარგავს გონებას და ვარდება ძირს, იგუდება უჟანგბადობით...

ჩვენც -
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“
და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

ჩვენს მხარდამჭერებთან და მიმდევრებთან ერთად ჩვენი მაღალი მიზნებისკენ მივდივართ!

ჩვენ არ უნდა დავკარგოთ დრო ვინმესათვის რამის მტკიცებაში, უნდა ვიაროთ მუდამ წინ და მაღლა, ხოლო ყველაფერი ზედმეტი და უსარგებლო თავისით ჩამოცილდება!

გონზე მოეგე შეშლილო ერო!

გადააჯიშა ეშმამ სამყარო,
სექტამ დაიდგა თავზე გვირგვინი,
არ ვიცი ახლა რით გაგახაროთ,
აღარსად ისმის რაშთა ჭიხვინი.
რელიგიური დემოკრატია!
საქართველოში ისე ქილიკებს,
გულმა ცრემლ-ბოღმა ვეღარ დატია,
ერი დაადგა ხრამის ბილიკებს...
არ ვიცი ზარებს რად არ რეკავენ?!
დადუმებულა თითქოს საყდარიც,
სამღვდელოება, უფლის მეკარე,
ამ ჭირში ნეტა ახლა სად არის?!
ინგა და პეტრე, მაკა და ნიკა,
ცხვრად მოვლენილმა სატანამ იძმო,
მამულიშვილებს გააძრეს სიქა,
თბილისს დაჰყურებს ზემოდან ბიძო!
ზემოთ თუ ქვემოთ, აშმორდა მიწა,
წვიმა გგონიათ?! ტირის თამარი,
ქრისტეს ჯვარს უკვე არავინ იცავს,
გათხრა მომინდა ხელით სამარის!
ერო! იბერო! დაკარგე გონი?!
მეფეთ დარბაზში! დემონთ დოღია?!
ცხვრის მწყემსად მგლები დაგვიდგნენ მგონი,
გვაცქერინებენ მრუშთა ორგიას!
სისხლად იფეთქეს სულში ვენებმა,
შენ თუ გვიშველი, დედაო ცაო!
ეჰ, ჩვენი მოდგმის გადაშენება,
სწადიათ, ჩემო დაო და ძმაო!
ერო! შეშლილო! გზა-აცდენილო!
ნახირო! საით მიერეკები?!
ჩემო სამშობლოვ, სისხლდაწრეტილო,
ძუძუც დავაშრეთ ჩვენი დედების!
ვაიმე! მუხლში მოდრიკეს ხარი,
ვაიმე! დროშებს ვინ აფრიალებს?!
კალაპოტს მოსდევს ბინძური წყალი,
რა მოგვიშუშებს წყლულს და იარებს?!
სად ხარ იბერო?! დაგეძებ სანთლით,
დაჭრილი გული, რითი ვამრთელო?!
წინაპრის რიდით! წინაპრის ხათრით!
გონზე მოვეგოთ, კვლავ ვიქართველოთ!
მეც აღარ ვიცი რა უნდა ვწერო,
გონზე მოეგე შეშლილო ერო!
გონზე მოეგე შეშლილო ერო!
გონზე მოეგე შეშლილო ერო!

დალი ყარაულაშვილი

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; რატი გაგოშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; ზაზა კორტანელი - მთავარი რედაქტორის მოადგილე; თამარ გომართელი - პასუხისმგებელი რედაქტორი; ნონა ქევხიშვილი და ლუარა სვანაძე - სარედაქციო წარმომადგენლები საზღვარგარეთ; რედკოლეგიის წევრები: თორნიკე ამაშუკელი, ნინო რაზმაძე; თამარ რაზმაძე, კლარა ტონია, ნათია ლამაზოშვილი, ეკატერინე ყიფშიძე, დემნა (დავით) კაპანაძე, მანანა ბარამიძე, თამაზ ხუციშვილი, ქეთევან აგლაძე-შარაბიძე, ხათუნა აგლაძე.